В «донасениях» агентов разведывательной службы, существовавшей при ассирийском царском дворе, и правителей приграничных областей, а также в письмах информационного содержания, отправленных Саргону II его сыном и наследником Синахерибом, говорится о гамирах, о походе в их страну царя Урарту и поражении войска урартийцев. В одном из документов Синахериб сообщает Саргону II следующую информацию, полученную от разных лиц: «... Уккийцыписали мне: «Царь урартский как пошел в страну Гамир, так войско его было полностью перебито. Сам он и 11наместников его с войсками их отброшены назад. А его туртан (главнокомандующий. – Н. Х.) и два областеначальника попали в плен». Донесение уккийцев Синахериб продолжает информацией агента Ашшуррисуа: «Ашшуррисуа писал мне: «Весть об урартском царе (или урартийцах):то, что я писал прежде, - это так. У них была большая резня. Теперь страна его успокоилась. Вельможи его ушли каждый в свою страну. Каккадану, его туртан, схвачен. Царь урартский сам находится в области Уазаун». Там же

Синахериб приводит еще одно сведение, полученное по разведывательным каналам от некоего Набу-ли, наместника области Барата (г. Хальсу), который также подтверждает факт безуспешного похода урартского царя против киммерийцев. В частности, Набу-ли сообщает Синахерибу: «Как он (урартский царь. – Н. Х.) пошел в страну Гамир, войско его было полностью перебито. Перебито трое вельмож его с войсками их. Сам он бежал и вступил в свою страну. К лагерю его они (бежавшие войска. – Н. Х.) пока еще не подошли»³.

Приведенную информацию мы встречаем и в других документах, составленных от имени Синахериба. В одном из них читаем: «Когда урартиец (или урартийцы. – Н. Х.) и его вельможи пошли в страну Гамир, они были полностью перебиты. Они (урартийцы. – Н. Х.) очень боятся царя (Саргона II. – Н. Х.), моего господина. Они дрожат как женщины и проявляют полное бездействие»⁴. Такие же сведения содержит еще одно письмо Синахериба, в котором он ссылается на следующее донесение от Урзаны: «Урзана написал мне: «Царь урартский как пошел в страну Гамир, так войско его было полностью перебито. Наместник области Уаси погиб. Другой информации у нас пока нет. Когда добудем, пришлем»⁵.

Единственным сведением, которое позволяет нам хотя бы в общих чертах представить месторасположение страны Гамир, является письмо вышеупомянутого Ашшуррисуа. Вот что сообщает он ассирийскому царю: «Царю, моему господину, твой раб Ашшуррисуа. Да будет мир царю, моему господину. В благополучии страна царя, в благополучии укрепленный город. Да будет в благополучии царь, мой господин. Страна Гуриания (^{KUR}Gu-ri-a-ni-a) находится между страной Урарту и страной Гамир (^{KUR}Ga-mir-ra). Последняя платит дань народу Урарту. Когда народ Урарту двинулся против страны Гамира, ...было

²А. И. Иванчик. Киммерийцы. – М., 1996, с. 22 и далее.

³А. И. Иванчик. Киммерийцы. – М., 1996, с. 169-171.

⁴Там же, с. 175.

⁵Там же, с. 267.



нанесено поражение народу Урарту. Все воины, которые оттуда [бежали?] в Гуриани[ю] ... [...] других он схватил... Весть о царе: он в Тушпе» [АВИИУ, № 50, 11]⁶.

Как видим, для определения локации Гамира основной координатой служит «страна Гуриания», платившая, согласно вышеприведенному документу, дань Урарту и находившаяся по соседству с Гамиром // Гамира.

В научной литературе высказаны разные соображения по поводу локализации упоминаемой в ассирийском источнике Гуриания. Так, И. Дьяконов отождествляет Гуриания ассирийского текста с упоминаемой в одной из надписей Сардури II Куриани (^{KUR}Qu-ri-a-ni). Эту страну он локализует у крайней северо-западной границы владений Урарту, вблизи страны Игани [АВИИУ, № 50, прим. 2]. Согласно воззрению Г. Меликишивили, Куриани из надписи Сардури II следует искать в зоне между страной Эриахи (близ нынешнего Ленинакана) и страной Игани (на берегу озера Чалдыр), к востоку от Чалдырского озера. Тот же автор не исключает предположения, что владения страны Куриани на севере простирались до верхнего течения р. Куры⁷. А. Иванчик, разделяющий точку зрения об идентификации Гуриания ассирийских источников с Куриани в надписи Сардури II, отождествляет страну Куриани с Гуриани Цовинарской надписи урартского царя Руса I и, исходя из данных указанного эпиграфического памятника, локализует Куриани на северном побережье озера Севан⁸. М. Сальвини считает версию идентичности Гуриания ассирийского источника и Гуриани Цовинарской урартской надписи убедительной, но не разделяет идентичности Куриани из надписи Сардури II и

Гуриания ассирийского документа⁹. Н. Арутюнян помещает 19 стран, в том числе Гуриани, расположенные, согласно Цовинарской надписи Руса I, «с той стороны озера в горах высоких», к юго-востоку от Севанского озера, в районе нынешних Вардениса, Красносельска и Шамшадина (территория Армении).

На сегодняшний день в научной литературе существует также несколько вариантов локализации страны Гамира // Гамира (страны киммерийцев).

По мнению Б. Пиотровского, страна Гамир располагалась к северо-западу от Урарту, в восточном регионе Каппадокии¹⁰. И. Дьяконов полагал, что страну Гамир следует помещать либо в центральном регионе Грузии, либо на территории совр. Аджарии и в восточной части Понта¹¹. По свидетельству того же И. Дьяконова, С. Еремян предполагал местонахождение территории Гамира в районе близ нынешнего г. Ленинакан¹². Согласно версии С. Петросяна, указанную страну следует искать в северном регионе Армянского плоскогорья, на территории поздней Гогарены, где вместе с киммерийцами обитали родственные им треры и гогаренцы¹³. А. Иванчик локализует страну Гамира в южной части Центрального Закавказья, а точнее, севернее упомянутой в урартском источнике (Цовинарской надписи) Гуриани, расположенной к северу от озера Севан¹⁴.

Естественно, возникает вопрос: каково наше отношение к исследуемому вопросу?

⁶ Там же, с. 30.

⁷ Б. Б. Пиотровский. Ванское царство. – М., 1959, с. 232-233.

¹¹ И. М. Дьяконов. Предыстория армянского народа. – Ереван, 1968, с 169, прим. 251.

¹² И. М. Дьяконов. История Мидии. – Ленинград, 1956, с 236, прим. 1.

¹³ С. Г. Петросян. Фрако-киммерийские племенные союзы на Армянском нагорье (VI-Vвв. до н. э.) // Историко-филологический журнал. I (76). – Ереван, 1977, с. 219-220.

¹⁴ А. И. Иванчик. Киммерийцы. – М., 1996, с. 28 и далее.

⁶ Там же, с. 176-177.

⁷ Г. А. Меликишивили. Наири-Урарту. – Тб., 1954, с. 61.

⁸ А. И. Иванчик. Киммерийцы. – М., 1996, с. 18 и далее.



Мы придерживаемся той точки зрения, согласно которой Гуриания ассирийского источника отождествляется с Гуриани, упомянутой в Цовинарской надписи Руса I (см. выше).

К такому заключению мы приходим исходя из нескольких значительных обстоятельств. Во-первых, страна Куриани из анналов Сардури II и страна Гуриани Цовинарской надписи Руса I локализуются в контролируемых урартийцами разных областях Южного Кавказа: Куриани расположена к северо-западу от Эриахи (близ совр. Ленинакана) и севернее Игани (на южном и юго-западном побережье озера Чалдыр), в верховье р. Куры, а Гуриани наряду с другими 18 «странами» - в «горах высоких» (Бамбакских горах), простирающихся к северу или северо-востоку от озера Севан¹⁵.

Во-вторых, заслуживает внимания фонетическое сходство интересующих нас терминов: асир. ^{KUR}Guriania, урарт. ^{KUR}Guriaini; ср.урарт. ^{KUR}Quriani.

Для выявления идентичности ассирийской «Гуриания» и урартской «Гуриани», на наш взгляд, необходимо учитывать и следующее обстоятельство: в годы царствования Руса I ареал активных действий (военные операции, пожертвования и проч.)¹⁶ урартийцев в северном направлении ограничивался регионом озера Севан. В отличие от урартских надписей, составленных под авторством Сардури II, крайняя северо-западная граница распространения которых проходит у с. Изоглу и Даши-Керпи, большинство эпиграфических памятников времен царствования Руса I выявлены в Ване (в Тушпе), у озера Севан (Нор-Баязет, Цовинар) и на холме Кармир-Блур¹⁷.

Нельзя объяснить случайным совпадением и тот факт, что ни Игани, ни Эриахи, ни какая-либо географическая единица, расположенная к северу или северо-западу от этих стран (например, Забаха-Джавахети

или локализованные в южном регионе последней Пусуниа-Посо, Цудала-Цунда и др.), которые упоминаются в надписях СардуриII¹⁸ и свидетельствуют об активности урартийцев в северном и северо-западном направлении, в урартских надписях Руса I вообще не упоминаются.

На основе всего вышесказанного можно предполагать, что местонахождение соседствующих с Гурианиагамиров / гамерийцев (киммерийцев), упоминаемых в ассирийских письменных источниках и агентурных корреспонденциях времен царствования Саргона II, следует искать на территории КвемоКартли, расположенной к северу от озера Севан и Бамбакского хребта.

Подобное предположение, на наш взгляд, подкрепляют и хорошо известные исследователям КвемоКартли данные топонимики. В частности, признанные вероятными отпечатками существования (обитания) на территории КвемоКартли-скифско-киммерийских племен такие топонимы, как «Гогаренэ», «Триалети» (армян. «Трел») и название расположенного вблизи Самшвилде хребта «Гомер»¹⁹, которое точно соответствует термину «G”omäg» масорской рукописи Библии, термину «Гамер / Гомер» Септуагинты и «Гомер»-у Иезекииля («Гомера со всеми отрядами его, дом Фогарма, от пределов севера...», Иез. 38 : 6).

Надеемся, что дальнейшие археологические исследования в регионе КвемоКартли обогатят новой информацией наши знания в вопросе пребывания или отсутствия киммерийцев на Южном Кавказе. Здесь же заметим, что наличие ценных с этой точки зрения данных мы пока констатировать не можем.

¹⁵ Г. А. Меликишвили. Урартские клинообразные надписи. – М., 1960, с. 438.

¹⁶ Там же, с. 323-334.

¹⁷ Там же, с. 273-322; ср.: 323-334.

¹⁸ Н. В. Арутюнян. Топонимика Урарту. – Ереван, 1985, с. 76, 258-259; М. А. Данадаев. Данные вавилонских документов VI-Vвв. до н. э. о саках // ВДИ, № 1, 1977, с. 15-17.

¹⁹ Д. Бердзенишвили. Очерки по исторической географии Грузии. – Тб., 1979, с. 103..



სამუშაო-ისტორიული ჟურნალი

Scientific-Historical Journal

სევერიკი

SVETITSKHOVELI



РЕЗЮМЕ

КИММЕРИЙЦЫ И ЮЖНЫЙ КАВКАЗ

Н. Хазарадзе, академик

На основе анализа и сопоставления данных ассирийских и урартских надписей, ономастического материала, с учетом научных изысканий последних десятилетий в статье высказано предположение, согласно которому местонахождение киммерийцев (^{KUR}Ga-mir-ra, ^{KUR}Ga-a-me-ra-a), упоминающихся в ассирийских письменных источниках эпохи царствования Саргона II-го (722-705 гг. до н. э.) и Руса I-го (735-714 гг. до н. э.), следует локализовать севернее Бамбакского хребта, на сопредельной с Джавахети территории Kvemo (Нижней) Картли.



**გენდერული თანასწორობა
ზემონისფური თეოლოგიის ჰილლში
და მართლმადიდებელი ეკლესიის
პანონიპურ-ლიტურგიკული ღმესი**

ძლიერების აღმართების და მოწოდების დოქტორი

XX საუკუნე ისტორიაში შევიდა, როგორც ფასეულობათა რადიკალური ცვლილებების საუკუნე. ადამიანთა ძირითადი უფლებებისთვის, თავისუფლებებისთვის და ყველანაირი შეზღუდვების (ზოგიერთ შემთხვევაში, ზნეობრივიც)²⁰ წინააღმდეგ ბრძოლამ შექმნა ახალი ტიპის ადამიანი, რომელშიც რელიგიისთვის ადგილი თითქმის აღარ არის. თანამედროვე სეკულარულ სამყაროში თუ მიღებულია საუბარი ღმერთზე, ისიც მხოლოდ იმ შინაარსით, რომ ის იყოს მორგებული ადამიანის სუბიექტურ წარმოდგენებსა და ამქვეუნიურ მატერიალურ სურვილებს. მიზნად არის დასახული არა ადამიანის გადმერთება, არამედ პირიქით – ღმერთის „გაადამიანება“, ეკლესია აღარ არის მიჩნეული ღმერთთან შეხვედრის და ცხონების კერად, არამედ, უკეთეს შემთხვევაში, ფსიქოთერაპიის ალტერნატივად.

ჩვენი დროის ერთ-ერთ მოდერნისტულ იდეოლოგიად იქცა ფემინიზმი, რომელიც, სხვათა შორის, გაუკუდმართებულ ეთიკას (აბორტების ლიბერალიზაციას, პროსტიტუციის ლეგალიზაციას), სოციალურ დაპირისპირებას (მეუღლების, მშობლების აზრის გაუთვალისწინებლობას) და ზოგადად, ოჯახის ინსტიტუტის დანგრევას იწვევს.

სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ფემინიზმის ისტორიაში გაიარა ორი არსებითი ეტაპი: პირველი – დაწყებული XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან, როდესაც რეალურად ეკროპისა

და ამერიკის კონფინგებზე თანდათან ვითარდებოდა ქალთა ემანსიპაციისთვის, ანუ მათი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებებისთვის ბრძოლა. ის, რომ ჩვენს თანამედროვე ქალებს უფლება აქვთ, მიიღო ელემენტარული თუ უმაღლესი განათლება, იქონიონ სამსახური, ხელმძღვანელი თანამდებობიც კი, აირჩიონ და იყვნენ არჩეულები და ა.შ., ეს ყველაფერი ბევრზილად XIX საუკუნის ფემინისტური მოძრაობის დამსახურებაა.

ფემინიზმის მეორე ფაზა დაიწყო უკვე XX საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც მიზანს აღარ წარმოადგენდა მამაკაცთა და ქალთა უფლებრივი თანასწორობა, არამედ – ე.წ. „მამაკაცთა ელიტის“ წინააღმდეგ ბრძოლა. ვრცელდება იდეოლოგია, რომლის მიხედვითაც საზოგადოების ცენტრში და ყველაფრის საზომად უნდა იდგეს ქალი, ხოლო მამაკაცების, როგორც „აგრესორების“, სოციალური სტარუსი მაქსიმალურად უნდა იზღუდებოდეს.

ფემინიზმის ერთ-ერთმა ყველაზე უკუდმართულმა მიმართულებამ ქრისტიანულ თეოლოგიაშიც შეაღწია. ჯერ კიდევ 1895 წლს გამოცემულ იქნა ე.წ. *Woman's Bible*, რომელიც ფემინისტების ერთ-ერთ ძირითად იდეოლოგიურ ბაზად იქცა. ედერდება მოთხოვნა, რომ ღმერთზე საუბრისას, მამრობითი სქესის ნაცვალსახელი (*ინგლისური He, ან რუსული Oh*) შეცვლილ იქნას მდედრობითი სქესის ნაცვალსახელით (*She, Oha*).²¹

ფემინისტური თეოლოგიის გავრცელების ერთ-ერთი თვალსაჩინო შედეგი პროტესტანტულ სამყაროში ქალთა სამღვდელოების გაჩენა გახდა. წინამდებარე სტატიაში შევაცდებით, განვიხილოთ ფემინისტების ის არგუმენტები, რომელთა საფუძველზეც ისინი ცდილობენ, დაასაბუთონ ქალთა სამღვდელოების არსებობის აუცილებლობა და წარმოვაჩინოთ მართლმადიდებელი ეკ-

²⁰ მაგალითად, პიპების და პანკების მოძაობები, რომლებიც, ერთის მხრივ, თავისუფალი სიყვარულის ანუ სექსის და მეორეს მხრივ, საზოგადოებრივ ურთიერთობებში ანარქიის მქადაგებლები იყვნენ.

²¹ Emil Jurcan, *Feminismul, o analiza teologica*, Ed. “Reintregirea”, Alba Iulia, 2000, p. 12-13.



ლესის სწავლება ამ საკითხთან დაკავშირებით.

ფემინისტების ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი, რომელსაც ისინი იყენებენ ხოლმე ქალთა მღვდლობის დასასაბუთებლად, ეყრდნობა პროტესტანტული ეკლესის სწავლებას საყოველთაო მღვდლობის შესახებ. კერძოდ, პროტესტანტები არ განასხვავებენ ხამეფო, ანუ იგივე საყოველთაო მღვდლობას, იურარქიული, ანუ იგივე ხაკრამენტალური მღვდლობისაგან, არადა ამ ორი ტიპის მღვდლობას შორის განსხვავება ძალზე ნათლადა მოცემული წმინდა წერილში. მაგალითად, საყოველთაო სამეფო მღვდლობის შესახებ პეტრე მოციქული წერს: და თქვენცა, ვთარცა ლორნი ცხოველნი აღ შენებოდეთ ხახლად სულიერად, სამღვდელოდ წმიდად, შესაწირავად მხევრბლთა სულიერთა, სათხოთა ღმრთისათა იესუ ქრისტეს მიერ. თქვენ, ნათესავი რჩეული, სამეფო სამღვდელო, თესლი წმიდა, ერთ მოგებული, რაითა სათხოებათა მიუთხოვთ, რომელმან-ივი ბნელისაგან გიწოდა თქვენ საკირველსა მას ნათელსა მისა. რომელმან ებე მდებარე არა ერ, ხოლო აწ ერი დათისა, რომელნი-ებე მდებარე არა შეწყალებულ, ხოლო აწ შეიწყალებით (1 პეტრე 2: 5,9,10).²²

მართლმადიდებელ ეკლესიაში სამეფო მღვდლობის შესახებ სწავლება არსებობს იმ შინაარსით, რომ ქრისტეს ეკლესიაში ყველა „მეფე და მღვდელია“, ყველა შეიყვანება წმინდათა წმიდათაში, ყველანი მიეკუთვნებიან „გამორჩეულ ერს“.²³ მაცხოვარმა იესო ქრისტემ შემიყუარნა ჩუქნ და განგუბანნა ცოდვათა ჩუქნთაგან ხისხლითა თვისითა. და მყვნა ჩუქნ სამეფო

მღვდელ ღმრთისა და მამისა თვისისა (გამოცხადება 1: 6).²⁴ განურჩევლად სქესისა, თითოეული მორწმუნე ადამიანი მოწოდებულია, შეასრულოს თავისი „მღვდლობის მისია“ იმით, რომ იყოს საკუთარი ცხოვრების განმშენებელი და დგომისთვის შემწირველი. ამავდროულად, თავისი წმინდა ცხოვრებით, ანუ პირადი მაგალითით იყოს ჭეშმარიტი ღმერთის მადიდებელი, მქადაგებელი და გარემოს მაკურთხეველი.²⁵ აქ შეიძლება გავიხსენოთ დიდი რუსი მოღვაწის წმინდა სერაფიმ საროვალის სიტყვები: „მოიხვეჭო სული წმიდა და თქვენს გარშემო ათასობით ადამიანი ცხონდება“.

ამასთანავე, ეკლესიაში უკვე მოციქულთა დროში არსებობდა იერარქიული საკრამენტალური სამღვდელობა, ანუ არსებობდნენ გამორჩეული ადამიანები, რომლებიც უკარისტიის მსახურებისთვის და ერის წინამდლებად იყვნენ გამორჩეულნი. მოციქულთა საქმეებში მოთხოვნილია შვიდი დიაკვნის გამორჩევისა და კურთხევის შესახებ მსახურებაზე. ქადაგებდნენ რა რომის იმპერიის სხვადასხვა ქალაქებში, მოციქულები იქ აფუძნებდნენ ქრისტიანულ თემებს და აკურთხებდნენ ეპისკოპოსებსა და მღვდლებს. ეპისკოპოსების, მღვდლებისა და დიაკვნების მსახურება იყო წინამდლერობის, მასწავლებლობისა და სულიერი ხელმძღვანელობის მსახურება. იერარქიული სამღვდელოება ეკლესიაში ყველა ქრისტიანის სამეფო სამღვდელოების წაყლობით არსებობს. მღვდელი, რომელსაც ხელთდასხმა აქვს მიღებული, მაგრამ რაღაც მიზეზით ეკლესის განუდგა ან განაყენებ, და რომელიც ამგვარად აღმოჩნდა მისი ორგანიზმის გარეთ, გამოაკლდა საღვთო ერის სამე-

²² ახალი აღთქმაი უფლისა ჩუქნისა იქნა ქრისტები, საქართველოს საპატიოარქოს გამოცემლობა, თბილისი, 1995, გვ. 293.

²³ მიტროპოლიტი ილარიონი (ალფეევი), სარწყენიერის საიდუმლოურება, გამ. „ფერისცვალება“, თბილისი, 2013, გვ. 194.

²⁴ ახალი აღთქმაი უფლისა ჩუქნისა იქნა ქრისტები, გვ. 464.

²⁵ Emil Jurcan, *Feminismul, o analiza teologica*, p. 172-173.



ფო სამდგრადოებას, კარგავს თავის სამდგრადოსახურო უფლებას.²⁶

სამეცნ მდგრადობა მორწმუნებს ენიჭება ნათლობის საიდუმლოს შესრულებისას, ხოლო იერარქიული მდგრადობის შემთხვევაში, წმინდა წერილი ნათლად გვიჩვენებს, რომ ჯერ ხდებოდა ამ მსახურებისთვის ღირსეული ადამიანების გამორჩევა და შემდეგ სპეცილური რიტუალით – ხელთდასხმით მათი კურთხევა, ანუ მათზე სრულდებოდა საიდუმლოება, რომლის მეშვეობითაც მათზე გადმოდიოდა სულიწმიდის მადლი და ეძლეოდათ საეკლესიო საიდუმლოებების შესრულების უნარი: „ხუ უდებ-ჟუფ, რომელ-ეგე არს შენ თანა მადლი, რომელი მოგეცა შენ წინასწარმეტყულებითა, დასხმითა ხელთა ხუ-ცობისათა (1 ტიმ. 4: 14);²⁷ „...მოგახსენებ შენ განცხოველებად მხურვალედ მადლისა მას დმრთისასა, რომელ არს შენ თანა დასხმითა ხელთა ჩემთაითა“ (2 ტიმ. 1: 6).²⁸

მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლების მიხედვით, მდგრადობა უფლება კი არაა, არამედ – **მსახურება** და ამავდროულად, წინამდოლობისა და მორჩილების მძიმე ჯვარი. ზოგადად, ეკლესია არ განიხილავს დვითისმსახურებას ან ნებისმიერ სხვა მსახურებას უფლების შინაარსით, არამედ – **მოწოდებისა** და **ნიჭის** შინაარსით. პავლე მოციქული ამბობს, რომ მოწოდებისა და ნიჭის შესაბამისად, დმერთმა ეკლესიაში თითოეულ მორწმუნებს თავთავისი მსახურება განუჩინა. ხოლო განყოფანი მადლობანი არიან, და იგივე სული არს. და განყოფანი მსახურებათანი არიან, და იგივე თავადი დამერთო არს, რომელი შეიქმნება უფლებადაკლებული, დაკნინებული ან დისკრიმინირებულია, არამედ ის უბრალოდ სხვაა.

და ახორი ახოთა მიხთაგანნი. და რომელიმე დაადგინნა დმერთმა უკლებიათა: პირველად მოციქული, მეორედ – წინასწარმეტყულები, მესამედ – მოძღვარი, მერმე – ძალი, მაშინდა მადლინი კურნებათანი, შეწევნანი, ღუწოლანი, ოუსლად-თუსლადი ენათა (I კორ. 12: 4-6, 27-28).²⁹ როგორც მოყვანილი ციტატიდან ჩანს, ეკლესია შედარებულია ადამიანის ორგანიზმს, სადაც თითოეულ ნაწილს თავისი პირადი განუმეორებელი ფუნქცია – მსახურება გააჩნია. როგორც ადამიანზე არ შეიძლება თქმა, რომ გულს გულობის უფლება აქვსო, ხოლო ღვიძლი ან თირკმელები დაჩაგრული და დისკრიმინირებულია, რადგან ამ უფლებას მოკლებულია, ანალოგიურად, ეკლესიაშიც აბსურდულია უფლებების პარამეტრებით საუბარი. ამიტომ, ის ფაქტი, რომ ქალი არ ხდება საკრამენტალური იერარქიული სამდგრადოების წევრი, ეს არ ნიშნავს, რომ ეკლესიაში მისი მსახურება უფლებადაკლებული, დაკნინებული ან დისკრიმინირებულია, არამედ ის უბრალოდ სხვაა.

რაც შეეხება პროტესტანტობას, ის არ აღიარებს არც მდვდლობის და საერთოდ, არცერთი მსახურების საიდუმლოს ხასიათს, რომლის დროსაც მორწმუნის სულს ხილული სახით გადაეცემა უხილავი საღვთო მადლი.³⁰ პროტესტანტი პასტორის ფუნქცია შემოისაზღვრება მასწავლებლობა-ქადაგებით და სამრევლოს ხელმძღვანელობით. მსგავს ფუნქციებს მართლმადიდებელ ეკლესიაშიც ასრულებენ ხოლმე ქალები: ასწავლიან სამრევლო სკოლებში და ხელმძღვანელობენ მათ, იღუმენიები მართავენ დედათა მონასტრებს და სულიერ-ზნეობრივ დამრიგებლობას უწევენ მონაზვნებს.

²⁶ მიტროპოლიტი ილარიონი (ალფეევი), სარწმუნების ხასიათების გვ. 195.

²⁷ ახალი აღთქმაი უფლება ჩუქისა იქნა ქრისტები, გვ. 429.

²⁸ ახალი აღთქმაი უფლება ჩუქისა იქნა ქრისტები, გვ. 433.

²⁹ ახალი აღთქმაი უფლება ჩუქისა იქნა ქრისტები, გვ. 359-361.

³⁰ პროტოპრესიგირენი მიხეილ პომაზანსკი, დოგმატური დამოუმზუდებელები, გვ. 231-232.



100



ამიტომ პროტესტანტებში სრულიად ბუნებრივია ის, რომ ქალი ასრულებს პასტორის ფუნქციას. არცერთი პასტორი არ ასრულებს ევქარისტიას იმ გაგებით, რომ მადლით ხდებოდეს საიდუმლო სერობის გაცოცხლება, მისი ჩვენს დროში აქტუალიზება, მასში თანამონაწილეობა. მთელი მართლმადიდებლური წირვა არის იქსო ქრისტეს შობის, ქადაგების, ჯვარცმის, აღდგომის და განსაკუთრებით, საიდუმლო სერობის ცოცხალი ხატი, სადაც მდვდელი მაცხოვარს განასახიერებს.

პროტესტანტებმა უარი თქვეს ხატოაყვანისცემაზე, ამიტომ მათი აზროვნება არ არის ხატისებური. შესაბამისად, თავიანთი მსახურების დროს ისინი მხოლოდ ბიბლიური მოვლენების გასახსენებელ თეატრალურ სცენებს დგამენ, სადაც, ჩვეულებრივი თეატრის მსგავსად, დასაშვებია, რომ მსახიობმა საპირისპირ სქესის პერსონაჟის როლი ითამაშოს.

ხოლო, მართლმადიდებელი მდვდელი კი არ თამაშობს, ის განასახიერებს იქსო ქრისტეს. დვთისმსახურების დროს მდვდელი, რასაკვირველია, არ ანაცვლებს მაცხოვარს, მაგრამ წარმოადგენს მის ცოცხალ ხატს. სასულიერო პირი არ ასრულებს საიდუმლოებებს საკუთარი სახელით ან საკუთარი ძალით, არამედ მდვდლის ხელით თავად მაცხოვარი იქსო ქრისტე ნათლავს, შეუნდობს ცოდვებს, აქურთხევს პურსა და ღვინოს და გარდააქცევს მათ თავის სისხლად და ხორცად და ა.შ. ლიტურგიის დროს მდვდელი, ერთის მხრივ, წარადგენს მრევლს დვთის წინაშე და მეორეს მხრივ, განასახიერებს მაცხოვარს მორწმუნების თვალწინის: კერძოდ, მრევლის სახელით ლოცულობს და სთხოვს დმურთს დახმარებასა და წყალობას და ამავდროულად, იქსო ქრისტეს სახელით აკურთხევს ტაძარში მყოფთ. მდვდლის ასეთი ორმაგი ფუნქცია იმით კი არაა განპირობებული, რომ თავად მაცხო-

ვარი ცოცხლად არ იმყოფებოდეს ეკლესიაში, არამედ იმით, რომ კაცობრიობაში მდვდელი იქსო ქრისტეს ცოცხალ ხატს წარმოადგენს. შესაბამისად, რადგან ჩვენ ვიცით, რომ ისტორიაში ძე ლეონისა განხორციელდა მამაკაცის სქესში, ამიტომაც ბუნებრივია, რომ მისი ხატი – მდვდელი, ასევე, მამრობითი სქესისაა. ეს არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, თუ რატომ არ არის მიღებული მართლმადიდებელ ეკლესიაში ქალთა სამღვდელოება.

ფემინისტები მანიპულირებენ იმ ისტორიული ფაქტით, რომ პირველი საუკუნეების ქრისტიანულ ეკლესიაში არსებობდა დიაკონისების, ანუ იგივე დედა-დიაკონების ინსტიტუტი. მართალია, I-V სს. დიაკონისებს მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობები ეკისრებოდათ, კერძოდ, ისინი ეხმარებოდნენ ეპისკოპოსებს ნათლისლების საიდუმლოს შესრულებაში, მონაწილეობდნენ ეკარისტიის მოზადებაში და ა.შ. შეიძლება ცოტა განსხვავებული ფორმით, მაგრამ დიაკონისების მსახურება შენარჩუნებულია დღესაც საბერძნეთის, რუმინეთის და სხვა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების დედათა მონასტრებში, სადაც ზოგიერთ გამორჩეულ მონოზონს კურთხევა ეძღვა, შედიოდეს საკურთხეველში, ალაგებდეს მას და ეხმარებოდეს მდვდელს დვთისმსახურების ჩატარებაში. დღესაც ძალაშია „დიდ სკულისკანონში“ შეტანილი წმიდა ნიკოფორე აღმსარებლის კანონი, სადაც ნათქვამია, რომ „მონოზენებს (დედებს) შეუძლიათ შევიდნენ წმინდა საკურთხეველში სანთლებისა და კანდელის ასანთებად, ასევე, საკურთხევლის დახალიაგებლად და გამოსაგებლად“³¹ მაგრამ რასაც არასდროს ასრულებდნენ და ახლაც არ ასრულებენ დიაკონისები ან მონაზვნე-

³¹ მართლმადიდებელი ეკლესიის კანონები ებისკოპოს ნიკოფილის (მილაში) განმარტებებით, II ტომი, გამ. „ალილო“, თბილისი, 2011, გვ. 498.



ბი, ეს წირვის ჩატარებაა. ისინი თვითონ არ ასრულებდნენ არცერთ საიდუმლოებას და დვოისმასახურების დროს, არ ლოცავდნენ მრევლს ქრისტეს სახელით. ისინი ლიტურგიკულად არას-დროს განასახიერებდნენ მაცხოვარი იქნება ქრისტეს და ამიტომ დიაკონის ბის ინტიმური ვერ იქნება ქალთა სამღვდელოების შემოღების არგუმენტი.

ამავდროულად, როგორც მიტროპოლიტი ილარიონ ალფეევი აღნიშნავს, „მღვდლობა იმთავითვე წარმოადგენს სულიერ მამობრივ მსახურებას. ქალი შეიძლება იყოს დედა, ცოლი, ასული, მაგრამ ის მამა ვერ იქნება. დედობა, თავისი დირსებით, მამობაზე ნაკლები არ არის, მაგრამ ეს სხვა მისიაა, სხვა მსახურებაა. რითო განსხვავდება მამობა დედობისგან, იცის მხოლოდ ბავშვმა, თუმცა მას არ შეუძლია ეს სიტყვებით გამოხატოს. სულიერი მამობის განსხვავება ნებისმიერი სხვა მსახურებისგან იცის ყოველმა ქრისტიანმა, ვისაც სულიერი მამა ჰყავს... სულიერი მამობა ეკლესიაში უადრესად მნიშვნელოვანია და ეკლესიას არ სურს, ეს დამოკიდებულება დედაკაცისთვის (მისთვის არადამახასიათებელი) ასეთი მსახურების დაკისრებით დაკარგოს. ეკლესიის ორგანიზმში თითოეული წევრი თავის ფუნქციას ასრულებს და ამ მხრივ, ის შეუცვლელია. მამობას ვერაფერი ჩაენაცვლება, - მისი დაკარგვით ეკლესია დაკარგავს თავის სიმრთელესა და სისახსეს, და დარჩება უმამო ოჯახად ან ორგანიზმად, აუცილებელი ნაწილის გარეშე.“³²

მამაკაცთა იერარქიულ მღვდლობაზე საუბრისას, აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, ყველა მღვდლელი ატარებს ამ მადლს მხოლოდ იმიტომ, რომ ეკლესიის წევრია, ხოლო ეკლესია „მდედრობითი სქესისა“. პავლე მოციქული ეკლესიას პირდაპირ ადარებს ქალს, რომლის ქმარიც არის თავად მაცხოვარი იქნო ქრისტე: „ცოლი

თვისთა ქმართა დაემორჩილებით, ვითარცა უფალსა. რამეთუ ქმარი არს თავ ცოლისა, ვითარცა ქრისტე თავ არს ეკლესისა, და იგი თავადი არს მაცხოვარი გუამისა. რამედ ვითარცა ეკლესია დამორჩილებულ არს ქრისტესა, გერეცა ცოლის თვისთა ქმართა უღვლითა. ქმართა ვიყვარდეთ ცოლის თვისნი, ვითარცა ქრისტემან შეიყვარა ეკლესია და თავი თვისი მისცა მისთვის. ... საიდუმლო ესე დიდ არს; ხოლო მე კიტუკი ქრისტესთვის და ეკლესისა“³³ (ეფეს. 5: 22-25, 32). მაშასადამე, მაცხოვარ იქნო ქრისტესთან მიმართებაში, ეკლესიის თითოეული წევრი, მამაკაცია ის თუ ქალი, მღვდელია თუ მრევლი, შეიძლება ითქვას, რომ „მდედრობითი სქესისაა“.

არსებობს კიდე ორი სუფთა ფსიქოლოგიური ხასიათის მიზეზი რატომაც ქალთა სამღვდელოების არსებობა არ არის მიზანშეწონილი. პირველი: პროტესტანტებისგან განსხვავებით, მართლმადიდებელი მღვდლების მსახურებაში აღსარებების ჩაბარებაც შედის ხოლმე, რომლების დროსაც ხშირად მძიმე ცოდვების, ცხოვრებისეული სიტუაციების და ზოგჯერ „პიკანტური“ ისტორიების მოსმენაც უწევთ. არ გვინდა, ყველა ქალს ცილი დავწამოთ ჭორიკნობაში, მაგრამ, ზოგადად, ქალებს უფრო უჭირთ ხოლმე საიდუმლოებების შენახვა და ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი იმთავითვე ხდობას დაუკარგავდა მოძღვრის ინსტიტუტს. ამავდროულად, ორი ქალის – მღვდლისა და მრევლის აღსარება სულიერ დამოძღვრას კი არა, ხშირ შემთხვევაში, ორი დაქალის ჭორაობას უფრო დაემსგავსებოდა.

მეორე: რელიგიურ ცხოვრებაში ქალებს უფრო მეტად ახასიათებოთ არა იმდენად შინაგან სულიერ ვნებებზე დაკვირვება და მათთან შებრძოლება, არამედ გარეგნული რიტუალების – ლოცვებისა და მეტანიების რაოდენო-

³² მიტროპოლიტი ილარიონი (ალფეევი), ხარტუმიური საიდუმლოება, გვ. 200.

³³ ახალი აღთქმული უფლისა ჩუქისა იქნო ქრისტეს, გვ. 401.



ბის, ტაძარში დგომის, ჯდომის, მოძრაობის და სხვა წესების შესრულება და დაცვა. ამიტომ, მაგალითობისთვის, მამათა მონასტრებისთვის უფრო მეტად დამახასიათებელია შინაგანი ასკეტიზმი, ხოლო დედათა მონასტრებისთვის ტიპიკონის ზედმიწევნითი შესრულება, ასევე, ტაძრებში მრევლის მიმართ დამოკიდებულებაში მოძღვრებისთვის დამახასიათებელია შედარებით მეტი გაგება, ლომბიერება და შენდობა, ხოლო ქალბატონი მესანთლებისთვის და დამლაგებლებისთვის - მეტი სიმკაცრე, სიხისტე და სიუხეშეც კი. გავიხსენოთ, რომ ზუსტად ქალბატონებს ახასიათებთ ახალგაზრდა გოგონების მკაცრი გაკიცხვა, თუ ისინი, მათი აზრით, ტაძარში შეუფერებელი ჩატულობით შემოდიან.

როდესაც ვსაუბრობთ ქალის მოწოდებასა და მისიაზე ეკლესიაში, უნდა გვახსოვდეს, რომ დედა დვთისა მარიამი წარმოადგენს იმ ხატს, რომელიც უნდა რეალიზდეს თითოეულ მორწმუნე ქრისტიან ქალში. ეკლესია თანამონაწილეობს „დვთისმშობლის მღვდლობაში“, რომელიც უფრო მეტად ღრმა და მნიშვნელოვანია ვიდრე მამაკაცთა ჩვეულებრივი მღვდლობა. წირვის დროს სასულიერო პირი ხელებით ეხება ქრისტეს სისხლსა და ხორცს და აბრძანებს მათ ქვის ტრაჟეზე, დვთისმშობლის შემთხვევაში კი, მან მხოლოდ ხელებით კი არა, მთელი თავისი სხეულით მიიღო ქრისტე და აღზარდა იგი არა ქვის, არამედ თავისი ცოცხალი გულის ტრაჟეზე. დედა დვთისმშობელი რეალურად იმ ტაძრად იქცა, სადაც დამკვიდრდა თავად უფალი ღმერთი. რეალობა არის ის, რომ მამაკაცთა მღვდლობა განპირობებულია დვთისმშობლის მღვდლობით. დედა მარიამს რომ არ ეთქვა სიტყვები „აკა მხევალი უფლისა“ და ამით არ გამოეთქვა თანხმობა, მიეღო სულიწმიდა, შეუძლებელი გახდებოდა ძე დვთისას განხორ-

ციელებაც და კაცობრიობის ხსნაც. ამიტომაც გამბობთ, რომ დედა დვთისა არ არის მხოლოდ წმიდათა შორის უზენაესი მეოთხი ჩვენთვის, არამედ ის წარმოადგენს იმ ხატს, რომელიც უნდა აღიბეჭდოს და გაცოცხლდეს ჩემის გულებში. როგორც უკვე ითქვა, სულიწმიდის მეშვეობით ეკლესია ქალი დვთისმშობლის აღმატებული მღვდლობის თანამონაწილეა, რომელიც განხორციელებული დმერთის დედობას და ამით კაცობრივ და დვთაებრივ ბუნებათა შეერთებას გულისმობას. ამიტომ, ქალთა მღვდლობის შემოღება საკუთარ ბუნებრივ წმინდა დედობრივ მოწოდებაზე უარის თქმასა და სულიერი სუროგაციისპერ გაქცევას ნიშნავს, ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფემინისტური თეოლოგია დვთისმშობლის დამახინჯებულ ხატს გვთავაზობს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ახალი აღთქმაი უფლისა ჩუქნისა იესო ქრისტესი, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1995.
2. მართლადიდებელი ეკლესიის კანონები ეპისკოპოს ნიკოლოზის (მილაში) განმარტებებით, I ტომი, გამ. „აღილო“, თბილისი, 2007.
3. მართლადიდებელი ეკლესიის კანონები ეპისკოპოს ნიკოლოზის (მილაში) განმარტებებით, II ტომი, გამ. „აღილო“, თბილისი, 2011.
4. მიტროპოლიტი ილარიონი (ალფეევი), სარწმუნოების საიდუმლოება, გამ. „ფერისცვალება“, თბილისი, 2013.
5. პროტოპრესვიტერი მიხეილ პომაზანსკი, ღოვანებური ღვთისმეტყველება, გამ. „ლაზარე“, მეორე, შესწორებული გამომცემლობა, თბილისი, 2006.
6. Emil Jurcan, *Feminismul, o analiza teologica*, Ed. “Reintregirea”, Alba Iulia, 2000.



რელიგიური ლექსიკა და
საზოგადოებრივი მრთიანობის
საკითხი
მანანა ტაბიძე, პროფესორი

სპეციალისტები, ცდილობენ რა საზოგადოებრივი ჯგუფების, კოლექტოვების, ერთიანობის საფუძვლების დადგენას, ამ საზოგადოების სოციალური ყოფიერების სხვადასხვა ტიპის პარალიგმას აგებენ: კერძოდ, კოლექტივს ეძებნება ეთნიკური, ენობრივი, კულტურული, ეკონომიკური, სოციალური, გეოგრაფიული და სხვ. თვალსაზრისით ერთიანობის განმაპირობებელი ფაქტორები; თითოეული ამ ფაქტორთაგანით კი აიგება შიდა დიფერენციაციის შემცველი პარადიგმები, რომლებშიც მიზეზ-შედეგობრივ კავშირის გარდა დგინდება ე.წ. პრიორიტეტული ან მეორეხარისხოვანი მახასიათებლები.

პარადიგმის სრულყოფილად გაგებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ე.წ. „შიგნიდან“ და „გარედან“ მოვლენათა დანახვის საფუძველზე ჩამოყალიბებულ წარმოდგენათა გამიჯვნას ერთმანეთისაგან: ერთი მხრივ, როგორ ხედავს კოლექტივი თავის თავსა და საკუთარ ღირებულებებს „შიგნიდან“ (თვითონ), იმ საერთო ცოდნის გათვალისწინებით, რომელიც ამ კოლექტივს ტრადიციამ, ადქმის ერთიანი ხერხების გამოყენებამ ჩამოუყალიბა და ოც ღირებულად იქცა სწორედ ერთიანი მიდგომის საფუძველზე, მეორე მხრივ კი, „როგორ ხედავენ ამ კოლექტივს სხვები და რა იცის თავად ამ კოლექტივმა საკუთარ თავზე სხვათა დამოკიდებულებასთან დაკავშირებით. ეს ორი მიდგომა ძალიან განსხვავებულია და სშირად ერთმანეთის ცვალებადობასაც იწვევს (მაგალითად, კოლექტივის, ერის „შიდა“ ღირსების გრძნობა, სიამავე დამაჯერებელია და გადამდები სხვისთვისაც. ზოგჯერ კი „გარეთა“ და „შიგნითა“ ხედვათა განსხვავებულობა კონფლიქტის საფუძველი შეიძლება გახდეს.

ბო პეტერსონის საინტერესო გამოკვლევა (Petersson, Bo “NAtional Self-Images and Regional Identities in Russia”, 2001, Hampshire, England) ეძღვნება ეროვნული თვითადების საკითხებს რუსეთში და აგებულია იმგვარად, რომ ავტორის მთავარი დასკვნა დამაჯერებლად წარმოჩნდეს; ბ. პეტერსონი შეისწავლის რა 90-იანი წლების მიწურულის რუსეთის პილოტიკური წრეების 110 წარმომადგენლის გამოკითხებით დადგენილ იდენტობის თავისებურებებს, დასკვნის, რომ ეროვნული თვითობა სამოქალაქო საზოგადოებაში დამოკიდებულია არა ეთნიკურ კოლექტივზე, არამედ სახელმწიფო პოლიტიკაზე. ამ ტიპის გამოკვლევები მრავლად იწერებოდა სწორედ 80-90-იან წლებში, მაგრამ 90-იანი წლების ბოლოდან თანდათან განვითარდა საპირისპირ სულისკვეთების გამოკვლევებიც, რომლებიც ამტკიცებენ, რომ თვითობა (ინდივიდისაც და მეტადრე კოლექტივის) უფრო დრმად ყალიბდება, ვიდრე ამას ამა თუ იმ სახელმწიფოს კურსი მოახერხებს. თუმცა საზოგადოებრივ ცნობიერებაზე გარკვეული ზემოქმედება მაინც ხერხდება მმართველობითი სტრუქტურების მეშვეობით. ანუ კოლექტივის ერთობას განაპირობებს „შიგნითა“ წარმოდგენების ერთიანობა. ეს ერთიანობა ჩამოყალიბებული და განპირობებულია გენეტიკური წყობისა და ერთიანი გარემო პირობების (ერის შემთხვევაში, ისტორიის, საზღვრების, კლიმატის, საყოფაცხოვრებო და კულტურული განპირობებების) ერთობლიობით; „გარეთა“ ფაქტორების ზეგავლენით კი შესაძლებელია ამ მყარი ერთობლიობის მხოლოდ მორყევა, „შიდა“ და „გარე“ წარმოდგენათა შორის კონფლიქტის გამოწვევა, ხოლო დროის ამ მონაკვეთში მოვლენათა განვითარებაზე კონტროლის დაწესების ილუზიის შექმნა; თანამედროვე მკვლევართა საკითხი დიდი ჯგუფი ამტკიცებს, რომ რეალურად ამ კონფლიქტის მუდმივად მართვა შეუძლებელია და არც მისი შედეგების კონტროლირება ხერხდება. რამდენა-



დაც კოლექტივი, ერთობა, ეთნოსი, ერი ასეთ ექსტრემალურ, საკონფლიქტო ვითარებაში დრმად „მალავს“ თავის დისკონფორტს და შესაფერის მომენტს ელოდება ამ წინააღმდეგობის თავის სასარგებლოდ გადასაწყვეტად.

თვითობის ნიშანთა შორის ზოგი განსაკუთრებულად ღრმა და მნიშვნელოვანია, ზოგი კი შედარებით ადვილად, თუმცა მხოლოდ ზედაპირულად, მართვადი.

რელიგიური წარმოდგენები ერის თვითობის განსაკუთრებულად მნიშვნელოვან ნიშნებს განეკუთვნება. ენა, რომელიც ერის რაობის უპირველესი ნიშანთაგანია, ადასტურებს ამას, როგორც ისტორიის პირუთვნელი მოწმე.

ე.წ. გლობალ-ეთნოსის შექმნა ამ იდეის ადეპტთა მიერ ორი მიმართულებით მოქმედებას გულისხმობა:

1. ეთნოსის შემაკავშირებელი წარმოდგენები იმგვარ მითებად და ზღაპრებად უნდა გამოცხადეს, როგორსაც კულტურული პროცესის გარკვეული მიმართულებით წარმართვისათვის გამოიყენებდა ძველი (XX საუკუნეები) სამყარო და რომლის თარგზეც ხელოვნურად (და არა ორგანულად) აიგებოდა კულტურული პარადიგმა;

2. შეიქმნას ახალი მითები და ზღაპრები ახალი წესრიგის – გლობალ-წესრიგის – კულტურული პარადიგმისათვის.

ჩვენც სწორედ ამ ორ მოდელში შევამოწმებთ რელიგიურ წარმოდგენათა ენობრივი რეალიზაციის მდგრადობას ე.წ. ახალი პარადიგმის ზეწოლის ვითარებაში.

მეოცე საუკუნეები ქართული საისტორიო და სალიტერატურო წყაროები უხვადა გაჯერებული არა მხოლოდ ქრისტიანული ტერმინლოგითა და გამონათქვამებით, არამედ კულტურულ დისკურსში იმთავითვე ჩადებული ქრისტიანული მსოფლმხედველობით, ურომლისოდაც ტექსტში შეფასების კრიტერიუმის ამოცნობა ვერ მოხერხ-

დება. კომუნიკაციის მონაწილენი საჭიროდ მიიჩნევენ ხოლმე გამონათქვამში იმ საგანგებო ინფორმაციის დაზუსტებას, რომელიც, მათი აზრით, კომუნიკაციის წევრებისათვის ცნობილი არაა. თუ ადრე სიტყვა ქრისტიანი ურჯულოსთან (არაქრისტიანთან) დაპირისპირებისათვის საკმარისი იყო, მეოცე საუკუნიდან ურწმუნო/ცრუმორწმუნის ოპოზიცია გაჩნდა; ამ დაპირისპირებაში უკომენტაროდაც ჩანს სოციალური განპირობებულობა. წესით, ორივე, ურწმუნო და ცრუმორწმუნე, მცდარ ანუ ჭეშმარიტი რწმენის არმქონე ადამიანს უნდა აღნიშნავდეს, მაგრამ საბჭოთა იდეოლოგიის გარემოში „ურწმუნო“ დადებით, ათეისტ, საზოგადოებრივად სასარგებლო, სწორად მოაზროვნე ადამიანს ნიშნავდა, ხოლო „ცრუმორწმუნე“ ღვთის რწმენის მატარებელ ადამიანზე ითქმდა. ამან გადააქცია ეს სიტყვები ერთმანეთის ოპოზიტებად. პოსტსაბჭოურ საქართველოში უმაღალსდგა ქრისტიანის მიმართ ტერმინ „მორწმუნეს“ დადებითი კონოტაცია, ხოლო „ურწმუნო“ დაიცალა იდეოლოგიური კონოტაციისაგან და მხოლოდ რწმენის არმქონე ადამიანის აღმიშვნელად გადაიქცა. 1991 წლის გადატრიალების შემდგომ საქართველოში თანდათანობით დაიწყეს მომრავლება სხვადასხვა ჯურის კონფესიურმა ჯგუფებმა და სექტებმა, რამაც ახალი მარკერის გაჩენის აუცილებლობა წარმოშვა: ახლა ქართველი ქრისტიანი ამჯობინებს მკაფიოდ განმარტოს, რომ მართლმადიდებელია და არა რაიმე სხვა. ასე რომ ჩვენს თვალწინ ჩამოყალიბდა ახალი სოციოლინგვისტური წყვილი, რომელშიც ოპოზიციის ელემენტებიც ძეგა: ქრისტიანი/მართლმადიდებელი, სადაც ქრისტიანი ყველა შეიძლება იყოს, მართლმადიდებელი კი ჭეშმარიტი მორწმუნე და ქართველი.

ენამ მოძებნა გამოსავალი – თავისი ლიტერატურივი ველი სხვათაგან გამიჯნა და საგულდაგულოდ შემოფარ-



გლა. საყურადღებოა, რომ ამ ფარგლებმა მოიცვა არა მხოლოდ სარწმუნოებრივი, არამედ ეროვნული ერთობაც.³⁴

³⁴ გაშასადამე, რელიგია შეიძლება ასიმილაციისაგან ეთნოსის დამცველადაც მოგვევლინოს და ამ ეთნოსის ენისაც. მაგრამ პირიქითაც შეიძლება მოხდეს. ზოგ შემთხვევაში ეთნიკური თვითობა რელიგიური თვითოდენტობით ჩანაცვლების მიზეზიც ხდება. იგი შესაძლოა ეროვნული ანბანისა და დამწერლობის შექმნის განმაპირობებელ ფაქტორად იქცეს, მაგრამ კონფესიურმა დაპირისპირებამ შესაძლოა ეთნიკური ენა გახლინოს, თუკი ერთი ნაწილი მოწყდება ძირითად ენობრივ სხეულს და უარს იტყვის ეროვნულ ანბანსა და დამწერლობაზე.

მაგ. ინდოეთში, რომელიც XII ს-ში მაჭადიანებმა (თურქებმა და სპარსელებმა) დაიყრეს. დამპყრობლებმა შექმნეს თავიანთი ენა „ურდუ“ არაბიზმებისა და სპარსიზმების ფართო გამოყენებით, პინდოსაგან განსხვავებით, რომელიც თავის ნაგარის ანბანს იყენებს. მოგვიანებით ინდოეთს ჩამოშორდა, გამოეყო მუსლიმური პატისტანი, რომელშიც ყოფილი ინდუსტების შთამომავლები მუსლიმებად იწოდებოდნენ, ხოლო ურდუ გამოცხადდა სახელმწიფო და კერძოდ მხოლოდ მუსლიმთა ენად. მუსლიმური თვითმყოფადობის გამოხახაზად ურდუ სისტემატურად ივსებოდა არაბიზმებით, რის შედეგადაც დაშორდა თავის თავდაპირველ ინდოარიულ საფუძვლებს, გადაიქცა რა დამოუკიდებელ ენად. ფუნქციურად და შიდასტრუქტურულად ურდუ არის ენა, დაბადებული ინდოეთის ხალხების შიდა რელიგიური განცოფის, განხეობილების საფუძველზე (ჸ.გ. ტუმანიან (მოსკვა), რელიგია და კულტურული პროცესების ისტორია და კულტურული მართვის აზრი, 2001. გვ. 206-207).

რელიგიის ფაქტორი უადრესად მნიშვნელოვანია ადამიანთა კოლექტივის ერთიანობისათვის, როდესაც კოლექტივი ლაპარაკობს ერთ ენაზე – ამ შემთხვევაში ჩვენ ვბულისხმოთ ერთნაირ დირებულებრივ აღქმას რელიგიური ლექსიკისა. საბჭოეთში საერთო სწორედ ათვიზმის ენა იყო აღმსარებლობის თვალსაზრისით განსხვავებული ხალხებისა. ამდენად კომუნისტური იდეო-

ამჟამად ერთი და იმავე (ან მსგავსი) საგნებისა თუ მოვლენების აღმნიშვნელი ე.წ. სამოქალაქო სიტყვები და რელიგიური შეფასება მუდმივად წარმოქმნის ლექსიკურ წყვილებს, რომელთაც სინონიმურობის მიღმა ერთგვარი ფარული ოპოზიციურობაც ახლავს. ამ რიგისაა: დანაშაული/ცოდვა, რწმენა/იმედი, ცოლს ირთავს(თხოვდება)/ჯვარს იწერს, დაისაჯა/განისაჯა, ინანა(დაინანა)/მოინანია, აღიარა/აღსარება თქვა, ხელი გაუმართა/განიკითხა/შეეწია, დიგტა დაიცვა/იმარხელა, იმღერა/იგალობა, მათხოვარი/დვთის გლახა, უგულო/ურჯულო, დაუნდობელი/უღმერთო, დააკავშირა/აზიარა, კეთილი, სათხო/დვთისნიერი, დეგრადირდა/დაეცა, ხერხი გამოიყენა/იეშმაკა, დაეხმარა/მადლი ქნა, მადლი დაიდო, დააშავა/სული წაიწყმიდა, და სხვ.

რელიგიურ ლექსიკა-ფრაზეოლოგიას თვის სიღრმეში კულტურულ-ნაციონალური, ეროვნული კონტაცია აქვს შენახული, რომლის გახსნაც პლევის საქმეა. მაგ., „შერისხოს წმინდა გორგის მადლმა“, ან „გვარავდეს ხახულის ხატი“ სრულიად ქართული კონტაციისა და ინფორმაციისაა.

ლევი-სტროსის მითოებით ენა არის ერთდროულად კულტურის პროდუქტიც, მისი მნიშვნელოვანი შემაღებელი ნაწილიც და კულტურის არსებობის პირობაც. მეტიც ენა არის კულტურის არსებობის სპეციფიკური საშუალება, კულტურული კოდების ფაქტორი.

ენის როლი მდგომარეობს არა მარტო შეტყობინების გადაცემაში, არამედ, უპირველეს ყოვლისა, იმის შინაგან ორგანიზაციაში, რისი შეტყობინებაც ხდება.

ჩვენს მიერ დასახელებული მაგალითები ცხადყოფს, რომ რელიგიური კო-

ლოგიის ზეგავლენა საბჭოეთის ხალხებზე უდრიდა რესერვის ზეგავლენას. (E.Glyn Lewis, Multilingualism in the Soviet Union, 1972 Mouton, The Hague.Paris, gv. 12);



106



ნოტაციის ლექსიკის დაწყვილება საფრო ლექსიკასთან მკაფიოდ წარმოაჩენს ადამიანურ ფასეულობათა გაგება-გამოთქმის არაართგვაროვნებას და იმას, რომ ქრისტიანული კონტაცია ლექსიკას ზნეობრივი კატალიზატორის ძალას აძლევს.

და ბოლოს, 1979 წ. (იგნისში) ბრიუსელში ჩატარდა I მსოფლიო კონგრესი ენობრივი კონტაქტებისა და კონფლიქტების თემაზე, სადაც მულტილინგვურმა კვლევებმა მრიცვა ენის, ენის გამოყენებისა და ენის ფუნქციონირების სფეროთა მრავალფეროვნების საკითხი. აქ უკვე გამოიკვეთა შიდაენობრივი კონფლიქტების სოციალური ველები, რომ საზოგადოების სოციალურმა დაყოფამ მრავალი ახალი სახეობა მოგცა დღეს, და განსაკუთრებით იმ სფეროებში, სადაც ტრადიცია ეჯახება თანამედროვე პროცესების სპეციფიკურ შედეგებს: ერთი მხრივაა, რელიგია, ეთნიკური თავისებურება და კულტურა და მათი ამსახველი განათლების სისტემა, მეორე მხრივ კი ტექნოლოგია, ინდუსტრია, ქალაქი, ადმინისტრაცია და მისი შედეგი – უტრადიციო ადამიანი – და ამ მოთხოვნებზე დაფუძნებული განათლების სისტემა.


ლიტერატურა

1. Language and Culture, David L.Shaul, N.Louanna Furbee,Copyright 1998 by Waveland Press, Inc.
2. Geography and Tranitions in the Post-soviet Republics,1997, Ed. by Michael J.BradSaw.School of Geography, University of Birmingham.
3. E.Glyn Lewis, Multilingualism in the Soviet Union, 1972 Mouton, The Hague.Paris
4. Petersson, Bo "NAtional Self-Imeges and Regional Identities in Russia", 2001, Hampshire, England



**დებანოზი ბესარიონ ნიუარაძე
(1852-1919) და გართული ეთნოგრა-
ფის ისტორია
როზება გუკეჯიანი, პროფესორი**

დებანოზი ბესარიონ ნიუარაძე მრავალმხრივი მოღვაწეა. მას დიდი წელი მიუძღვის ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების განვითარების საქმეში. დებანოზ ბესარიონის მიერ შექმნა დიდი ეთნოგრაფიული ინფორმაცია მრავალმხრივ ფასეულია დღესაც და აქტიურად გამოიყენება ქართველ თუ უცხოელ ეთნოლოგთა მიერ.



**დებანოზ ბესარიონ ნიუარაძის ცხოვ-
რებისა და მოღვაწეობის ძირითადი
ასპექტები**

დებანოზ ბესარიონ ნიუარაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი ასპექტები ჯერ კიდევ სრულად არ არის შესწავლილი და გამოვლენილი. დებანოზ ბესარიონის, მისი დიდი დაწლისათვის, აკაკი შანიძე „სვანეთის ბურჯე“ უწოდებდა.

ბესარიონ ნიუარაძე უშგულელი გახდათ. დაიბადა ზემო სვანეთში უშგულის თემში სიოშ ნიუარაძის ოჯახში.

1852 წლის 21 ნოემბერს. ბესარიონი (ნათლობამდელი სახელით - გუა) აღიზარდა ტრადიციულ ქართულ ოჯახში, სადაც მიიღო საშინაო განათლება. შემდეგ კი მისი ცხოვრების შეიცვლა წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის დამსახურებით. ცნობილია, ამ დიდმა მოღვაწემ სვანეთში ორჯერ იმოგზაურა. პირველი მოგზაურობის (1866 წელი) შემდეგ იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა „ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებას“ სვანეთის მოწავლებისათვის შვიდი სტიპენდია დაანიჭინა. ერთ-ერთი სტიპენდიანებთაგანი გახდა პატარა ბესარიონი და ის ჩაირიცხა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში (1869-1874 წწ.) [1].

1874 წელს ბესარიონი სწავლას აგრძელებს თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც ის სწავლობდა 1878 წლამდე, რა დროსაც ავად გახდა და იძულებული შეიქმნა, სწავლა შეეწყვიტა. სემინარიაში სწავლის დროს ბესარიონი დაუმეგობრდა ნიკო ხიზანიშვილ-ურბნელს, იონა მეუნარგიას, სოფრომ მგალობლიუმშილი, თედო უორდანიას და სხვებს.

1878 წლიდან ბესარიონ ნიუარაძე სვანეთს უბრუნდება. 1878-1883 წლებში მუშაობს სვანეთის საბოქაულოში საქმის მწარმოებლად. 1883 წელს ბესარიონის გზავნიან ქუთაისის სათავადაზნაურო სასწავლებელში და აქ ის მასწავლებლად მუშაობს 1892 წლამდე.

1891 წელს ბესარიონ ნიუარაძე დაქორწინდა ალექსანდრა პავლეს ასულ ნორაკიძეზე. ახალდაქორწინებულები გაემგზავრნენ სვანეთში იფარის თემში, სადაც ბესარიონი მასწავლებლად იყო დანიშნული.

1892 წელს ბესარიონის ცხოვრებაში ახალი იტაპი იწყება, – ის სასულიერო მოღვაწე ხდება: ამ წელს სვანეთში იმოგზაურა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა და მან ბესარიონი მღვდლად აკურთხა. მამა ბესარიონი თვდაპირველად სასულიერო მოღვაწეობას იწყებს იფარის წმიდა გიორგის ეკლესიაში, შემდეგ ის გადაჰყავთ მესტიის წმიდა გიორგის ტაძარში.



სასულიერო დგაწლის პარალელურად, მაგა ბესარიონი, უწყვეტად ზრუნავდა სვანეთის მოსახლეობის წიგნიერი დონის ამაღლებისთვის, ასწავლიდა ბაგშვებს, დაითოდა სხვადასხვა თემში და კრებდა სიძველებს, იწერდა ეთნოგრაფიულ მასალას.

ბესარიონს ჰყავდა სამი შვილი, რომელთაც მამამ კარგი განათლება მიაღებინა. ბესარიონი ადრე დაქვრივდა. მან თავისი ცხოვრების ბოლო მეოთხედი სვანეთში გაატარა.

დეკანოზი ბესარიონი გარდაიცვალა 1919 წელს. დაკრძალულია უშგულის ღვთისმშობლის ეკლესიის („ლამარია“) გალავანს შიგნით. დეკანოზ ბესარიონის გარდაცვალება დიდი დანაკლისი იყო საქართველოსათვის. 11 მაისს თბილისის საზოგადოებამ დეკანოზ ბესარიონ ნიჟარაძის პანაშვიდი გადაიხადა ქაშვეთის ეკლესიაში.

დეკანოზ ბესარიონ ნიჟარაძის მიერ პრესაში დაბეჭდილ ეთნოგრაფიულ წერილთა ერთი ნაწილი გამოქვეყნებულია ცალკე კრებულებად. 1962 და 1964 წლებში გამოქვეყნდა ბესარიონ ნიჟარაძის ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილების ორტომეული. გამოცემის რედაქტორია ცნობილი ეთნოლოგი ალექსი რობაქიძე. ალექსი რობაქიძეს დიდი წვლილი მიუძღის დეკანოზ ბესარიონ ნიჟარაძის დგაწლის გამოვლენისა და შესწავლის საქმეში. ამ მხრივ აღსანიშნავია სამართლის ისტორიკოსის, ივანე სურგულაძისა და ეთნოლოგ რუსუდან ხარაძის დგაწლიც. ბესარიონ ნიჟარაძის რამდენიმე წერილი შესულია 1973 წელს გამოქვეყნებულ კრებულში „ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე“ [2]. ლირსეფული წინაპრის სახელის უკვდავეოფას და მისი მეცნიერული შემოქმედების პოპულარიზაციას დიდი ამაგი დასდო ენათმეცნიერმა ლელა ნიჟარაძემ. წინამდებარე სტატია ეძღვნება დეკანოზ ბესარიონის სამეცნიერო დგაწლს, მისი პუბლიკაციების

მნიშვნელობას საქართველოს ეთნოლოგისათვის.

დეკანოზ ბესარიონ ნიჟარაძის ეთნოგრაფიული დგაწლი

ბესარიონ ნიჟარაძემ ჯერ კიდევ ერისძაცად ყოფნის დროს დაიწყო პუბლიციისტური მოდგაწეობა (1873 წელი). მისი პირველი წერილები ეთნოგრაფიულ მასალას შეიცავს და დიდი მნიშვნელობისაა მეცნიერებისათვის – უძვირფასესი წყაროა საქართველოს მთიელთა ყოფა-ცხოვრების, რელიგიის, სოციალური ურთიერთობების, კულტურულ-სამეურნეო ტიპის შესწავლისათვის.

დეკანოზი ბესარიონი ზოგიერთ სტატიას სამწერლობო ფსევდონიმებით აქვეყნებდა. მის ფსევდონიმთაგან ყველაზე უფრო გავრცელებულია „თავისუფალი სვანი“, ის, აგრეთვე, იყენებდა სხვა ფსევდონომებსაც: „ბ.თ. სვანი“, „თ. სვანი“, „ბეგბანი“, „სვანი“, „თ-ი სვანი“, „ბ. სვანი“, „ბეს. სვანი“. ზოგჯერ აწერდა საკუთარ გვარ-სახელსაც: ბეს. ნიჟარაძე, ბესარიონ ნიჟარაძე.

დეკანოზი ბესარიონ ნიჟარაძე თანამშრომლობდა თბილისისა და ქუთაისში გამომავალ ეროვნულ-საგანმანათლებლო მიმართულების გაზეთებთან. ის ხშირი ავტორია შემდეგი გამოცემების: „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „შინაური საქმეები“, „მწყემსი“, „მოაბე“ და სხვ.

ბესარიონ ნიჟარაძის ეთნოგრაფიული შინაარსის წერილები თემატურად მრავალფეროვანია. იგი აღწერს სვანეთის ტრადიციულ ყოფას: ხალხურ რწმენა-წარმოდგენებს, საოჯახო ურთიერთობებს, ნათესაობის ფორმებს, ეტიკეტს, ჩვეულებითი სამართლის ნორმებს, სასოფლო თემსა და ხალხური მმართველობის ფორმებს, სამეურნეო საქმიანობას, ხალხურ მედიცინას და სხვ. სწავლული ყურადღებას აქცევს მოსახლეობის სოციალურ პრობლემატიკას:



სიდარიბეს, უგზოობას, უექიმობას, განათლების ნაკლებობას. შეიძლება ითქვას, რომ დეკანოზ ბესარიონ ნიუარაძის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა მოიცავს ქართველ მთიელთა (სვანთა) სულიერი, სოციალურ და მატერიალური ყოფის თითქმის ყოველი სეგმენტის აღწერილობას. ამავე დროს, დეკანოზი ბესარიონი მოგვითხრობს ისტორიულ ამბებსაც. სვანეთის ისტორიის ზოგიერთი მოქმედი მხოლოდ დეკანოზ ბესარიონის აღწერით არის ჩვენთვის ცნობილი.

ცნობილია, ეთნოლოგია, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, დოკუმენტების ანალიზთან ერთად, ფართოდ იყენებს კვლევის ეთნოგრაფიულ მეთოდებს, მათ შორის, საველე კვლევას. დეკანოზი ბესარიონ ნიუარაძე ერთერთი პირველი ეთნოგრაფია, რადგან მისი წერილები სწორედ საველე კვლევას და მჭიდრო აღწერილობის მეთოდს ეფუძნება (თუმცა კი ეს მეთოდი ბევრად გვიან შეიქმნება). დეკანოზ ბესარიონის წერილების განსაკუთრებულ მნიშვნელობას სწორედ ეს ფაქტი განაპირობებს: ავტორი საკუთარი თვალით ნანას და მრავალჯერ გაანალიზებულ ეთნოგრაფიულ რეალიებს აღწერს, ავლენს, დეტალურ მასალასაც და ხშირ შემთხვევაში აანალიზებს კიდევ ინფორმაციას.

მეცნიერებელის 80-90-იან წლებში, როდესაც დეკანოზი ბესარიონი სვანეთის ტრადიციულ ყოფას იკვლევდა, მეცნიერებაში გაბატონებული იყო კვლევის ისტორიულ-შედარებითი მეთოდოლოგია და გადმონაშთების თეორია. ამიტომ ბესარიონის ეთნოგრაფიული თხზულებების თეორიული ამოსავალი სწორედ ეს ორი მეთოდი ხდება, რაც ზოგჯერ სქემატურობის დაღს ასვამს მის ნაწერებს. მაგრამ ბესარიონი გამონაკლისი არაა და ქართული ტრადიციული საზოგადოების ჩასმა განვითარების აღრეულ საფეხურზე მყოფი ჯგუფებისათვის დამახასიათებელ სოციალურ ჩარჩოებში, იმდროინდელ მეცნიერებაში ლამის

ერთადერთ სწორ ხედვად იყო მიჩნეული. ისტორიულ-შედარებითი სკოლის ცნობილი წარმომადგენლის, სამართლ-მცოდნე მაქსიმ კოვალდევსკის ეული სქემები და მიდგომები განსაკუთრებით შესამჩევია სვანეთის სასოფლო თემის, ხალხური თვითმმართველობის ფორმების აღწერისას („სასოფლო ყრიდობა და მისი უფლება, საერთო კავშირი ყველა საზოგადოებათ“) [3]; მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ამგვარი თეორიული ამოსავალი სრულიადაც არ აკნინებს ბესარიონ ნიუარაძის მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალის მნიშვნელობას. ეს ტექსტები უძირფასესი წყაროა ტრადიციული ქართული კულტურის შესწავლისათვის და მეორეული ანალიზი მხოლოდ ამა თუ იმ სოციალური ინსტიტუტის ან რწმენა-წარმოდგენის განხილვის დროს არის აუცილებელი.

დეკანოზ ბესარიონ ნიუარაძის ეთნოგრაფიული წერილების თემატური ჯგუფები:

ა). წერილთა ნაწილი ასახვას სვანეთის ყოველდღიურ ყოფას, მათში აღწერილია სვანეთის ამბები, სიახლეები, დიდთოვლობით, უამინდობით, გვალვით, უგზოობით, უექიმობით, სკოლების არქონით გამოწვეული პრობლემები („უშგულის აღწერა“, „ქართული ენის გავრცელება სვანეთში“, „სახაზინო გლეხნი არიან თუ არა მესაკუთრენი თავისუფალის სვანეთისა“, „სვანები ბარად“ [4], „ხმა სვანეთიდგან“...) [5].

ბ). წერილთა მეორე ჯგუფი მნიშვნელოვანია ქართული ჩვეულებითი სამართლის სრული სურათის რეკონსტრუირებისათვის. დეკანოზი ბესარიონი დეტალურად აღწერს სვანეთის ჩვეულებითსამართალს, მის ყველა კომპონენტს, სამართალ წარმოების ეტაპებს და შინაარსს. ის ხშირად თანამონაწილეცაა ამა თუ იმ სამართლებრივი შინაარსის დავის განხილვისა. დეკანოზი ყურადღებას ამახვილებს სვანეთის სოციალურ ყოფაზე, აღწერს ტიპურ ოჯახს, საოჯახო ურთიერთობებს, ოჯახის წევრთა უფლება-მოვა-



ლეობებს, ურთიერთობების ეტიკეტს, ნათესაობის სიტემებს, სოფლისა და ოქმის ურთიერთმიმართობისა და სოციალური სოლიდარობის ფორმებს. უმნიშვნელოვანებისა დეკანოზ ბესარიონ ნიუარაძის დაგვირვება, რომ სვანეთის საოჯახო ყოფის მარეგულრებელი მექანიზმი სვანური ჩვეულებითი სამართლია, რომელიც, ბუნებრივია, მემკვიდრეა ქველი ქართული საერო სამართლისა და მისი ნაზავია კანონიურ სამართლთან („ცოლ-ქმრობის წესები სვანეთში“, „ჩვეულებრივი უფლება სვანეთში“).

გ). ცალკე უნდა აღინიშნოს დესარიონ ნიუარაძის ის წერილები, რომელიც აღწერილია სვანეთის მოსახლეობის ტრადიციული რწმენა-წარმოდგენები, ტრადიციულ ყოფაში არსებული პაგანიზებული დღესასწაულები. ხალხური დღეობები ავტორს დაყოფილი აქვს კალენდარულად, წლიური კალენდარული ციკლის მიხედვით. იგი ფურადღებით აკვირდება დღეობის ყოველ დეტალს და მოგვითხრობს მათ სულიერ შინაარსსა და გამოხატვის ფორმებზე („სახალხო დღესასწაულები სვანეთში ზამთრობით ჩვეულებითი მართლიერება სვანეთში (შობა-ახალწელიწადი, „ლიფანაალ“, ლიმპარი და ლიქვრაში (ლამპარობა და უძღების კვირე), „სახალხო დღესასწაულები სვანეთში გაზაფხულ-ზაფხულობით და შემოდგომით“). უაღრესად ფასეულია დეკანოზ ბესარიონ ნიუარაძის მიერ აღწერილი სვანური გადმოცემები, რომლებშიც უძველესი ქართული არქაული აზროვნების ელემენტები იხატება: კომოგონიური ლეგენდები, შესაქმის თემა, ავი სულების ბრძოლ კეთილთან და სხვ. („სვანური ლეგენდები ანუ სვანების ამაოდ-მორწმუნებანი (ქვეყნის შექმნა, სამოელი, მზე და მთვარე, სეტყვა, ქუხილი, წვიმა და თოვლი, ყვავილი და წითელა, ამირანი, როსტომ ჭაბუკი“) [6]. დეკანოზი ყურადღებით იწერდა სვანების დამოკიდებულებას

სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემბისადმი, მნიშვნელოვანია სვანის თვალით დანახული იმქვეყნიური სამყარო და თვალსაჩინოა, რომ ხალხური აღქმის ძირითადი მოტივები ბიბლიური და სახარებისეული ცოდნითად განპირობებული („სვანების საიქიო“). საყურადღებოა და ინფორმაციულად ტევადი დეკანოზ ბესარიონ ნიუარაძის წერილი კალის წმიდა კვირიკეს მონასტრის შესახებ [7].

დ). სვანეთის მოსახლეობის ისტორიული მახსოვრობის შესწავლის კუთხით უდიდესი მნიშვნელობისაა ავტორის მიერ ჩაწერილი ლეგენდა-გადმოცემები წმიდა თამარ მეფის შესახებ. ამ მასალით ვლინდება სვანეთის მკვიდრთა მენტალობის ერთი მახასიათებელი – თამარ მეფე სვანებისათვის საქართველოს ძლიერების სიმბოლოა და ეს თემა მუდმივად ცოცხლდება მათში ისტორიის რეპრეზენტაციის უძლიერეს სეგმენტად („თამარ-დედოფალი“) [8].

ე). უძვირფასეს ეთნოგრაფიულ ცნობებს შეიცავს დეკანოზ ბესარიონის წერილი „ოთხი დღე მდ. ენგურის, ცხენისწყლის და რიონის სათავეებში“. ამ წერილში აღწერილი მარშრუტი სწავლულმა თავად გაიარა და დეტალური ინფორმაციაც დაგვიტოვა.

ვ). სწავლული ყურადღებას ამახვილებს ტრადიციულ მედიცინაზეც („მდაბიო ხალხის მეცნალობა სვანეთში“, ხალხურ შელოცვებზე [9], საბავშვო თამაშობებზეც („ზოგიერთი საყმაწვილო თამაშობანი სვანეთში“) [10] და სხვ.

დეკანოზი ბესარიონის წერილები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ეთნოლოგებისათვის, არამედ მისი სტატიების ერთი ნაწილი საისტორიო წყაროცაა, რადგან ავტორი მოგვითხრობს სავნეთის კონკრეტულ ისტორიას, მაგალითად, თუ როგორ ცდილობდა რუსეთის იმპერია სვანეთის მიმხრობას და მის „ნებაყოფლობით“ შეერთებას რუსეთთან („ვინ მიიყვანა 1852 წ. შვიდი



სვანი ბორჯომს მთავარმართებელ თავ-
გორონცოვთან?“); როგორ აჯანყდნენ
სვანები რუსეთის წინააღმდეგ, იგი ხომ
მონაწილე და თვითმხილველია სვანე-
თის 1875-1876 წლების აჯანყებისა,
როდესაც ერთი პატარა სოფელი –
ხალდე – დაუპირისპირდა რუსეთის
უზარმაზარ იმპერიას და თავგანწირვის
საოცარი მაგალითი აჩვენა („სვანების
აღელვება 1875-1876 წლებში“). საყუ-
რადღებო ბესარიონის მიერ აღწერი-
ლი სიუკეტები რუსეთის იმპერიის
მოხელების მიერ ახალი რუკების შედ-
გენისა კავკასიონის ქედზე. ფიქსირ-
დება სანდო ინფორმაცია სვანეთის
სამთავროს კუთვნილი მიწების შესახებ
კავკასიონის ქედს გადაღმა („იალბუ-
ზის გარშემო (დღიურიდგან)“). საინტე-
რესო დეკანოზ ბესარიონის ერთი
მოქლე წერილიც, რომელშიც განხი-
ლულია ტოპონიმი „თუშრე ნალზიგვ“
– „თუშების ნაცხოვრები“ – ადგილობ-
რივი გადმოცემის საფუძველზე („თუ-
შები“) და სხვ. ბევრ ინფორმაციას
გვაწვდის თავად დადეშქელიანთა შესა-
ხებ, მაგალითად, მოგვითხრობს კნეინა
ეკატერინე დადეშქელიანი-ანჩხაბაძის
გარდაცვალების და დაკრძალვის
ამბავს [11], ხოლო წლების შემდეგ
თავად თენგიზ დადეშქელიანის გარ-
დაცვალებისა და დაკრძალვის ამბავს
[12]; ოთარ დადეშქელიანის მიერ ჩატა-
რებული არქეოლოგიური გათხრების
ისტორიას [13]. ფრიად მნიშვნელოვანია
დეკანოზ ბესარიონის მიერ აღწერილი
ისტორია თავად თათარყან დადეშქე-
ლიანის მიერ გაწეული დახმარების
შესახებ სვანეთის დარიბი მოსახლეო-
ბისათვის [14] და სხვ.

ბესარიონ ნიუარაძის მოღვაწეობის
სპეცირი ფართოა და ის გადაწვდა
ლინგვისტურ კვლევებსაც, მან შეად-
გინა სვანური ლექსიკონი. სვანური ამ
დიდ მოღვაწეს საერთოქართულის
ნაირსახეობად და უძველეს ფორმად
მიაჩნდა და აუცილებლად თვლიდა მის
დაცვას და გადარიბებული ქართული
ენის შევსებას სვანურში შემონახული
უძველესი ფუძეებით. დეკანოზი ბესა-

რიონი აქვეყნებს კრიტიკულ წერილს
1864 წელს გამოცემული „ლუშნუ ანბა-
ნის“ (სვანური ანბანი) შესახებ, რად-
განაც ეს წიგნი რუსეთის იმპერიის
მიერ შექმნილი იყო ერთიანი ქართული
ეროვნული სხეულის დანაწევრების
მიზნით. დეკანოზი ბესარიონი აკრიტი-
კებს ამ სახელმძღვანელოს ზოგად
არსეს და მის ცალკეულ კომპონენტებ-
საც. საბოლოოდ კი დაასკვნის: „წიგნი
შეცდომებით არის სავსე თავიდან ბო-
ლობდე. სკოლებში მისი ხმარება ნამ-
დვილს ვნებას მოუტანს სვანების სარ-
წმუნოებრივსა და ზნეობრივს აღზრ-
დას“ [15].

დეკანოზ ბესარიონის პუბლიცისტი-
კის ერთი ნაწილი, რომელიც გაზეთში
„შინაური საქმეები“ ქვეყნდებოდა,
შედარებით უცნობია არათუ ფართო
საზოგადოებისათვის, არამედ სპეცია-
ლისტებისთვისაც კი, რადგან ეს გამო-
ცემა საბჭოთა პერიოდში აკრძალული
იყო და საცავებში ინახებოდა. გაზეთის
რედაქტორი გახლდათ სვიმონ ჭკედ-
ლიძე, ახალმოწამე წმინდანი. ამ გა-
ზეთში დეკანოზ ბესარიონის არაერთი
წერილია დაბეჭდილი. აღვნიშნავ რამ-
დენიმეს: ფაქტობრივი მასალის საფუძ-
ველზე დეკანოზ ბესარიონის შედგე-
ნილი აქვს მეცხრამეტე საუკუნის სვა-
ნეთის სამდვდელოების სია და ბიოგ-
რაფიები („სვანეთის სამდვდელოება,
რუსის მთავრობის მიერ დანიშნული“)
[16]. მნიშვნელოვანია დეკანოზ ბესა-
რიონის წერილი, რომელშიც აღწერი-
ლია წვირმის თემში მცხოვრები ბერ-
მონაზონ თეოფანეს (კორძაია) მოდ-
ვაწეობა [17] და სხვ. ამავე გაზეთში
გამოქვეყნებულია დეკანოზი ბესარიო-
ნის შესანიშნავი წერილი „სვანეთის
ეკლესიათა ხატ-ჯვარი“, რომელშიც
საუბარია სვანეთის (ზემო) 62 ეკლე-
სიის საეკლესიო საგანძურზე [18].

დეკანოზი ბესარიონი იყო მასპინძე-
ლი და გულშემატკივარი სვანეთის ყვე-
ლა სტუმრისა, მათ შორის მეცნიერე-
ბისა თუ უბრალოდ მოგზაურებისა. მისი
დახმარებითა და მხარდაჭერით
სარგებლობდა ყველა მკვლევარი. სვანე-



თის კულტურით დაინტერესებულ მეცნიერთა მოგონებებსა და პუბლიკაციებში საუბარია დეკანოზ ბესარიონის ღვაწლსა და კეთილგანწყობაზე. დეკანოზ ბესარიონს ქმადლიერებიან ცნობილი არქეოლოგი პ. უვაროვა, ზაქარია ფალიაშვილი (1903 წელი), ექვთიმე თავაშვილი (1910 წელი), კორნელი კეკელიძე (1911 წელი) და სხვები. სწორედ დეკანოზ ბესარიონის დახმარებით აღწერა ექვთიმემ სვანეთში დაცული 15 ხელნაწერი, მათ შორის, სრულიად უნიკალური ძეგლი – „დიდი კანონი იერუსალიმის ეკლესიისა“ და ადიშის ოთხთავი. მამა ბესარიონი მასპინძლობდა ნიკო მარს, მიმოწერა ჰქონდა რაფიელ ერისთავთან, დავით კარიჭაშვილთან, ალექსანდრე ცაგარელთან და სხვ. დეკანოზი ბესარიონი დიდი დახმარებას უწევდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“. 1907 წელს დეკანოზი ბესარიონი არჩეულ იქნა (გრიგოლ დიასამიდისა და სერგო გორგაძის წინადაღებით) საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ნამდვილ წევრად.

დეკანოზი ბესარიონი იყო სასულიერო პირი და ასრულებდა რა ამ უდიდეს მისიას, ამავე დროს, გახლდათ სვანეთის სიძველეთა მცოდნე და შემნახველი, არაერთი ხელნაწერისა და საეკლესიო სიწმინდის გადამრჩენი, ეთნოგრაფი, საზოგადო მოღვაწე, მასწავლებელი, გულშემატკივარი მრავალჭირნახული საქართველოსი, მოამაგე სვანეთისა და უკვდავია მისი სახელი, როგორც მოღვაწისა და როგორც მეცნიერისა. მის მეცნიერულ მემკვიდრეობას სწავლობენ უნივერსიტეტებსა და კვლევით ინსტიტუტებში. დეკანოზ ბესარიონ ნიკარაძის ეთნოგრაფიული წერილები დღითი დღე იძენს მნიშვნელობას გლობალური პროცესების ფონზე. ამიტომ საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ გადაწყვიტა ბესარიონ ნიკარაძის პრესაში გაბნეული ცალკეული წერილების შეკ-

რება და კრებულად გამოცემა, რაც ფრიად საშური საქმეა.

ლიტერატურა

1. ბესარიონ ნიკარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, ტ. პირველი, 1962.
2. ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე, თბ. 1973.
3. ბესარიონ ნიკარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, ტ. პირველი და მეორე, 1962 და 1964 წლები.
4. ბესარიონ ნიკარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, ტ. პირველი და მეორე, 1962 და 1964 წლები.
5. გაზ. დროება, №38, 19 თებერვალი, 1885.
6. ბესარიონ ნიკარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, ტ. პირველი და მეორე, 1962 და 1964 წლები.
7. გაზ. დროება, №8, 11 იანვარი, 1880.
8. ბესარიონ ნიკარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, ტ. პირველი და მეორე, 1962 და 1964 წლები.
9. გაზ. ივერია, №215, 7 ოქტომბერი, 1886; იქვე, №219, 11 დეკემბერი, 1886.
10. ბესარიონ ნიკარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, ტ. პირველი და მეორე, 1962 და 1964 წლები.
11. გაზ. დროება, 4 ოქტომბერი, 1879.
12. გაზ. დროება, №96, 8 მაისი, 1885.
13. გაზ. ივერია, №281, 29 დეკემბერი, 1895.
14. გაზ. ივერია, №142, 6 ივლისი, 1894.
15. გაზ. ივერია, №6, 1 სექტემბერი, 1891.
16. გაზეთი „შინაური საქმეები“, №18-19, 1913.
17. გაზ. შინაური საქმეები, №26, 1911.
18. გაზეთი „შინაური საქმეები“, №16-17, 1913,



“სვეტიცხოველი” – ანუ უფლის ბაზრახულობის და შესაძლის არსის ღმილა სიმღერო, ხოლო ღმილა გაბრიელ პერი პი ბურჯი სვეტიცხოველისა, როგორც სულის უპირავებაში შეზავებული ჰეზმარიტებისა

გიორგი ასათიანი, დავით გიორგობიანი

სამყაროში არსებულ, ადამიანის მიერ შექმნილ და ხელმისაწვდომ უკლებლივ ყველა წიგნთაგან, უპირობოდ გამოირჩევა თავისი შინაარსითა და თუნდაც არსით, ბიბლია, ღმერთის წერილი ადამიანებისადმი, მამაზეციერის დარიგება, საჩუქარი, ადამიანის მომავალი მარადიული ნეტარების გზამკლები.

ჩვენი ყველა აზრი, მოქმედება დამოკიდებულია ემპირიული, ცდისეული, ექსპერიმენტით დადასტურებული ინფორმაციის აღქმაზე ჩვენს მიერ, რის შედეგადაც ყალიბდება უკვე ლოგიკური კანონზომიერებების და კანონების ერთობლიობა ჩვენს გონებაში და მონაცემთა ასეთი „ბუკეტი“ კი იწვევს უკვე შემდგომ ქმედებებს, რაც საბოლოო ჯამში განსაზღვრავს კიდეც ჩვენი ცხოვრების არსეს, მიზანს და შედეგს - საიდან მოვედით, რანი ვართ, საით მივდიგართ, რისთვის ვარსებობთ. წმიდა გაბრიელ ბერი სიცოცხლეშივე ხშირად უსვამდა თურმე თავის მრევლს ამ კითხვას: **„აბა მოყვასხო იქნებ მთხრათ რისთვის კამთ და ვსვამთ?“** - მას შემდეგ რაც მოისმენდა მრავალფეროვან პასუხებს, რომელთაგან ზოგიერთი მართლაც შეიძლებოდა სწორი ყოფილიყო, თვითონაც განმარტავდა ხოლმე: **„სასუფელისთვის უნდა კამთ და ვსვამთ!“** აი, სწორედ ეს თეზისი გახდავთ ჩვენი სტატიის მთავარი ლეიტმოტივი. მართლაც, მოდით დაგვიქრდეთ, რისთვის, და რა მიზნით შექმნა უფალმა ყოველივე და მოიყვანა არარსებობიდან არსებობაში? დოგორ, ნუთუ იმისთვის რომ დავიღებოთ, ანუ განვშორდეთ უფალს სამუდამოდ?

ანდა ვიყოთ ათეისტები და გავქრეთ გარდაცვალების შემდგომ, როგორც მათი მსოფლმხედველობიდან გამომდინარეობს? ჩვენ ხომ ცხადად ვხედავთ და მთელი სამყაროს არსებობისა და სიცოცხლის პროცესი ხომ ნათელი მაგალითია შემოქმედის არსებობის დასაბუთებისა და იმისა, რომ შემოქმედი უქმნებია და მისი არსებობა უტყუარი ფაქტია. ისიც ხომ ადვილად აღქმადია, რომ მისი ქმნილებები ვართ, მაგრამ მისივე მსგავსი და აქედან გამომდინარე კეთილად ქმნულნი? მაშინ რატომ არ ვუფიქრდებით იმ გარემოებას, თუ რა იყო უფლის განზრახულობა, როდესაც ინება და პქმნა ყოველივე არსებული? თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ეს განზრახულობა შესაჭმის პირველივე სიტყვიდანვე გამოსჭვივის, იმზირება და ეხლა კი მოდით განმვმარტოთ, თუ რატომ, როგორ ხდება ეს ყოველივე ამბვარად.

დასაბამად - შესაქმის ეს პირველივე სიტყვა ებრაულში გამოითქმის როგორც „ბერეშიტ“ და ნიშნავს „თავდაპირველად“, „დროის დასაწყისში“.

რსებობს წმიდა მამათა მრავალი განმარტება ამ სიტყვისა, თუ რას ნიშნავს იგი, მაგრამ ის, რასაც დღეს ვეცდებით განგიმარტოთ ჩვენი აზრით სიახლე იქნება ადამიანის ცნობიერებაში. ჩვენ ვეცდებით დავინახოთ შესაჭმის პირველივე სიტყვაში ის უკეთილშობილესი განზრახვა დგომისა, მიზანი, რაც ჩადებული იქნა მის მიერ შესაჭმის პირველივე ქმედებაში - **დასაბამად!** ნუთუ ეს სიტყვა მხოლოდ დროის და სივრცის დასაწყისის გამომხატველი იქნება მხოლოდ? შეიძლება დრო ან სივრცე შეიქმნას და მერე არსებობდეს რაიმე მიზნის, განზრახულობის გარეშე? შემოქმედთან ურთიერთმიმართების გარეშე? შემოქმედისგან დამოუკიდებლად აზრი აქვს რაიმეს? მოდით აქ ცოტათი მაინც ისევ ისტორიული პერიპეტიები მოვიშველიოთ და ვეცადოთ უფრო ნათლად წარმოვაჩინოთ სათქმელი.

როდესაც მავანნი, ე.წ. მეცნიერნი, თვითდაჯერებულად გვიხსნიან, ჩვენ,



რომ თითქოს ყველაფერი დაიწყო მყისიერად, უეცრად და ამას ინფლაციის და დიდი აფეთქების თეორიას უწოდებენ, მეგობრებო იქნებ მოიკრიბოთ სითამამე, გეყოთ გამბედაობა და ჩემთან ერთად იკითხოთ: **უკი გაგრამის დალოცილებოთ, თუ ერთ უამრავი წყაროებით დადასტურებული წმინდა მამათა და კორიფე მეცნიერთა ნააზრები უფლის უტყუარი არსებობის შესახებ არ გამაყოფილებოთ, მაშინ იქნებ ეს კითხვა მაინც გაგთხნდეთ აზრად და იკითხოთ - რა აფეთქდა? საიდან მოვიდა ან განხდა ის მატერია, ენერგია თუ სხვა რამ სუბსტანცია, რაც აფეთქდა?**" ეს ერთი. ესლა მოდით გაგშიფროთ მეორე აბსურდული დასკვნა ისეგ ევოლუციის თეორიის მიმდევრებისა, რომლებიც გვიმტკიცებენ, რომ თურმე თავდაპირველი ქაოსიდან ჩამოყალიბდა ის სილამაზე, ის სიმეტრია, როგორც მიკროსამყაროში, ისე მაკროსამყაროში, რაც დაიმზირება ჭეშმარიტი მეცნიერული მიდგომით ექსპერიმენტზე დაყრდნობით და თურმე ეს ყველაფერი წარმოიქმნა ქაოსიდან თავისთვალისწილებით.... თავიდან რა იყო და როგორი იყო პირველსაწყისი, ამაზე დუმან მავანნი, პასუხი არა აქვთ და ამ კითხვის იგნორირების და ქაოსური მატერიის პირველადობის დაშვების შემდეგ კი, უკეთ ამბობენ, რომ თურმე ეს ქაოსური მატერია უეცრად გალამაზდა და აზრობრივი დატვირთვა შეიძინა! ეს პროცესი თვალსაჩინოებისთვის დაახლოებით ასეთ მოვლენას შეიძლება შევადაროთ: ვულკანის ამოფრქვევის შედეგად, დედამიწის გულიდან ამოსული ქაოსური მასისგან რომ წარმოიქმნეს უღამაზესი ქალაქი თავისი ყველა სასიცოცხლო ატრიბუტით. ეს ხომ წარმოუდგენელია? ეს ხომ უაზრობაა? ამას ხომ ვერ დაუშვებს ვერც ერთი სადად მოაზროვნე ადამიანი ვერანაერი ალბათობის თეორიის ლაბირინთებით?

ჰიპოთეზა, იმის თაობაზე, რომ თურმე ჩვენს სამყაროში არსებობს 3-ზე მეტი 4 და ა.შ. განზომილება, ეს ხომ არ არის სიახლე, ამის შესახებ ხომ დიდი ხანია მიუთითებს წმინდა წერილი თურდაც ანგელოზთა სამყაროს არსებობით, სასუფეველს რომ აღარ შევეხოთ. რომელ განზომილებაში არსებობენ ანგელოზები? თუ ტყუილია მათი არსებობის ფაქტი? ანუ არ არსებობენ ისინი? ჩვენ გაგვაჩნია ფიზიკის ენაზე უტყუარი ექსპერიმენტული ფაქტები ანგელოზთა ხილული არსებობისა ვიდეოფირის სახით, სადაც ცხადათ დავინახავთ თუ როგორ ჩნდებიან სხვადასხვა ზომის ანგელოზები და ქრებიან. ჯგუფთა თეორიაშიც ხომ უსასრულო განზომილებებია შემოყვანილი და სიმეტრიის შემცირებებით შემოდის ჯგუფების, ანუ სხვადასხვა სახის ელემენტებისგან (განზომილებებისგან) შემდგარი სიმრავლეები? როდესაც თავისუფლად ვმანიპულირებთ პლანეტის მუდმივით და მანძილებით თეორიებში, მაშინ მის სიტყვებს რატომ აღარ ვაქცევთ ყურადღებას, როდესაც ცხადად მიგვითოთებს მაქს პლანეტი, რომ იგი და თითქმის ყველა გამოჩენილი მეცნიერი, აღიარებს უფლის, როგორც სამყაროს შემოქმედის და შესაბამისად უსასრულობაზე მეტის დომინირებას სამყაროში?

მოდით აქვე სინათლის შესახებაც ვთქვათ ორიოდე სიტყვა. ბიბლიის პირველივე თავიდან ვგითხულობთ, რომ უფალმა შექმნა სინათლე თავდაპირველი მიწის და ცის შექმნის შემდეგ, ოდონდ მათგან დამოუკიდებლად, ცალკე. სინათლე გახდავთ ერთადერთი მატერია, რომელიც არ ექვემდებარება ხრწნადობას, მას გააჩნია თვისება უკვდავებისა, ანუ მეცნიერულ ენაზე თუ ვიტყვით ნივთიერი მატერიის, ან უძრაობის მასის მქონე მატერიის არ არსებობის შემთხვევაში, სინათლე ვრცელდება უსასრულოდ მას



არაფერი არ მოსდის, არსებობს მარადიულად.

ხშირად გაგვიგია შემდეგი ფრაზა ჩვენს ცხოვრებაში: „ყოველივე გენიალური მარტივია“, მარტივია ის რაც გვესმის, რასაც შევიცნობთ და ვიღებთ როგორც ჭეშმარიტებას. ეს ეხება უფლის განზრახულობასაც, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ მოცემულია ჩვენთვის შესაცნობად და არ არის დაფარული. მართლაც, ჩვენი ცხოვრების მიზანი შეიძლება იყოს დაფარული უფლის მიერ? რა თქმა უნდა არა, რამეთუ ამ შემთხვევაში ეს იქნებოდა ბოროტება, ჩვენ ვიქწებოდით რობოტები, თავისუფალი ნების არმქონე არსებები! წმინდა წერილი კი რას გვასწავლის? იმას, რომ ყველაფერი პირიქითად და მამაზუციერი დასაბამიდანვე, ადამის და ევას შექმნიდანვე ზრუნავს ჩვენთვის, გარკვეული მიზნით. რა მიზანია ეს? რაში მდგომარეობს მისი არსი? „ადამიანმა რომ იცოდეს რა ნეტარება ელოდება სასუფეველში, 100 წელი მაცემი რომ ლრონიდეს, იმას აიტანდა“ - გვასწავლის ერთ-ერთი წმინდა მამა. - ადამიანი დიდებული ქმილებაა და თუკი მასში ვერ ხედავ სიკეთეს ან სიკეთის მარცვლებს, რომელსაც აღმოცენება სჭირდება, გვჭვიბ, რომ სრულიად დაბრმობილი ხარ - იტყოდა ხოლმე წმინდა ბერი გაბრიელი. ქვირფასო მეგობრებო, იმდენად ცხადია, იმდენად სუფთაა და გამჭვირვალე ჭეშმარიტება, სიმართლე, სიკეთე და თავისუფალი ნება, უფლის აბსოლუტურობის, უქმნელობის, პირველადობის შემცნების გააზრება, რომ მის არსებობაში და უზენაეს სიკეთეში არდაჯერება მავანთა მხრიდან, იგნორირება, სიბრალულის შეგრძნებას იწვევს და გულისტკივილნარევ განცდას მათ მიმართ. ისმის კითხვა რა დაგვიშავა შემოქმედმა, რისთვის ვებრძით მას? არ არსებობიდან არსებობაში რომ მოგვიყვანა და თავის ხატად და მსგავსად რომ შეგვქმნა ამისთვის? ესაა ჩვენი სამართალი? კიდევ უფრო საშიშია იმათი მდგომარეობა ვინც

სიტყვით აღიარებს უფალს - წმინდა სამებას, მაგრამ საქმით კი ინილბება, ეწევა ფარისევლობას და ამქვეყნიურ განცხომას ეძიებს და ემონება მას. ადამიანისთვის მინიჭებული თავისუფალი ნება გულისხმობს სწორედ მეცნიერული აზროვნების დომინირებას, კვლევის, ექსპერიმენტის, შემოქმედების უნარის ქონას და სწორედ ამიტომაც თითქმის ყველა კორიფე მეცნიერი, ლიად და დაუფარავად აღიარებს და ეთავგანება უფალს, ადიდებს მას! მაშინ რა უნდა ვთქვათ იმ ვაი მეცნიერების მისამართით, რომლებიც ამას არ აკეთებენ? ნუთუ ისინი ნიუტონზე, აინშტაინზე, გალილეიზე, კეპლერზე, პაულზე, ბორზე, ჰაინცბერგზე, დირაკზე, პლანკზე წინ აექცევენ საკუთარ თავს? აქვე დავსვამთ მარტივ კითხვას, რაც ათეისტების გამოსაფხიზლებელი უფრო იქნება: თუკი სიკვდილის, (რასაც ვერ ასცდება ვერც ერთი დაბადებული ადამიანი) შემდეგ ვქრბით, ისე, თითქოს არ ვარსებობდით და არ ვაგრძელებთ არსებობას, მაშინ რადა აზრი აქვს ამქვეყნიურ ცხოვრებას? რისთვის გზრუნავთ, არარაობის-თვის? უაზრობისთვის? ეს ხომ აპსურდია და თუნდაც ყველა მეცნიერული დასკვნა, თეორიაც კი ხომ მიგითოთებს იმაზე, რომ ასე არ არის და არაფერი არ იკარგება სამყაროში, არამედ მხოლოდ ხდება გარკვეული სახის ტრანსფორმაციები, გარდაქმნები, თუნდაც სხვადასხვა განზომილებებში ფიზიკის ენაზე და სხვადასხვა ცაში რელიგიის ენაზე. წმინდა იოანეს გამოცხადებაში ცხადად წერია აგრეთვე მეორე სიკვდილის, ცეცხლის ტბის არსებობის შესახებ. რას უნდა ნიშნავდეს ეს? თუკი სიკვდილი, როგორც ბოროტმა ეგას შთაგონა და უთხრა უფალმა მოგატყუათ არ გაქრებითო, ნიშნავდა უფლის მხრიდან მომდინარედ არა დაცემას, სულის და სამშვინელის სხეულისადმი დაქვემდებარებას, არამედ გაქრობას, რაც მამაზუციერს რა თქმა უნდა არ უგულისხმია და სწორედ ამაში მდგომარეობდა ეშმაკის



მზაგვრობა, მაშინ, ეს მეორე სიკვდილი რას უნდა ნიშნავდეს? ანდა რა საჭირო იყო სიკვდილის ცნების შემოტანა საერთოდ? აი, აქ, ამ მოქენტში, უკვე ვეცდები წმინდა გაბრიელ ბერის შეგონებებზე გამობრამმედილმა უფლისა და მისმა მორჩილმა მოკვდავმა, ცოდვილმა, გავბედო და შევეხო უფლის განზრახულობის მოკრძალებულ ასენას, ცხადია ისევ და ისევ წმინდა ბერის სიტყვების და შეგონებების მეშვეობით, შეზავებული სხვა წმინდა მამათა და მოღვაწეთა ნააზრებში. მაშ ასე - დასაბამად პქმნა ღმერთმა! და შემოქმედების ეს პროცესი უკვე შეიცავს მიზნის გარემოებასაც. ყველაფერი რაც კი შეიქმნა ანგელოზებიდან დაწყებული ადამიანებით დამთავრებული ემსახურება ერთადერთ მიზანს - ქმნილებების სამუდამოდ, მარადიულად დამკვიდრებას სიკეთეში, დაუსრულებელ ნებარებაში ღმერთთან, მის წიაღში და ეს პროცესი მიმდინარეობს ახლაც, ამ წეობასაც. მოღით, მოვუსმინოთ წმინდა გაბრიელ ბერს. მაშასადამე:

„ღმერთი ერთია, მაგრამ სამპიროვანი – მამა, ძე და სულიწმიდა, რომელიც ნათლისღებით გამოჩნდა. თვითონ სიტყვა „მართლმადიდებელი“ მიგანიშნებს, რომ ჭეშმარიტი სარწმუნოება მხოლოდ ეს არის. იერუსალიმში მაცხოვრის საფლავზე ცეცხლის გარდამოხვდაც ამას ადასტურებს. უფალი რომ ბრძანებს, – გავაჩინოთ კაცი ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსად, ეს ხომ სამება ბაახოდს ერთმანეთში. აბა ანგელოზს არ შეუძლია შექმნა. ავაჩინოთ, – თქვა ქრისტემ და, ამიტომაც, სიტყვა ღვთისა მოევლინა და არა მამა, ან სულიწმინდა. თან იშვა, რაღვან იქც, ცაში ძე იყო, რომ პიროვნება არ დარღვეულიყო.

მამრეს მუხასთან აბრაამს რომ უფალი გამოეცხადა, შეუში იყო ქრისტე, სიტყვა ღვთისა, ხოლო აქეთისთ – მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზები. ანგელოზები განასახიე-

რებებ მასთან ერთად წმინდა სამებას. რუბლიოვმა ახალადთქმისეულად დახატა წმინდა სამება ანგელოზების სახით. შეუში ძე – სიტყვა ღვთისა – დაბრძანებულია და იღებს სასმისს – მსხვერპლშეწირვის ბარძიშს, რაც იმას მოასწავებს, რომ უნდა მოვლენილიყო და ჯვარცმულიყო. რუბლიოვის ხატზე განცხადებულია საუბარი წმინდა სამებისა, რომ განცაცებულიყო სიტყვა ღვთისა. მამაღმერთის ნებას ქრისტე უხრის თავს და სულიწმიდაც თავს ხრის, რომელიც ეთანხმება განხორციელებას. სინამდვილეში, უფალს რაღ უნდა ფრთვი, ის ხომ სულ არს; მამის უკან სახლი ღვას, ძის უკან – ხე, რისგანაც გამოიხსნა კაცობრიობა ჯვარცმით, სულიწმიდის უკან კი, კლდე – სიმტკიცე და ძალი.

აი ღმერთი – წმიდა სამება – წარმოვიდგინოთ, როგორც მხე. ის ხომ დისკოსან, სინათლისა და სითბოსგან შედგება. მამა შევადაროთ დისკოს; ქრისტე – ნათელს; სულიწმიდა კი – სითბოს. გამოყავი მზისგან რომელიმე, ხომ ვერ იქნება მზე?! ასევე წმიდა სამებაც არ იქნება ერთმანეთის გარეშე. მამა იმას ნიშნავს, ვისაც ძე ჰყავს, ძის გარეშე მამა ვერ იქნებოდა; ესე იგი, არ არსებულა ისეთი ღრო, რომ მამა იყო და ძე – არა. სულის გარეშე კი, ღმერთი არ იქნებოდა. რაც უნდა მამას, იმას იქმს; რაც უნდა ძეს – იმას იქმს; რაც უნდა სულიწმიდას – იმას იქმს. სამივეს ნება ერთმანეთს ეგთხვევა. გასაგები რომ იყოს, ღმერთი წარმოვიდგინოთ მისი ხატებისა და მსგავსების, ადამიანის სახით. განვიხილოთ, რას ნიშნავს „მამას რაც უნდა, იმას იქმს“: მამა არის დამბადებელი აზრი, ამიტომაც, როცა ადამიანი სახლის შენებას იწყებს, ჯერ აზრი მოღის თავში, რომ ააშენოს. შემდეგ ამბობს სიტყვას – „უნდა ავაშენო“; აუცილებელი არაა, ხმა-მაღლა იტყვის თუ არა და თავისი სულით, ძალით იწყებს შენებას. ახლა



განვიხილოთ – „რაც უნდა ძეს, იმას იქმს“ დე არის სიტყვა, მამისაგან შობილი გონი. ხომ გაგიგიათ – რა უაზრო რამ თქვაო – ჩვენ რასაც გამბობთ, იმას ზოგჯერ არ გასრულებთ. ღმერთი კი, ტყუილად არაფერს ბრძანებს, რასაც იტყვის, იმას ასრულებს. ადამიანმა წარმოთქვა სიტყვა – სახლი უნდა აგა შეხოო – და იწყებს შენებას. მისი ძალი და აზრი მასთანავეა. ახლა განვიხილოთ, რას ნიშნავს – „რაც უნდა სულიწმიდას, იმას იქმს“. ადამიანს არც აზრი მოუვიდა, არც სიტყვა უთქამს, მაგრამ სულმა გაუწია და დაიწყო სახლის შენება. ეს სამი თუ ადამიანში წინააღმდეგობას არ იწვევს და შეთანხმებულია, მით უმტეს, ღმერთში როგორ იქნება?!“

მოდით ესეც ვიკითხოთ: - არსებობს ბედისწერა? შეეძლოთ ადამს ევას აეცილებინათ ცოდვით დაცემა თავიდან? შეეძლოთ და სრულიად თავისუფლად! მათ უბრალოდ უნდა ეკითხათ უფლისთვის თუნდაც რას ნიშნავდა ორივე ხის არსებობა და პასუხიც მოეთხოვათ. ქონდათ მაშინაც ამის უფლება, და ეხლაც ყოველ ჩვენთაგანს აქვს მსგავსი მოთხოვნის და განმარტებების მიღების მოთხოვნის უფლება შეუზღუდვად და ვინც ეძიებს, დებულობს კიდეც პასუხს არა მარტო წმინდა წერილიდან, ლოცვებშიც, უფალთან საუბრისას. წმინდა მამა გაბრიელი:

„არ არსებობს ბედისწერა. ზოგი იტყვის, ასე მეწერაო. თუ ადამიანს დალუპვა ეწერა, მაშინ რატომ უნდა განიკითხოს ღმერთმა? ბედისწერას ჩვენ თვითონ გქმნით. ადამიანმა თუ თავისი დაუდევრობით და დაუფიქრებლობით სიცოცხლე საფრთხეში ჩაიგდო, ან გარდაიცვალა, რა შუაშია აქ ბედისწერა? რაში გჭირდებათ ღვთის ნების გამოკვლევა, საჭიროების შემთხვევაში უფალი აგასრულებინებთ. თქვენ მხოლოდ ათი მცნების დაცვა, აღსარება და ზიარება მოგეთხოვებათ. ღვთის მსახურს კი, ყოველივე სჭირ-

დება. გულს უნდა პკითხო. როდესაც გული დაგაჯერებს – ის არის ღვთის ნება. როცა წმინდანები სთხოვდნენ უფალს, უფალი უჩვენებდა თავის ნებას, ხოლო ღვთის განგებას გერავინ ჩასწვდება. არსებობს დაშვება, ნება და განგება. დაშვებაა, როცა უფალი გვაძლევს თავისუფლებას და როგორც ბოროტები, ასევე ადამიანები, რასაც გვინდა, იმას ვაკეთებთ. როცა უფლის ნება შემოდის, ბოროტნი და აღამიანები გაშეშებულნი ვართ. ამ შემთხვევაში, უფალს რაც სურს, იმას აკეთებს. უფლის ნება ყოველთვის კარგია. უფლის ნება იყო სოდომი და გომორი რომ დაანგრია. უფალს უნდოდა ცოდვები აღმოეფხვრა. რაიმე რომ მოხდება, ზოგი იტყვის – ღვთის ნება იყოო. რა იციან, რომ ღვთის ნება იყო, წმინდანები ხომ არ არიან? შეიძლება ადამიანმა ოცი ქაცი მოაციოს სარწმუნოებაზე, მაგრამ არც ამ დროს უნდა თქვა – ღვთის ნება იყოო. იქნებ, შენ ღმერთმა იმ დროს ისეთი ძალა მოგცა, რომ ოცი კი არა, ორმოცი კაცი უნდა მოგეცია. თუ რაიმეს გაკეთებას აპირებ, უნდა თქვა – იყოს ნება ღვთისა. ღვთის განგებულება მართავს ყველაფერს. ხან ნებას შემოუშვებს, ხან – დაშვებას და ამოტომ ხდება ასე. ღვთის განგებულებით ხდება ყველაფერი. როდესაც რაიმე საკითხს ვერ წყვეტ, არ შეგიძლია და არ იცი, როგორ მოიქცა, ღვთის განგებულებას უნდა მიენდო და აღარ იფიქრო მასზე. დაუ, იყოს ნება შენი უფალო! წარსულში, როდესაც რაიმე საკითხს ვერ გადაწყვეტდნენ, ყოველთვის ასე იქცევდნენ. ზოგიერთი ადამიანი იტყვის, თვალი გამუქცაო. ეს ტყუილია, რადგან თუ სულს არ უნდა, არ გაიხედავს. თვალი სულის სარეგა. მონაზონი თუ ინტერესით გაიხედავს კარისქენ – ვინ მოვიდაო, იმას თავისი თავი ჯერ არ უარუყვია. „არა მოიღო სახელი ღვთისა შენისა ამაოსა ზედა“. მამა ხომ ღვთის სახელია?! ხშირად საჭიროების გარეშე, ამაოდ ახსენებენ ღვთის სახელს. ღვთის სახელის



ხსენებას დიდი გაფრთხილება და შიში ხჭირდება! ღვთის სახელს როცა ახსენებ, ვეხზე უნდა წამოდგე და პირველი გამოისახო. ღვთის სახელის ხსენება მხოლოდ ლოცვისა და სწავლების დროს შეგიძლია შიშითა და სიყვარულით, დანარჩენ დროს კი, არანაკლები კრძალვა უნდა გქონდეს. ან კი, ვინ იცის, ღვთის სახელი რა არის?! ღმერთი ნიშავს ღრმა-ერთს და მიუწვდომელს. აღვილის მიხედვით ყველაფერი ღმერთშია, ბუნების მიხედვით კი ყველაფერი ღმერთის გარეთაა. ზოგიერთი იტყვის ღმერთი უსასრულოა. კი, მაგრამ ყველაფერს ხომ აქვს საზღვარი?! თვითონ ღმერთმა ხომ იცის, რამხელაა? უსასრულოვაზე მეტია ღმერთი – ამიტომაც არის ჩვენთვის დაფარული. უფალს შვიდი „თვალი“ აქვს და თითო თვალი „ათასჯერ“ აღემატება მზეს. უფალს მრავალნაირად მიმართავენ. მამა ხომ ღმერთის სახელია, როცა ამ სახელს ამბობ, დიდი შიშით და სიყვარულით უნდა წარმოთქვა და თუ არ შეგიძლია, არ თქვა! – ღმერთი არის უსაზღვრო სიყვარული – თვით სიყვარულზე მეტია იგი. ადამიანი სხეულის, სამშვინველისა და სულისაგან შედგება. სხეულს ხუთი თვისება აქვს: ხედვა, სმენა, ყნოსვა, გემო, შეხება და აქვს ორი ინსტიქტი: თვითგადარჩენისა და გამრავლების. სამშვინველი არის ის, რითაც ვსუნთქავთ. იგი ისევე, როგორც ცხოველებში და ფრინველებში, მოიცავს აზრს, გრძნობას და სურვილს. ღმერთმა აზრი შთადო ტვინში, გულში – გრძნობა, ხოლო სურვილი კი – მთლიანად სხეულში. სურვილებს ხელმძღვანელობს ნება, რომელსაც არა აქვს ორგანო. ის მთელ სხეულშია. როდესაც რაიმე სურვილი გვეუფლება, მაშინ მთელი სხეული აღიძრება. სამშვინველს უნდა, რომ შეიძინოს ცოდნა და გამოცადოს, დაიკმაყოფილოს ესა თუ ის გრძნობა. უკვდაგ სულს გააჩნია სამი თვისება:

შიში ღვთისა, სინდისი და სწრაფვა ღვთისაკენ, რაც ცხოველებსა და ფრინველებს არ გააჩნიათ. სამშვინველი არის სისხლში, მაგრამ სისხლი არ არის. ადრე, ცოდვით დაცემამდე, სამშვინველიც და სხეულიც სულს გმორჩილებოდა. ცოდვით დაცემის შემდეგ კი, სულთან კავშირი გაწყდა და სამშვინველი სხეულს დაემორჩილა. სხეულს რაც უნდა, იმას აკეთებინებს სამშვინველს, ოღონდ სამშვინველი გადაადგილებს სხეულს, სული კი, აგონიერებს. სინდისი პატარა ღმერთია. უფალმა სინდისი იმიტომ შთადო აღამიანში, რომ უნდოდა, ადამიანი გადაერჩინა. სული მეცნიერია და ყველაფერი იცის, ეს სინდისს ეხება – იგი გამოიძებს, რა არის კარგი და რა არის ცუდი. ტყუილად კი არ ხდება, როცა გვერდზე ვინგე უცხო ჩაგივლის, ხან გიხარია, ხან კი – შეკრთები. ჩვენი მხედველობის არეში მოქცეული სამყაროს ნაწილი, რასაც ვხედავთ, ესაა აღვილი, სადაც გადმოიყარენ ბოროტი სულები. ეშმაკები გარსკვლაგებს იქით ვერ ადიან. ყველანაირი აზრი „უცხოპლანეტულებზე“ მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის დაუშვებელია, ისინი დემონები, დაცემული ანგელოზები არიან. არავითარი სხვა ცივილიზაცია არ არსებობს, ღმერთმა ეს ქმედია ადამიანებისთვის გააჩნია. ეგენი რომ კეთილისმყოფელი არსებები იყნენ, ჩუმი ხმით რატომ მოვიდოდნენ? უფალი კი მოვა ღრუბელზე, თავისი წმიდა ანგელოზებით. ეს ხომ უფლის დიდება იქნება, მის მოსელას უველა გაიგებს. მათ რომ სიკეთე უნდოდეთ, ხმამაღლა დაგიძახებდნენ: მასპინძელო, კარი გაბგიღეთ. ეგენი კი ჩუმად, გველივით მოიპარებიან, ასეთი, მორწმუნები ჰქვის აღმდევრელი, მზაკრული სიჩუმე ბოროტების ნიშანია. შენი მტერი უნდა გიყვარდეს, ხოლო ქრისტეს მტერი როგორ უნდა შეიყვარო? მაგრამ არ უნდა გძულდეს,



გებრალებოდეს! აი, აქედან გამოდის სიყვარული. ერთი ადამიანიც რომ გძულდეს, სასუფელისგან შორსა ხარ. მოვასი უნდა გიყვარდეს და ის მაინც ქენი, რომ არავინ გეჯავრებოდეს, არავის ზე უკეთესი არ გეგონოს თავი. იცით, რატომ ჩავიდა წმინდა შოთ მღვიმეში?. ადამიანების დიდი სიყვარულისთვის... თავად ღმერთი არის სიყვარული. როგორც მამას უყვარს დე და სულიწმიდა, ისე ძეს უყვარს მამა და სულიწმიდა და, აგრეთვე, სულიწმიდას უყვარს მამა და ძე. რახან იცოდა ღმერთმა, რომ ეს სიყვარული რამხელა სიხარულია, ამისთვის შექმნა არსებები და მათ გარშემო ყველაფერი, მათაც რომ ეხარათ. ღმერთი შემოქმედია და არ უნდოდა ძალით ყვარებოდათ თავიანთი შემოქმედი. ამიტომ, მან თავისუფლება მიანიჭა ანგელოზებს და ადამიანებს. რადგან ანგელოზები ადამიანზე უფრო ძლიერები იყვნენ, უფალმა პირდაპირ პკითხა, უყვარდათ თუ არა თავისი გამჩენი და საშუალება მისცა – დარჩენილიყვნენ მასთან და უფრო სრულყოფილი გამხდარიყვნენ; ხოლო, რადგან ადამიანი უფრო სუსტი არსება იყო, ღმერთმა მას სამოთხეში ხე – სიცოცხლისას გარდა, დაურგო ხე – კეთილისა და ბოროტის გარჩევისა, რადგან ესწავლებინა სიყვარული. სიყვარულში რომ განმტკიცდებოდა ადამი, შემდეგ ამ ხის ნაყოფსაც მისცემდა და აღარ შეცოდავდა, მხევასად წმინდა ანგელოზებისა, რომლებმაც იცოდნენ კეთილი და ბოროტი. ისინი ხომ, იმდენად განმტკიცდნენ სიყვარულსა და კეთილის ქმნაში, რომ ბოროტება არ შეუძლიათ; ბოროტებიც იმდენად განმტკიცდნენ თავის ბოროტებაში, რომ კეთილის ქმნა არ შეუძლიათ. მთავარი სიყვარულია, მერე მორჩილება, შემდეგ კი მარხვა. ადამი სიყვარულს მოაკლდა, მორჩილება დაარღვია და მარხვა გატეხა! ადამი ღმერთივით იყო, სახედ და ხატად ღვთისა შექმნილი, მსგავსებით კი, უფლისთვის უნდა მიებაძა

სათნოებებში. ღმერთმა თავის ხატად შექმნა ადამი, რომელიც უნდა მიმსგავსებულიყო მას; ესე იგი, ამით ბრძანება მისცა – ღმერთი გამხდარიყო. რა თქმა უნდა, არა ბუნებით, რამეთუ მხოლოდ ერთია ღმერთი და არავის უხილავს, არამედ მადლით. წმიდა წერილიც ხომ ამბობს, თქვენ ხართ ღმერთუებიო?!" განდმრთობილი არის მადლით ღმერთი!" ვისაც ყური აქვს გაიგონოს, ვისაც თვალი აქვს იხილოს, გავიმეორებ: დასაბამად ადამი ღმერთივით იყო, სახედ ხატად ღვთისა ქმნული, მსგავსებით კი უფლისთვის უნდა მიებაძა სათნოებებში, უნდა მიმსგავსებულიყო მას, ანუ ამით უფალმა გარკვეული დავალება მისცა ადამს, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ იგი ღმერთი უნდა გამხდარიყო, მაგრამ არა ბუნებით, რამეთუ მხოლოდ ერთია ღმერთი, არამედ მადლით და ამგარად ადამის სახით ყველა დაბადებული ადამიანისგან უფალი ითხოვს მადლით ღმერთობას, რაც განდმრთობას ნიშნავს. თუ რა არის განდმთობა, როგორი ღვაწლია ეს, და როგორი ღვთის წყალობა და საჩუქარია ადამიანისათვის მამა კირიონის (ონიანი) წიგნში სახელწოდებით: „ჰეშმარიტება სულის უკვდავებაშია“ თქვენც შეგიძლიათ წაიკითხოთ ამ მოვლენის შესახებ. აი, ერთი პატარა ეპიზოდიც განმდობის შესახებ ამ წიგნიდან:

„დიდია ამ დროს ადამიანში სიყვარულის ალი, რომელიც ერთ-ერთი ენაა მარადიული, უზენაესი ცეცხლისა, რომელსაც სიყვარული პკითა. მას ამ ცეცხლთან მთლიანად შეერთება სწარია და არა მარტო ამ ცეცხლისაგან მოცემულ, მოწყვეტილ ენად ყოფნა.

მთლიანად შეერთება ამ ცეცხლთან – განდმრთობაა, – რისთვისაც ადამიანს დიდი ლტოლევისა და ვედრების გარდა, დიდი შინაგანი სისახტიკე მართებს საჯუთარ თავთან; უარყოფა პირადისა და დავიწყება საჯუთარისა, რაც საჯუთარი თავის დიდი დამდაბლების გარეშე შეუძლებელია.



ყოველი ადამიანი უნდა გიყვარდეს, ხედავდე მასში მას და მოყვასს და გახსოვდეს, რომ უფალმა ჩვენმა, იქნო ქრისტემ, უველასთვის იქნო. უველას სიყვარული უველას მსახურებაა – სიბრძნით! რომელსაც ღმერთი აძლევს, ვისაც კი მიჰხედავს და შემოსავს ამხელა სიყვარულით.“

უველამ კარგად ვუწყით თუ როგორ განვითარდა მოვლენები შესაქმის პირველივე პერიოდიდან - ადამი და ევა ეურჩენ უფალს, განუდგნენ მის მიერ დასახულ მიზანს, საჩუქარს და აქ თითქოს ისევე უნდა დაღუპულიყვნენ, როგორც დაცემული ანგელოზები, მაგრამ ყოვლადძლიერმა ღმერთმა ინება და არ გაწირა ჩვენი წინაპრები, თავის თავზე აიღო მათი და ეხლა უკეთ ჩვენი ცოდვებიც, საკუთარი თავი დაიმდაბლა და „დაიდანაშაულა“, იმაში, რომ ჩვენ ავირჩიეთ ნებსით თუ უნებლივთ ბოროტება, რომლის წარმოქმნაშიც იგი არ ჩარეცლა, არამედ პირიქით ერთგზის ეგნო ჩვენი ცოდვებისათვის ადამიანური ბუნებით და ჯვრის ძალით განაქარვა პირველი სიკვდილი, რათა გაეხსნა ჩვენთვის კიდევ ერთხელ გზა სასუფევლისკენ, რა მიზნითაც შეგვმნა დასაბამად!

ისევ წმინდა გაბრიელ ბერს მოვუსმინოთ:

„ბოროტება ღმერთს არ შეუქმნია, რადგან ბოროტებას არსი არ გააჩნია. ბოროტება არის სიკეთის ნაკლებობა. სატანა, რომელიც ადრე სინათლის მატარებელი ანგელოზი იყო, სიკეთით იყო შექმნილი, მაგრამ როცა მოაკლდა ამ სიკეთეს, გარდაისახა ბოროტად. ბოროტი იმიტომ გადმოაგდო უფალმა ციდან, რომ სინანული აღმორდა, ადამს და ევას რომ შეენანათ, უფალიც დატოვებდა მათ ედემის ბაღში. უფალმა იმიტომ დაუძახა ადამს – „ადამ სადა ხარ“? – რომ უნდოდა შეენანა ადამს და სინანულის შემთხვევაში სამოთხეში დაეტოვებინა. უფალმა იმიტომ დაუშვა ბოროტება, რომ

დაცემიდან ჩანს ღმერთის სიდიადე. სამაგიეროდ, დაცემულებს ყოველთვის შეუძლიათ შეინანონ, სანამ დროა.

ამქვეყნად დრო უველაზე დიდი წყალობაა. დროში შეიძლება ქაცი ცხონდეს და შეიძლება წარწყმდეს. ადამიანი დაუდალავად უნდა მიისწრაფოდეს ღვთისებრ და უფალი როცა ამას ხედავს, მაშინ იწყალებს ადამიანს და ყოველივეს აძლევს, რაც საჭიროა მისოვგის.

მსგავსი შეგონებების წაკითხვის შემდეგ, რა ოქმა უნდა ყოველ ჩვენგანს აღეძვორება სურვილი, შეიცნოს და განემარტოს, თუ რა ურთიერთმიმართება არსებობს ღვთის მიერ სამყაროს შექმნის პროცესის არსის მართლმადიდებლურ კანონიკურ მოძღვრებასა და მეცნიერულ ჰეშმარიტებას შორის – გამოხატულს ადამიანთა მიერ დროისა და სივრცის განზომილებათა აღქმასა და მატერიის ურთიერთქმედების ფორმების არსის შემეცნებაში.

თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცადა მიწა, ანგელოსთა დასი და ეს ყოველივე არსებობდა მნათობთა გარეშე, ანუ არსებობდა მატერია არაამჟამინდელი სახით. მაგრამ დრო უპვე არსებობდა, რამეთუ ქმნილება გულისხმობს შემოქმედისგან განსხვავებულობას, რაც მხოლოდ დროის არსებობის დაშვებით აიხსნება. თუმცა დრო მაინც პირობითი მცნებაა და არ არის აბსულუტური და მხოლოდ მოძრაობის აღწერას ემსახურება. შესაბამისად ღმერთის დრო არ არსებობს, არამედ არსებობს ერთი დიდი „ახლა“, რისოვისაც დავით წინასწარმეტყველი გვეუბნება: „ათასი წელი, ვითარცა ერთი დღე, ხოლო ერთი დღე, ვითარცა ათასი წელი“. აქ ლაპარაკია, სწორედ, დაბადებაში მოხსენიებულ ბიბლიურ დღეებზე, რომელსაც იმოწმებს აგრეთვე სულმნათი ბერი იოანეზოსიმე და, მაშასადამე, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ღვთის მიერ ხილული სამყარო შეიქმნა ამჟამინდე-



ლი დროის ათვლის სისტემის მიხედვით, რომლის ათვლაც მნათობთა ერთმანეთის მიმართ ბრუნვით განისაზღვრება ექვსი ათასი წლის განმავლობაში. თავდაპირველად მიწა იყო უსახური და უდაბური, ბნელი იდო უფსრკულზე და სული დათისა იძროდა წყლებსა ზედა... თქვა დმერობა: „იყოს ნათელი! და იქმნა ნათელი“... პირველი დღე. რომელ ნათელზეა საუბარი, როდესაც მნათობები და, მათ შორის მზე, რომლებიც მესამე დღეს შექმნა წმიდა სამებამ, არ არსებოდნენ? რა თქმა უნდა, ეს ის ნათელია, რომელიც მეცნიერებაში სინათლის ანუ ელექტრომაგნიტური ველის სახით არის ცნობილი და რომელიც შემდგომში დათის მიერ გარკვეული სახით დაგროვდა მნათობებში და რისი საშუალებითაც ჩვენ შეიარაღებული ან შეუიარაღებელი თვალით ვხედავთ ხილულ სამყაროს. მაშასადამე თავდაპირველად ცაში, ანგელოზთა დასის სამყოფელში, ხილული სამყაროს შექმნამდე და მანამ, სანამ წარმოიშვებოდა ბოროტება, ყოველივე არსებობდა მნათობთა გარეშე. შემდგომ მოხდა გაყოფა... მოვუსმინოთ მამა გაბრიელს:

ჩვენ რასაც ვხედავთ და იმის იქით რა გალაქტიკებიცაა, ეს სულ პირველი ცაა, აღგილი, სადაც გადმოიყარენ ბოროტი სულები. არ ვიცი, როგორ, სხეულში თუ სულში (უნებლივ შემთხვევა მქონდა) მეცხრე ცაზე ვიყავი ატაცებული! უფლის ტახტი მეცხრე ცაზეა. საიდან მოიგანეს, როცა ამბობენ, რომ ახალი სასუჯველი უნდა შეიქმნას! სასუჯველი როგორიც იყო, ისეთი იქნება მუდამ. ცა და მიწა შეიცვლება და არა – სასუჯველი! და კიდევ: – უზინო არის ის უხილავი, სულიერი სამყარო, რომელიც სახიერა და ყოვლადძლიერმა დმერობა მისი მიუწვდომელი ხილმნითი განგებულებით – უწინარეს ხილული სამყაროსა და კაცის დაბადებისა შექმნა და მოიმოქმედა. ორივე ეს სამყარო ერთობით – არის საგხება დმრთის შესაქმისა, ხოლო

ადამიანი სრულყოფილი სარკეა ამ საგხებისა, რომელშიც ღმერთმა ორივე ბუნება – სულიერი (უმაღლესი) და ფიზიკური (სულიერთან შედარებით უმდაბლესი) მისი მიუწვდომელი ხილმნით ერთ პირში, ზოგადად, ადამიანის ხატში შეჰკრა და გააერთიანა. ორივე სამყაროს, ფიზიკურთან ერთად – სულიერსაც, დაუბრკოლებლად ხედავდა ადამი დაცემამდე.

ამ სტრიქონების წაკითხვისთანავე უალტერნატივოდ გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: მთელი ხილული სამყარო – გალაქტიკები, ვარსკვლავთა სისტემები, პლანეტები არის ადგილსამყოფელი ბოროტა, ანუ როგორც ამჟამად იწოდებიან – უცხოპლანეტებთა, პუმანოიდთა და ისინი გახლავთ სწორედ ის სულიერი ქმნილებები – დაცემული ანგელოზები, დემონები, რომლებიც მთავარანგელოზ მიქაელთან და მის ანგელოზთა დასთან შებრძოლების შემდეგ, ჭექა-ქუხილის გაელვებით იქნენ გადმოყრილი ამ ადგილას, რომელსაც პირველი ცა ეწოდება. დედამიწა კი, ერთადერთი პლანეტაა სადაც არსებობენ ორბუნებოვანი – სულიერი (უმაღლესი) და ფიზიკური (სულიერთან შედარებით უმდაბლესი) ბუნების ქმნილებები – ადამიანები. დიახ, დედამიწა ხილულ სამყაროში ერთადერთი ადგილია, სადაც არსებობს ცივილიზაცია! აი, ასეთია დასკვნა და უკვე ნათელი ხდება, თუ რატომ აქვთ ასეთი გაშმაბეჭდული სურვილი ბოროტების მოციქულებს, რათა დაეუფლონ ჩვენს სულებს, სამუდამოდ დაგვდუპონ. როგორც უპვე აღვნიშნეთ, ბოროტი სულიერი არსებები იყენებენ ყოველგვარ საშუალებას, რათა დაეუფლონ ადამიანთა სულებს და ეს პროცესი „დაგვირგვინდება“ ანტიქრისტეს გამეფებით დედამიწაზე. გავისენებოთ გაბრიელ ბერის მიერ ნათქვამს:

„საქართველოს ეკლესიას მადლი არახოდეს განშორდება! როდესაც ანტიქრისტე მოვა, ეკლესიაში ხატებს



**ჩამოჰყრის და თავის „ხატს“
დაპერდებს.** აი, მხოლოდ მაშინ გავა
ქალესიებიდან მადლი“. ამ სიტყვების
თქმის შემდეგ, გაბრიელ ბერმა ეკუმე-
ნიშმის საშინელებაზე იქადაგა. მბოძა,
რომ ჯერ იქნება ერესი (აღრევა),
მაშინვე ეკუმენიზმი შემოვა და მალე
ანტიქრისტეც მოჰყებაო.

თანამედროვე პერიოდში ხშირად
გაისმის აგრეთვე მოწოდება იმის შე-
სახებ, რომ დმერთი ერთია და რა
საჭიროა ამდენი რელიგიური განშტოე-
ბა, თვალი დავხუჭოთ ერთმანეთის
გამომრიცხავ განსხვავებებზე, დოგმა-
ტური იქნება ეს თუ სიმბოლიკური და
გავერთიანდეთო. ამ საკითხის შესახებ
ბეგრი კომპეტენტური ნაშრომი გამოქ-
ვენდა, მაგრამ ნახეთ, რა მარტივია აქ
სიცრუის დანახვა: კი მაგრამ, ერთი
დმერთი რომ არის, იგი თავისი არსის
შესახებ შენ ერთს გეუბნება, სხვას –
მეორეს, სრულიად საწინააღმდეგოს და
კიდევ სხვას – მესამეს, ისევ ორივეს
საწინააღმდეგოს, სხვებს – საერთოდ
განსხვავებულს და ა. შ., აქედან რა
გამომდინარეობს? ის, რომ ე.წ. „ახალი
მსოფლიო წესრიგის“ მქადაგებელთა
შემეცნების მიხედვით ბიბლია ყველაზე
დიდი „მატყუარა“ წიგნი ყოფილა!
რადგანაც არ შეიძლება ერთი დმერთი
რადენიმე განსხვავებული ურთიერთ-
საწინააღმდეგო არსით წარმოჩინდეს,
ანუ, ან ყველა უნდა ცდებოდეს, ან
მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს მართა-
ლი! ამიტომაც, რადენადაც ასეთ აშკა-
რა მკრეხელობის განცხადებას ვერ
კადრულობენ, იძულებული არიან
აღიარონ, რომ ან ყოველი განშტოება
მცდარია, ან მხოლოდ ერთთან იქნება
სიმართლე! მამა გაბრიელი პირველად
პირჯვარს გამოისახავდა და მართლ-
მადიდებელი სარწმუნოების ჭეშმარიტე-
ბაზე შემდეგს ქადაგებდა გავიმეოროთ:

„დმერთი ერთია, მაგრამ ხამი-
როვანი: მამა, ძე და სულიტმიდა,
რომელიც ნათლისდების დროს გამოჩ-
ნდა. თვითონ სიტყვა მართლმადი-

ღებელი მიგანიშნებს, რომ ჭეშმარიტი
სარწმუნოება მხოლოდ ეს არის.
იურუსალიმში მაცხოვრის საფლავზე
ცცხლის გარდამოსვლაც ამას
ადასტურებს. უფალი რომ ბრძანებს –
გავაჩინოთ კაცი ჩვენს ხატად, ჩვენს
მხვავსად – ეს ხომ სამება ბაახობს
ერთმანეთში. აბა, ანგელოზს არ
შეუძლია შექმნა. გავაჩინოთ – თქვა
ქრისტემ და ამიტომაც სიტყვა
ღმრთისა მოევლინა და არა მამა, ან
სულიტმიდა, თან იშვა, რადგან იქაც,
ცაში, ძე იყო, რომ პიროვნება არ
დარღვეულიყო.“

მიუხედავად ამდენი ჭეშმარიტი ფაქ-
ტებისა და ლოგიკური დასკვნებისა,
მართლმადიდებლობის მოწინააღმდეგებები,
ათეიისტი ან ანარქიული აზროვნების
მქონე ადამიანები სულაც არ წუხან ამ
გარემოებების გამო და მათ არა ჭეშ-
მარიტება, არამედ, რადაც არ უნდა
დაუკდეთ, მომავალი ანტიქრისტეს საა-
მებლად, მხოლოდ ეკუმენიზმის სახე-
ლით ცნობილი გაერთიანება აინტე-
რესებთ. რომ სთქვან ისე, როგორც
წარმართობის ეპოქაში – სხვადასხვა
დმერთი არ სებძობსო – არ შეუძლიათ,
რადგან მაშინ თვით დმერთის განმარ-
ტებას – რომ ღრმა ერთს ნიშნავს,
ეწინააღმდეგებიან და, გარდა ამისა, იმ
ცრუ რელიგიურ მოძღვრებასაც ვეღარ
იქადაგებენ, რამაც ანტიქრისტეს მოსვ-
ლისას მის კაცლმერთად გაბატონებას
უნდა შეუწყოს ხელი. აი, ასეთ ცრუ
საფუძველს ეყრდნობა ეს ე.წ. საყო-
ველთაო მოძრაობა და კაცობრიობის
საკმაოდ განათლებული ნაწილიც კი,
რატომდაც მშვიდად იხლართება ამ
საკმაოდ მარტივ, კოსმოპოლიტურ, სუ-
ლიერი ბაბილონის შენებისთვის გან-
კუთვნილ მახეში. რამდენი ასეთი მახეა
ჩვენს გარშემო? უპრიანი იქნება, აქ ვახ-
სენოთ იოანე ოქროპირისა და მის
მეგობარ მდვდელმთავარ ბასილის ცნო-
ბილი საუბარი, სადაც იოანე ოქრო-
პირმა სამწესო მრევლი შეადარა ხმლე-
ბითა და ფარებით შეიარაღებულ პირ-



ტიტველა ჭაბუკებს, რომლებსაც ბრძოლის ველზე უხილავი მტერი (ამ შემთხვევაში ეშმაკი) თავებს პანტაპუნგით აყრევინებდა. ასეთ პირობებში, წარმოგიდგენიათ, როგორი უნდა გახლდეთ მღვდელი, რომელიც ამ უსამართლო ბრძოლაში წინ გაუძლვება სამწყსოს?

მონაზონი, დედა პარასკევა იხსენებს: მამა გაბრიელი, მასთან ლოცვაკურთხევაზე მოსულოთ, მისი სიცოცხლის ბოლო პერიოდში ტირილით გვედრებოდა:

„სიკეთე ჰქმენით, რათა თქვენმა სიკეთემ გადაგარჩინოთ. ჯოჯოხეთის ნახევარი უკვე დედამიწაზე, ანტიქრისტე კარებთან დგას და შემოგლეჯას ცდილობს. თქვენ მოესწრებით ანტიქრისტეს. ანტიქრისტე მოედ დედამიწაზე გამეფდება და დევნა ყველგან იქნება. საქართველო დათისმშობლის წილხევდრი ქვეყანაა, დათისმშობელი დაიფარავს მას და აქ ხაკლები დევნა იქნება ოდონდ ცალ-ცალკე ნუ იქნებით, ათ-ათი ან მეტი იყავით, რათა დევნის დროს ერთმანეთს შეეშველოთ. როდესაც გაგიჭირდებათ – ნუ შეშინდებით, მე მოვალ და მოგეხმარებით. ოდონდ თქვენ ვერ დამინახავთ. ადრეც ეგონათ, რომ თითქოს ანტიქრისტე მოვიდა, მაგრამ ადრე არ იყო ნიშნები. ოქები რომ იყო, ეს არ იყო ნიშანი. მაშინ არ იყო ციური სასწაულები და საყოველთაო განდგომილება. ანდგომილება მწვალებლობის ტოლფასია. მალე მთელი მსოფლიო გაერთიანდება ანტიქრისტეს რიცხვით. ბოლო დროს ცაში ნუ დაიწყებთ ყურებას, რადგან ისეთი სასწაულები მოხდება, შეცდებით და დაიღუძებით“.

რა ვიდონოთ, როგორ დაგაღწიოთ თავი ამ უბედურებას? მითუმეტეს, რომ, ნებით თუ უნებლივედ, ჩვენ თვითონვე ვუწყობთ ხელს ბოროტების დასადგურებას? სწორედ ამ მიზნით დაგვჭირდა ზემოთ მოყვანილი გარკვეული სახის ანალიტიკური შესავლის მოშევლიება.

სიყვარული! აი, რა არის ის, რაც უნდა ვისწავლოთ და რასაც უნდა ველტვოდეთ, რითაც უნდა შევიმოსოთ.

– ზოგი იტყვის სიყვარული მაქვხო. იციან კი რა არის სიყვარული? ვინ ჩასწვდება სიყვარულს? მითხარით აბა რა არის სიყვარული? – შეგვეკითხა მამა გაბრიელი და ცოტა ხნის შემდეგ სახარებისეულად თვითონვე განმარტა:

– „სიყვარული სულგრძელი და ტებილია, მას არ შურს, არ ქედმალლობს, არ ამპარტანებობს, არ ჩაიდენს უწესობას, არ ეძიებს თავისას, არ განრისხდება, არ განიზრახავს ბოროტს, არ ხარობს სიცრუით, არამედ ჰეშმარიტებისაკენ ისწრაფვის, ყველა-ვერს იტანს, ყველას უჯერებს, ყველას იმედი აქვს, ყველაფერს ითმენს. ესაა ნამდვილი სიყვარული, ამაშია ადამიანის ბედნიერება. მთავარია სიყვარული, მაგრამ ამაზე უფრო მთავარია თუ როგორ ვისწავლოთ ჩვენ ეს სიყვარული!“ – ამ დროს ის წამოიწია პირჯვარი გამოისახა და სახარების სიტყვები წარმოთქვა: – „ხოლო მე გეტყ თქუენ: გიყუარდედ მტერნი თქუენნი და აკურთხევდით მწყევართა თქუენთა და ქეთილსა უყოფლით მოძულეთა თქუენთა და ულოცევდით მათ, რომელნი გმდლავრობდენ თქუენ და გდევნიდენ თქუენ, რა თა იყვნეთ თქუენ შეიღ მამისა თქუენისა ზე-ცათა სა, რამეთუ მზე მისი აღმოვალს ბოროტთა ზედა და კეთილთა, და წ მს მართალთა ზედა და ცრუთა“. (მათე 5, 44, 45.) მე უპა მესმის კითხვა, თუ ბოროტი კაცი როგორ შევიყვაროთ? ბოროტება, ცოდვა შეიძულეთ, თვით ადამიანი კი გებრალებოდეთ და გიყვარდეთ. ღმერთმან უწყის, იქნებ ის, ვინც ჩვენ დღეს გვაგს, ხვალ ლოცვით, ცრემლით, მარხვითა და სინანულით განიწმინდოს და ანგელოზის მსგავსი გახდეს. ბევრი ყოფილა ასეთი ადამიანი....

მაშასადამე, დასაბამად, უფლის მიზანი ყოფილა ჩვენი, მისი ქმნილებების მადლის მიერი განმრდოთობა! სიკეთით გავლა გზისა დასაბამიდან - სასუფევლამდე! იმ უსასრულო, მარადიული ნეტარებისკენ, რაც სიკვდილის მიღმა არსებობს - სასუფევლის სახით!



ხოლო მეორე იერუსალიმად წოდებული ქალაქი მცხეთის ტაძრის საძირკველშივე, უფლის კვართს შესისხლ-ხორცებული წმინდა სიღონიას სხეულზე დაფუძნებული სვეტი კი ცხოველი სიმბოლოა ყოველივე ზემოთქმულისა და ცისარტყელას მსგავსად ახსენებს ყოველ კეთილმორწმუნე ქმნილებას გზას ჭეშმარიტებისაკენ და ნათლად მიგვითოთებს, რომ მიზანი სიცოცხლისა, ხილული ქვეყნისა, არის სასუფელის პოვნა და ღმერთთან მიახლოება და მარადისობაში დამკვიდრება!

...რა არის ჭეშმარიტება?... იკითხა პილატემ და ისე, რომ არ დაელოდა მაცხოვრის პასუხს, გავიდა იუდეველებთან. (იოანე 18, 37-39); ნიშანდობლივია, რომ 20 საუკუნის წინ დასმულ ამ კითხვას პასუხობს ქართველი წმინდანი - ღირსი მამა გაბრიელი, აღმსარებელი და სალოსი, რომელიც თავის ანდერძს ასე ამთავრებს: - „ჭეშმარიტება სულის უკვდავებაშია“...

ლიტერატურა:

1. „წიგნი ძუელისა ადოქუმისანი; ნაკვეთი 1 შესაქმისაი გამოსვლათაი“ გამომცემლობა „მეცნიერება“ 1989 წ. ISBN 5-520-00119-7;
2. წმ. იოანე დამასკელი - „მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნით გადმოცემა“, თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა 2000 წ.
3. „Библия Опережает Науку На Тысячм Лет“; Серия „Бог и Вселенная“ Москва 1996 г.
4. სატელევიზიო გადაცემათა ციკლიდან: „რელიგია და მეცნიერება“, „დასაბამად“ -
https://www.youtube.com/watch?v=ssvCx9N_3G8; <http://www.myvideo.ge/v/2615297>;
5. „ანგელოზთა უხილავი სამყარო“ -
<https://www.youtube.com/watch?v=8IU9icSjrNc>; <http://www.myvideo.ge/v/2615298>;
6. „მორწმუნე მეცნიერი ღმერთის მეგობარი, ცოდვა- სიკეთის ნაკლებობა“ - (1 და 2 ნაწილები)
<https://www.youtube.com/watch?v=P4lDM0kZzZY>;
<https://www.youtube.com/watch?v=DfzPGDBrS4s>;
7. „შესაქმის არსი - ნული და უსასრულობა“
<https://www.youtube.com/watch?v=BZSOSSiRnAg>; <http://www.myvideo.ge/v/2615299>;



**წმინდა წერილის ქართულენოგანი
თემატი და პაცის დაზიანები მისია
პარმენ მარგველაშვილი, პროფესორი**

წმინდა წერილის ქართულენოგანი თარგმანის პირველი წინადადება იწყება მიზნის გარემოების აღმნიშვნელი სიტყვით და გვამცნობს:

1.1. „დასაბამად ქმნა დმერთმან ცა და ქვეყანა“.

წინადადება არის მკაფიო და ნათელი შეტყობინების შემცველი ტექსტი, დასრულებული ენობრივი ერთეული თუ დისკურსი, რომელიც განგვიმარტავს, რომ დმერთმა თავისი შემოქმედება დატვირთა გარკვეული ფუნქციით, მან ცა და ქვეყანა შექმნა დასაბამად, საწყისად, წყაროდ და სათავედ.

ბიბლიის მეორე მუხლი კი გვაკვალიანებს:

1.2. „ხოლო ქვეყანა იყო უხილავ და განუმზადებელ და ბნელი იყო ზედა უფსკრულთა და სული დმრთისა იქცეოდა ზედა წყალთა“.

ამ ტექსტით წმინდა წერილი გვატყობინებს, რომ დასაბამად შექმნილი ქვეყანა თავდაპირველად იყო უხილავი და განუმზადებელი და მისი სიღრმეები – ბნელი და დმრთის სული, მოძრაობდა რა წყლებზე, ამზადებდა მას იმ ძირითადი ამოცანისათვის, რისთვისაც განიხრახა კიდეც მისი შექმნა. შესაქმის მეორე მუხლი სახავს დაზიანერი განხრახვის სრულქმნის გეზს, კერძოდ გვამცნობს: იმისათვის, რომ ცამ და ქვეყანამ სათანადოდ შეასრულოს დასაბამის ფუნქცია, აუცილებელია, დაზიანერვების განმზადება ქვეყანა, და არა ცა.

შესაქმის პირველი თავის მომდევნო ოცდაცხრა მუხლი მოგვითხრობს ქვეყნის სრულქმნის მიზნით წარმართული ცხრა დაზიანერი განხრახვითი ქმედების შესახებ. ეს თხრობა სტრუქტურირებულია – ყოველი დაზიანერი განხრახვითი ქმედების აღსაწერად ცხრაჯერ არის მოხმობილი სიტყვები: „და თქუა დმერთმან“ და ცხრაჯერვე მას ახლავს მკაფიოდ ფორმულირებული, კონკრეტული

მოწოდება თუ გამხელილი დაზიანერი განხრახვა:

I. „და თქუა დმერთმან: იქმენინ ნათელი!“

II. „და თქუა დმერთმან: იქმენინ სამყარო...“

III. „და თქუა დმერთმან: შეკერბიდ წყალი...“

IV. „და თქუა დმერთმან: ქუჟყანამან გამოიღედ ...“

V. „და თქუა დმერთმან: იქმნედ მნათობი ...“

VI. „და თქუა დმერთმან: გამოიღედ წყალთა ...“

VII. „და თქუა დმერთმან: გამოიღედ ქუჟყანამან ...“

VIII. „და თქუა დმერთმან: ვქმნეთ კაცი ...“

IX. „და თქუა დმერთმან: აპა მიგეც თქუენ ...“.

ასეთ დაზიანერ მოწოდებებს თუ გამხელილ დაზიანერ განხრახვებს რვა შემთხვევაში ამოწმებს განხრახვის ადსრულების დამადასტურებელი სიტყვები, „და იქმნა ეგრეთ“, და შემდეგ, სრულქმნილი განხრახვის დაზიანერ მიერვე ხილვისა და შეფასების, ერთი და იგივე ფორმულა – „და იხილა დმერთმან, რამეთუ კეთილ“.

ცხრიდან ერთი, რიგით მერვე განხრახვითი ქმედება დაზიანებული და გამონაკლისს წარმოადგენს, რადგან მას არ ახლავს არც განხრახვის ადსრულების დამამოწმებელი სიტყვები და არც სრულქმნილი განხრახვის ხილვის გამო გაკეთებული შეფასება და ტრადიციული ფორმულა „და იხილა დმერთმან, რამეთუ კეთილ“.

დაზიანერ განხრახვის შესახებ ბიბლიია ასე მოგვითხრობს:

I.26. „და თქუა დმერთმან: ვქმნეთ კაცი ხატებისაებრ უენისა და მსგავსებისაებრ. და მთავრობდეს თევზოა ზღვისათა და მფრინველთა ცისათა და პირუტყუთა და მხეცოა ყოვლისა ქუჟყანისა და ყოველთა ქუჟარმავალთა, მავალთა ქუჟყანასა ზედა“.



მომდევნო მუხლი კი აღწერს თავად დვოის მიერ განხორციელებულ ქმედებას:

I.27. „და შექმნა ღმერთმან კაცი. ხა- ტებად დმრთისა შექმნა იგი. მამაკაცად და დედაკაცად ქმნა იგინი“.

ამ უკანასკნელ მუხლში არაფერია თქმული კაცის ღმერთთან მსგავსებაზე. უფრო მეტიც, ღმერთის სხვა განზრახ- ვით ქმედებათაგან განსხვავებით, ტექსტს არ ახლავს ფრაზა „და იქმნა ეგრეთ“ და, რაც მთავარია, არ მოს- დევს სრულქმნილი შედეგის დვოის მიერ ხილვისა და შეფასების ტრადი- ციული ფორმულა – „და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ“.

მერვე განზრახვითი ქმედება დვოისა მხოლოდ დვოიური კურთხევით მთავრ- დება:

I.28. „და აკურთხა იგინი ღმერთმან, მეტყუელმან: აღორძნდით და განმრავ- ლდით და აღავსეთ ქუეყანა და ეუფ- ლენით მას და მთავრობდით თევზთა ხლვისათა და მფრინველთა ცისათა და ყოველთა პირუტყუთა და ყოველსა ქუეყანასა და ყოველთა ქუეწარმავალ- თა, მავალთა ქუეყანასა ზედა“.

წმიდა წერილის ქართულენოვანი ტექსტის პირველი მუხლის შინაარ- სიდან ბუნებრივად მომდინარე და აქცენტირებულ შეგითხვას, თუ რის დასაბამად შექმნა ღმერთმა ცა და ქვეყანა, შესაქმის ტექსტი ერთადერთ პასუხს სცემს, ამ კითხვას აუცილებ- ლობით მოსდევს პასუხი, რომელიც მოკლედ ასე შიძლება ჩამოვაყალიბოთ:

ღმერთმა განზრახა კაცის შექმნა დვოის ხატად და მსგავსად.

მან სისრულეში მოიყვანა განზ- რახის მხოლოდ ერთი ნაწილი და შექმნა კაცი ხატად დვოისად, მაგრამ მანვე არ განასრულა და დიად დატოვა განზრახის მეორე – კაცის ღმერთთან მსგავსების ნაწილი.

ამგვარი მოცემულობა არის შესაქ- მის დანიშნულებითი ასპექტის არსე- ბითი მსარე და ბიბლიური ექვსი დღის

ასეთი შედეგი არის „კეთილ ფრიად“, თავად დვოისავე შეფასებით.

ბუნებრივია ვარაუდი თუ დასკვნა:

კაცი არ არის დვოის მიერვე სრულ- ქმნილი, არა იმიტომ, რომ ეს ღმერ- თისათვის შეუძლებელია, არამედ იმი- ტომ, რომ ასეთია დვოის ნება; კაცის სრულქმნა არის მთელი დვოიური შესაქმის ის მიზანდასახულება, დვოის ის ძირითადი განზრახვა, რისი მიღწევისთვისაც შექმნა ღმერთმა ყველა წინაპირობა – ცა, ქვეყანა და ხატი დვოისა.

დვოის ძირითადი განზრახვა ქარ- თულმა სააზროვნო წიაღმა იმთავითვე გაითავისა, სათანადო აქცენტი ბიბ- ლის პირველი მუხლის უნიკალური ტექსტით აღბეჭდა და შემოგვინახა. ეს ფაქტი ქართული წერილობითი წყა- როებით ათას ექვსასი წლის განმავ- ლობაში უცვლელად არის დადასტუ- რებული და ქართულენოვანი ბიბლიის განსაკუთრებულობას წარმოადგენს და გამოარჩევს მას სხვა ენებზე არსებულ ბიბლიური ტექსტებისაგან. ქართულ- ენოვანი ტექსტით აქცენტირებული და ინიციირებული კითხვები, თუ რის და- საბამად შექმნა ცა და ქვეყანა ღმერთ- მა? რისთვის მოაწესრიგა და, საგან- გებო რიგით, ხილულად რისთვის წარ- მოაჩინა უფალმა მანამდე „უხილავი, განუმზადებელი და ბნელი ქვეყანა“? მოსეს გამოცხადებითი ტექსტით მკა- ფიოდ განმარტება, რომ ცისა და სა- განგებოდ მოწესრიგებული ქვეყნის დანიშნულებაა ემსახუროს დვოის ხატად შექმნილი კაცის დვოის მსგავ- სებისაკენ სვლას, იყოს დასაბამი, დასაწყისი თუ სათავე და ხილულად წარმომჩენი კაცის დვოის მსგავსებისა.

ბიბლიური ტექსტის მეორე თავი კა- ცის დვოის მსგავსების არსებით ნი- შანს გამოკვეთს და გვაძლევს დვოის მსგავსებისაკენ სვლის განმსაზღვრელ რამდენიმე გაპერიოდს. შესაქმის ტექს- ტი განმარტავს, რომ ღმერთმა ადამი შექმნა „რამეთუ არა ეწვიმა ღმერთსა



ქვეყანასა ზედა და კაცი არა იყო მოქმნად ქვეყანისა.“ „და შექმნა უფალმან ღმერთმან კაცი მტვერისა მიმდებელმან ქუეყანისაგან და შთაბერა პირსა მისსა სული სიცოცხლისა და იქმნა კაცი სულად ცხოვლად“.

2.15. „და მოიყვანა უფალმან ღმერთმან კაცი რომელი შექმნა და დაადგინა იგი სამოთხესა შინა საშუალებისასა საქმედ მისა და ცვად“,

2.16. „და ამცნო უფალმან ღმერთმან ადამს მეტყუელმან: ყოვლისაგან ხისა სამოთხისა ჭამით სჭამო“.

2.17. „ხოლო ხისგან ცნობადისა კუთილისა და ბოროტისა არა სჭამო მისგან, რამეთუ რომელსა დღესა სჭამო მისგან სიკუდილით მოჰკუდე“.

ვფიქრობ, ამ წინადადებებით საკმარისი სიცხადით არის გადმოცემული ღვთიური შეტყობინება, რომელიც განმარტავს მის ნებას – თუ რა დანიშნულებით, რა ფუნქციისათვის შექმნა ღმერთმა კაცი და რა დავალებით აღჭურვა იგი მან – ღმერთმა კაცის ფუნქცია განსაზღვრა ქვეყნად, პირველყოვლისა კი სამოთხეში საქმიანობითა და სამოთხის დაცვით; როგორც ჩანს, სამოთხეში ცხოვრების ასეთი წესი უზრუნველყოფდა ადამის ღმერთობა მსგავსებას და ეს იქნებოდა სათხო ღვთისათვის და „კეთილ ფრიად“, მიუხედავად იმისა რომ ადამი, უფლის გაფრთხილების დამორჩილების შემთხვევაში, არ იქნებოდა კეთილისა და ბოროტის შემეცნების სურვილისა და გარჩევის უნარით აღჭურვილი. პირიქით, ღმერთმა ადამს დაუწესა არსებითი აკრძალვა და გააფრთხილა, თუ რა მოჰკუდოდა აკრძალვის არ შესრულებას, ანუ ცოდვით დაცემას და ხეცნობადის ნაყოფის შექმას.

მაგრამ, უმნიშვნელოვანესი და უურადსაღებია ის რომ ამ გაფრთხილების ტექსტს მოხსენევს უფლის შეფასებითი სიტყვები:

2.18. „და თქუა ღმერთმან: არა კეთილ არს ყოფად კაცისა მარტო. უქმნეთ მას შემწე მისებრი“.

სამოთხეში ცოდვით დაცემამდე ადამის ყოფის უარყოფითი შეფასება იმას უნდა ნიშნავდეს, რომ, რაღაცატომ, თავისუფალი ნებით აღჭურვილი ღვთის ხატი – ადამი არ ამართლებდა ღვთის მოლოდინს და არ ასრულებდა ღვთის მიერ მისოთვის განსაზღვრულ ფუნქციას, მისიას თუ დავალებას – შრომით, შემოქმედებით და ქვეყანაზე ზრუნვით დამსგავსებოდა შემოქმედს, პირიქით, ის იყო სრულიად უმოქმედო.

ღვთის მომდევნო ძალისსხმევა, მოუძებნოს შემწე ადამს, მსგავსი მისი, ორი ნაბიჯისაგან შედგება: ჯერ ღმერთმა ცხოველები და ფრინველები შემოიყვანა სმოთხეში და ადამს მათვის სახელების შერჩევა დაავალა. დავალება ადამმა წარმატებით აღასრულა, მაგრამ, მიუხედავად ამისა ტექსტი გვამცნობს, რომ ღმერთმა „ადამისი არა იპოვა შემწე მსგავსი მისი“, ანუ ღმერთმა ცხოველთა და ფრინველთა შერის არცერთი არ ჩათვალა ადამის შემწე არსებად და მეორე ნაბიჯით მან ძილი მოპგვარა ადამს“, მისი გვერდიდან შექმნა ევა, რომელიც იქცა ადამის აქტივობის წყაროდ – ადამმა უმალ მოელი სამოქმედო გეგმა და განზრახულება წარმოთქვა. შესაქმის მეორე თავი მთავრდება სიტყვებით:

2.25. „და იყენეს ორნივე შიშუელ – ადამცა და ცოლი მისი – და არა პრცხულენდა“.

ღვთიური აკრძალვა გარკვეული წყალგამყოფი, მიჯნა და მაჩვენებელია იმისა თუ როგორი იქნება ადამის ყოფა, იმის გათვალისწინებით დაარღვევს ღვთის მცნებას იგი თუ არა, დაუცემა იგი ცოდვით თუ არა.

დაბადების მეორე თავის ტექსტი განმარტავს, რომ თუ ადამი დაემორჩილება აკრძალვას მაშინ სამოთხის დაცვასა და მოვლაში გამოხატული მისი საქმიანობა მუდმივად გაგრძელდება და ამასთან ის არ იქნება მატარებელი სირცხვილის თუ შიშის განცდის და მას არ შეაწუხებს ზნეობრივი ხასიათის არავითარი პრობლემა. მაგრამ ცოდვით დაცემის შემთხვევაში,



როგორც ეს მესამე თავის ტექსტით ხდება ცხადი, ადამი ხდება სიკვდილთან წილნაყარი და იცვლება მისი საქმიანობის ფორმა – ის ხდება მეცნიერ კეთილისა და ბოროტისა და ამ ნიშნით ემსგავსება ღმერთს, მაგრამ კარგავს ღმერთთან მსგავსობის სხვანიშანს – უკვდავებას, ხდება მოკვდავი. მას ეუფლება სირცესილის განცდა და ღვთის შიში; ამავე ღროს ქვეყნად საქმიანობა კვლავ ძალაში რჩება, როგორც მისი ღვთიური ფუნქცია, თუმცა არა სამოთხეში, არამედ ქვეყნად და მისი საქმიანობა განისაზღვრება როგორც კეთილისა და ბოროტის შემეცნების მწუხარებით სავსე პროცესი, „ვიდრე მიქცევადმდე მიწად“.

უდავოდ გვესახება და აშკარაა გამოცხადებითი ტექსტის სწავლება, რომ ადამი შრომითა და შემოქმედებით უნდა ემსგავსოს შემოქმედს და ქვეყნისათვის ზრუნვაში უნდა იყოს უფლის თანაშემწე.

ადამის, როგორც თავისუფალი ნებით აღჭურვილი არსების მიმართება ღვთიურ აკრძალვასთან კი განაპირობებს მისი მომავალი ყოფის, ღვთის მიერ განსაზღვრული ფუნქციის აღსრულების ფორმასა და ხასიათს – ადამის არჩევანი გადაწყვეტს თუ ცხოვრების როგორი წესით:

ა) უკვდავად მყოფი, მაგრამ კეთილისა და ბოროტის გარჩევის უნარის, სირცესილის, შიშის თუ ზნეობრივი შეზღუდვების გარეშე წარმოაჩენს ის ღვთის მსგავსებას და აღასრულებს ღვთის ნებას, თუ

ბ) კეთილისა და ბოროტის შემეცნების უნარით ივლის ღვთის მსგავსებისაკენ და სირცესილის, შიშის და სხვა ზნეობრივი მარწუხების სულიერი ტვირთით გააგრძელებს წუთისოფელში მისოვის სიკვდილამდე სინანულით გასავლელ ცხოვრებას.

ეს არჩევანი განსაზღვრავს იმას, მუდმივად და დაუსრულებლად იქნება დაკავებული ადამი მხოლოდ ღმერთის

მიერ ბოძებული გარემოს ჭვრეტით, სამოთხის დაცვისა და ბუნებრივი გარემოს მოვლის ფუნქციის აღსრულებით, თუ წუთისოფელში მისოვის განკუთვნილი ღროის მოკლე მონაკვეთში, საკუთარი შემოქმედებით, ახალი ხილული რეალობის წარმოჩენის მეშვეობით შეეცდება ღვთის მიბაძავს, შეეცდება დაემსგავსოს შემოქმედ ღმერთს.

ნეტერი მამა ნემესიოს ემესელი ასე მსჯელობს ადამის უკვდავების შესახებ: „ებრაელი უკუე კაცისასა დასაბამითგან არცა განჩინებით მოკუდავად და არცა უკუდავად შექმნას იტყუიან, რომელ საზღვართა შორის მრჩებლთა ბუნებათასა, რათა უკეთუ სხეულოანთა შეუდგეს ვნებათა, სხეულოანიცა შეემთხვენ მიმოქცევანი; ხოლო უკეთუ სულისთა პატივ სცეს კეთილთა, უკუდავებისა დირს იქმნას, რამეთუ, უკეთუ დასაბამითგანვე მოკუდავად შეექმნა იგი ღმერთს, არამცა მცოდველი სიკუდილით დაესაჯა, რამეთუ მოკუდავი მოკუდავებითა არავინ დასაჯოს; არამედ და, თუმცა კუალად უკუდავად დაებადა, არამცა საზრდელსა სხეულოანსა მოქენე არს; არცა მცა ესრეთ ადგილად შეინანა და ქმნილი უკუდავად მსწრაფლ მოკვდავადმცა შეექმნა, ვინაითგან არცა მცოდველთა ანგელოზთა ზედა ჩანს ესრეთი მოქმედად, არამედ დასაბამითგანისა ბუნებისაებრ უკუდავად ეგნეს სხვის მომლოდენი შეცოდებისათვის მსჯავრისა და არა სიკუდილისანი.“ და კიდევ ასეთი თვალსაზრისი: „< > რამეთუ საკუთრებით კაცისა ოდენ არსებასა აქვს საყოველთაოდ და სამარადისოდ, ესრეთივე ყოველთა ნიჭთა შორის საკუთარ კაცისა არს, უფროის ყოვლისა სიტყვიერისა აგებულისა, სინანულისა მიერ განყრად მიზეზისა პირველთა ცოომათასა. რამეთუ მხოლოდ კაცსა მიენიჭა ესე ყოველადვე და სამარადისოდ უამთა შორის სოფლისა ამისა ცხოვრებისათა, ხოლო შემდგომად სიკუდილისა არდარა“.



ყველაფერი ადასტურებს იმას, რომ, დათის ნებით, კაცის ფუნქცია და დანიშნულება არის საქმიანობა ქვეყნად, სამოთხეში თუ მის გარეთ, ანუ კაცის ფუნქცია და დანიშნულებაა, დათისათვის სათხო ღვაწლითა და შრომით, შემოქმედი ღმერთის მსგავსებისაკენ სვლა და ღმერთის შეერთება.

მამა ღმერთის მიერ მხოლოდ მობილი ძის ქვეყნად მოვლინება და მისი ხილულად წარმოჩენა, ძე ღმერთის ხორცშესხმა, განკაცება, ჯვარცმა და აღდგომა არის ის სასწაული, ის ხილული ნიშანი, რომლითაც დასტურდება, რომ, ცოდვით დაცემის მიუხედავად, ძალაშია შესაქმედელი განზრახულება და კვეყნამ შესარულოს კაცის ღმერთის მსგავსების დასაბამის, დასაწყისის თუ სათავის და ხილულად წარმომჩენის ფუნქცია, ხოლო კაცი არა სამოთხეში, არამედ წუთისოფელში ცხოვრების ფორმით უნდა ეცადოს დათის მსგავსებისაკენ სვლას და უმადლოდეს უფალს რომ მან „ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყნა“ და ეს არის დათიური შესაჭმის შემადგენელი ის საქმე, რომელიც დათის მიერვე არის განსრულებული, მის მიერვე ხილული და შეფასებული, როგორც „პეტილ ფრიად“.

დათის მიერ დათის ხატად შექმნილი ადამიანის ცოდვით დაცემის შედეგად შეძენილმა შემეცნებითმა უნარმა განაპირობა ის, რომ კაცობრიობა გასცდა ბიბლიური ტექსტის იმ ფარგლებს, რომლის თანახმადაც „აკურთხა იგინი ღმერთმან, მეტყველმან: აღორძნდით და განმრავლდით და აღავსენით ქვეყნა და ეუფლენით მას და მთავრობდით თევზთა ზღვისათა და მფრინველთა ცისათა და ყოველთა პირუტყვთა და ყოველსა ქვეყნასა და ყოველთა ქვეწარმავალთა, მავალთა ქვეყნასა ზედა“.

დათიური კურთხევა კარგად შეისმინა ადამიანმა, თუმცა გამრავლებასა და ქვეყნის ავსებასთან ერთად, მან სწრაფად განავითარა შემეცნების უნარი და, ცოდნისა და გამოცდილების

დაგროვების საფუძველზე, დაადგა შემოქმედებითი შრომის დათისათვის სათხო გზას. ამ გზაზე კი იკვეთება და მედავნდება ადამიანთა საქმიანობის დათიურ ნებასთან მისადაგების აუცილებლობის მოთხოვნა, დათიური შეფასებების, მისი გაკვეთილებისა და ხილული ნიშნების სათანადოდ გათვალისწინების აუცილებლობა რაც ყველაზე მეტად ხელშესახები, ვფიქრობ, დღესაა, როცა სამეცნიერო-ტექნოლოგიური მიზნების სახით ბუნებრივ გარემოსთან ერთად თითქმის ტოლდალოვანი და განმსაზღვრელი გახდა ადამიანის ხელით შექმნილი გარემოს როლი.

ადამიანის ცოდვით დაცემის შედეგად შეძენილი შემეცნებითი უნარი განუყოფელია აზროვნებისაგან, ცნებითი, ანუ კონცეპტუალური აზროვნება კი ადამიანს გამოარჩევს სხვა ცოცხალი ხილული სამყაროსაგან.

წარმოდგენით, ცნებით და მისტიკურ აზროვნებათა ფორმათაგან მეცნიერული აზროვნება, უპირატესად, ცნებითი აზროვნებაა, იგი რაციონალური შემეცნების ბაზაზე ვითარდება. მეცნიერული აზროვნების წიაღი კაცობრიობის შემოქმედებითი აქტივობის საფუძველი და ასპარეზია და მისი მნიშვნელობა იმით განისაზღვრება, რომ არ იფარგლება რეალური სამყაროს მხოლოდ შესწავლით, ანალიზითა და სათანადო დასკვნების შემუშავებით, ანუ ფილოსოფიური და ოდენ მჭვრეტელობითი ფუნქციით – მეცნიერების, პირველყლისა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საფუძველზე სინთეზირდება, აიგება, იქმნება და ვითარდება ადამიანის ხელით შექმნილი რეალური გარემო, რომელიც დღეს მეცნიერული ცოდნისადმი უპირობო ნდობის საფუძველს წარმოადგენს და რომელსაც, მეორე მხრივ, ცხოვრების საზრისის გაცნობიერებისაკენ და რელიგიური რწმენის საფუძვლებისაკენ მივყავართ.

თავად მეცნიერული ცოდნის ათვისება თუ შეძენა, ანუ სწავლა-სწავლების პროცესი, ცხადია, ასევე არის რაციონალური შემეცნებითი პროცესი



და, ამიტომ, მეცნიერულ დისციპლინებზე აგებული საგანმანათლებლო საქმიანობა გრძნობადი ცდების, თუ ექსპერიმენტებისა და კონცეპტუალური, ლოგიკური, რაციონალური შემეცნების ფარგლებში წარიმართება. ასეთი გზით შეძენილ ცოდნას ეყრდნობა ადამიანის შემოქმედებითი შრომა – ადამიანიც ასეთი საქმიანობისაკენ მთელი არსებით არის მიღრეკილი, რამეთუ შემოქმედების ნაყოფის რეალურად ხილვის საფუძველზე წარმოქმნება მისი სიხარულის, კმაყოფილების თუ ბენიერების განცდა, რაც თავის მხრივ, კიდევ უფრო აღრმავებს მეცნიერული ცოდნის ძალმოსილებისადმი ნდობას. ასეთი სულიერი პროცესები კი შემმეცნებელში, მეცნიერულ ცოდნასთან ერთად, მტკიცე რწმენის განწყობას აყალიბებს, ანუ ქმნის სათანადო მისტიკური თუ რწმენითი შემეცნების მზაობას.

„პაცობრიობა აყალიბებს ერთიან კონტროლირებად ტექნოლოგიურ სისტემას, ამ სისტემას კი, აუცილებლად ესაჭიროება ჭეშმარიტი სარწმუნოებით აღვსილი, სიყვარულით, ხებისყოფით და პასუხისმგებლობის გრძნობით დაჯილდოებული ადამიანი“, გვმოძღვრავს დღეს ჩვენი სულიერი მამა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია – II, ამ სიტყვებით ის არამც და არამც არ ემიჯნება საკაცობრიო გამოწვევას, პირიქით, ცივილიზაციური მოთხოვნების წინა ხაზზე მოქმედებისაკენ გვიბიძგებს, იმ შეგნებით, რომ ყველაფერი დვთის დაშვებით ხდება და, სწორედ ამიტომ, ამ ხილულ ნიშანში უნდა ვეძიოთ და ვპოვოთ დღეს გზა ხსნისა.

„მეცნიერება არის დღევანდელი ცივილიზაციიური გამოწვევის ძირითადი შემოქმედი და აუცილებელია მასთან ადამიანის დაახლოება, მისი განსწავლა, წვრთხა და აღზრდა, ოდონდ ამავდროულად აუცილებლად უნდა შევქლოთ მისი რწმენით, სიყვარულით

და სათხოებით აღჭურვაც“ – საქართველოს პატრიარქის, ილია II ეს სიტყვები იმ რწმენის გამოხატულებაა, რომ თუ ადრე რწმენისა და ცოდნის, სარწმუნოებისა და მეცნიერების ერთ ადამიანში მშვიდობისმყოფობით გაერთიანება გამორჩეულთა ხვედრი იყო, როგორც ამას ბრძანებდა გაბრიელ ეპისკოპოსის მისამართით ილია ჭავჭავაძე, დღევანდელი საგანმანათლებლო, საკომუნიკაციო თუ საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით შესაძლებელია ყოველ ადამიანში აღიზარდოს ლვთისათვის სათხო სახე კაცისა, რომელიც ამაღლდება და გახდება მეგობარი დვთისა.

დიდი ხანია გამოიკვეთა შეხედულება, რომ არსებობს რაღაც ერთიან საკაცობრიო ისტორიული მიზნისაკენ მიმართული ცივილიზაციური პროცესი და კაცობრიობის განვითარების, თუ პროგრესის შემოქმედი და მომსახურე, მონაწილე თუ მსახური არის წუთისოფელში დვთის ნებით მოვლენილი ყოველი ადამიანი. მაგრამ რა არის საკაცობრიო მიზანი და რას აძლევს კაცობრიობის პროგრესი, ან კაცობრიობა, როგორც მთლიანი, საკაცობრიო მიზნის მიღწევამდე (თუ კი ასეთი მიზანი არსებობს საერთოდ) მის თითოეულ წევრს, ყოველ ადამიანს? რა მიმართება გლობალურსა და ლოკალურს შორის, კაცობრიობასა და კაცს შორის? რას კარნახობს დვთის დაშვებით არსებული ასეთი ცივილიზაციური მოცემულობა, ანუ უწყვეტი და უსასრულო საკაცობრიო მდინარეება ყოველ ადამიანს? როგორ უნდა იქცოდეს ამ გარემოში დვთისმოსავი, მორწმუნე კაცი?

ჩვენი მოკლე პასუხი ასეთია: კაცობრიობა შემოქმედებითი შრომით იმიტომ ცხოვრობს, რომ ეს პროცესი არის სათხო დვთისათვის – ეს ცივილიზაციური მდინარეება საფუძვლად ედება ქრისტიანულ ერთობას და ყოველი



კაცის იმ დვთიურ მიზანს რუსთველის სიტყვებით რომ გამოიხატება:

„არა ვიქ, ცოდნა რას მარგებს ფოლოსოფოსთა ბრძნობისა!

მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა მწყობისა“

ზესთ მწყობრთა წყობის შერთვა ღმერთთან შერთვას, უფალთან ზიარებას მოასწავებს და ევქარისტიული საიდუმლოს არსის გაცნობიერებას უკავშირდება.

ზიარების არსი მაცხოვარმა მოციქულებს საიდუმლო სერობაზე გაუმჯდავნა, როცა ისინი, პურითა და დვინით და არა ხორბლითა და ყურძნით, დააკავშირა საგუთარ სისხლთან და ხორცოან და ხაზგასმით მიანიშნა ღმერთთან შეერთების გზა – ღმერთთან ზიარება შრომითა და შრომის ხილული შედეგის კეთილდობით განისაზღვრება, ზიარება წუთისოფელში ღვაწლითა და შრომით არის განსაზღვრული;

ცოდვით დაცემული კაცობრიობა სინანულის გზით უდა ვიდოდეს, მართლმადიდებლური სწავლების იოანე დამასკელისეული სახელმძღვანელო კი გვაკვალიანებს, რომ „სინანული არის ბუნების გარეგანისაგან ბუნებისეულისაკენ და ეშმაკეულისაგან დვთისაკენ ზეადსვლა მოდვაწეობისა და შრომათა მიერ, ამიტომ ეს ადამიანი შემოქმედმა მამაკაცად შექმნა, უბოძა რა წილად თავისი საღვთო მადლი და მადლის გზით თავისთან მზიარებლად აქცია იგი“.

„ღმერთისათვის პურისა და დვინის ძღვნად შეწირვა არის ღმერთისათვის ჩვენი თავის მიძღვნა“;

„პური არის ჩემი შრომის, შენი შრომის შედეგი. შეწირვის პროცესში პური და ლინო – ეს ვარ მე, ხარ შენ, არის მთელი ქვეყნიერება, კოსმოსი“;

„მთელი ლიტურგია არის ეკლესიის ზეადსვლა ქრისტეს ტრაპეზზე მის სასუფეველში, ისევე როგორც ეპქარისტიული ძღვენი, კურთხეული სული-წმინდის მიერ, არის ქრისტეს ხორცი და სისხლი. და ყოველივე ამას ადგას-

რულებთ ჩვენ“, ბრძანებს თანამედროვე დვთისმეტყველი, პროტოპრესვიტერი ალექსანდრე შმეგანი.

ლიტერატურა:

1. „წიგნი ძუელისა ადოქუმისანი“, მეცნიერება, 1989.
2. ნემესიოს ემესელი – „ბუნებისათვის კაცისა“, თარგმანი იოანე პეტრი-წისა, 1914.
3. წმინდა იოანე დამასკელი – „მართლმადიდებელი სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა“, 2000.
4. გაბრიელ ეპისკოპოსი – „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“, 1993.
5. დიმიტრი უზნაძე – „ფილოსოფიური შრომები“, 1984.
6. სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II – „ეპისტოლები“, 2009.
7. პარმენ მარგველაშვილი – „დვთიური შესაქმის დანიშნულებითი ასპექტი“, ურნალი „რელიგიის ისტორიის საკითხები“, II, გვ. 7–19, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, 2013.
8. პროტოპრესვიტერი ალექსანდრე შმეგანი – „ლიტურგია და დვთისმეტყველება“, 2014.

რეზიუმე

ტმინდა ტერილის მართლენოვანი ტაქსიდი და კაცის დათიური მისია პარმენ მარგველაშვილი, პროფესორი მოსეს ბიბლიური ტექსტით მკაფიოდ განიმარტება, რომ ცისა და საგანგებოდ მოწესრიგებული ქვეყნის დანიშნულებაა ემსახუროს დვთის ხატად შექმნილი კაცის დვთის მსგავსებისაკენ სვლას, იყოს დასაბამი, დასაწყისი თუ სათავე და ხილულად წარმომჩენი კაცის დვთის მსგავსებისა. აშკარად ამ გამოცხადებითი ტექსტის სწავლება, რომ კაცი შრომითა და შემოქმედებით უნდა ემსგავსოს შემოქმედს და ქვეყნისათვის ზრუნვაში იყოს უფლის თანაშემწე.



**მეცნიერებისა და რელიგიის
ზოგიერთი აჯტალური საპითხის
შესახებ**

ნოდარ კეკელიძე, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი
გერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და
მასალათმცოდნების ინსტიტუტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბი-
ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თანამედროვეობის და არა მხოლოდ
თანამედროვეობის ერთ-ერთ უველაზე
აქტუალურ საკითხს წარმოადგენს
პრობლემა სამყაროს უსასრულობისა
და სტაბილურობის შესახებ. უსასრუ-
ლო და მარადიული სამყაროს კონ-
ცეციაზე არის დაყრდნობილი მთელი
მატერიალისტური და ათეიისტური ფი-
ლოსოფია, ლოგიკა და წარმოდგენები.
ბუნებრივია, თუ ჩვენ ვივარაჟდებთ,
რომ სამყარო უსასრულო და უცვლე-
ლია, ე.ი. მას არა აქვს არც დასაწყი-
სი და არც დასასრული, მასში უველა-
ფერი სტაციონალური და უცვლელია
და არავითარი სერიოზული ძვრები და
ცვლილებები არ მიმდინარეობს, მაშინ
ჩვენ უნდა დავასკვნათ, რომ მას
არავინ წარმართავს, ანუ ასეთ სამ-
ყაროში აღარ არის დმერთის ადგილი.
სამყარო არსებობს თავისთავად და
მასში პროცესები მიმდინარეობს ყო-
ველგვარი გარეშე ძალის ჩაურევლად.
სამწუხაროდ ათეიზმის აღნიშნული
ფუნდამენტი საკმაოდ მყარია და მისი
დანგრევა არ წარმოადგენს ადვილ
ამოცანას, მითუმეტეს, რომ მას მხარს
უჭერს მრავალი აღიარებული მეცნიერი
და თითქოს დაკვირვებებიც მათ სასარ-
გებლოდ მეტყველებენ.

სამყარო ჩვენ, ძირითადად, წარმოგ-
ვიდგება ცის თაღის სახით, რომელსაც
კაცობრიობა მოედი თავისი არსებობის
პერიოდში აკვირდება. ათასწლეულების
მანძილზე ადამიანები ხედავენ და
სწავლობენ პლანეტების სტატიკურ
ორბიტებს, უძრავ გარსპლანეტებს და

ასკვნიან, რომ იქ არაფერი იცვლება;
რაც სამყაროს მუდმივობაზე, მის
უცვლელობაზე მიუთითებს. საუკუნეე-
ბის მანძილზე (განსაკუთრებით კი ბო-
ლო პერიოდში) ჩვენ უფრო და უფრო
ზუსტად და ეფექტურად ვაწარმოეთ
ასტროფიზიკური გამოკვლევები [1],
აღმოვაჩინეთ არა მხოლოდ ახალი
ვარსკვლავები, არამედ ათასობით ახა-
ლი უშორესი გალაქტიკები. ჩვენი „პო-
რიზონტი“ მუდმივად ფართოვდება და
მან მილიარდობით სინათლის წლებს
გადააჭარბება. აქედან კი ბევრი დამკვირ-
ვებელი და ცნობილი მეცნიერი ასკვ-
ნის, რომ სამყარო უსასრულო და
უცვლელია. სამყაროს სტაბილურობის
მომხრეა თვით დიდი არისტოტელე (384-322) ძ.წ. მეტიც ფაქტობრივად იგი
ამ დებულების შემოქმედია. ამავე აზრს
იზიარებდა და მტკიცედ იცავდა, აღმო-
სავლეთის ასევე უდიდესი ავტორიტე-
ტი, ავიცენა (980-1037) და მრავალი
სხვა მეცნიერი. ასე, რომ უნდა აღვნიშ-
ნოთ, რომ სამყაროს სტაბილურობისა
და უცვლელობის კონცეფცია გაბატო-
ნებული იდეა იყო მთელს ძველ დასავ-
ლეთსა და აღმოსავლეთში. სამწუხა-
როდ, აღნიშნული იდეა შენარჩუნებულ
იქნა პრაქტიკულად მთელი შუა
საუკუნეების მანძილზე და შემდგომაც.
მხოლოდ დიდი გერმანელი ფილოსო-
ფოსი იმანუელ კანტი გახლდათ ის
მეცნიერი, რომელმაც უარყო აღნიშნუ-
ლი დებულება და პირველმა მეცნიერუ-
ლად დააფუძნა კოსმოლოგიური თეო-
რია, რომელიც „სამყაროს საწყისის“
არსებობის წარმოდგენას ეყრდნობა.

სამწუხაროდ ვერ ვიტყვით, რომ
კანტის იდეებმა სწრაფად შეცვალა
მეცნიერთა შეხედულებები. მეტიც, შემ-
დგომში იმდლავრა მარქსისტულმა და
საერთოდ მატერიალისტურ-ათეიისტუ-
რმა შეხედულებებმა, რომლებიც დღესაც
აქტიურად ებრძვიან იდეალისტურ-თეო-
ლოგიურ იდეებს.

მხოლოდ დიდი აფეთქების თეორიამ
(დათ) შესძლო გამანადგურებელი დარ-



ტყმა მიეყენებინა სამყაროს მარადიულობის კონცეფციისთვის. ეს ბრძოლა დღესაც გრძელდება. ფრიად საგულისხმოა, რომ სამყაროს სტაბილურობის შექედულება ისე მძლავრად იყო ფესვგადგმული მეცნიერთა შორის, რომ თანამედროვე კოსმოლოგიის ფუძემდებელი, გენიალური ალბერტ ეინშტეინიც კი „დაემორჩილა“ მას და თავის ზოგად განტოლებაში შეიტანა სპეციალური, ე.წ. „დელტა“ წევრი, რათა უზრუნველეყო სამყაროს სტაციონალურობა. საბედნიეროდ სრულიად ახალგაზრდა, საბჭოთა მათემატიკოსმა ალექსანდრე ფრიდმანმა (1888-1925) უკუაგდო დელტა წევრი, ზუსტად ამოხსნა ეინშტეინის განტოლება და აჩვენა, რომ სამყარო არ არის სტაბილური, იგი ფართოვდება.

აუცილებელია ადინიშნოს, რომ სამყაროს გაფართოების იდეის პირველი ეფექტური მცდელობა განახორციელა 1917წ. პოლანდიუმმა ასტრონომმა ვილემ დე სიტერმა.

1929 წ. გამოჩენილმა ამერიკელმა ასტროფიზიკოსმა ედვინ ჰაბლიმ თავისი ბრწყინვალე გაზომვებით აჩვენა, რომ სამყარო მართლაც ფართოვდება, რომ გალაქტიკები, მათ შორის არსებული მანილის პროპორციული სიჩქარით, შორდებიან ერთმანეთს. საბოლოო ჯამში ეინშტეინის მოძღვრებაზე დაყრდნობით ახალი იდეებით და ზუსტი მათემატიკური ანალიზისა და ფრიად დამაჯერებელი გაზომვების საფუძველზე დე სიტერის, ფრიდმანის, გომოვის, ჰაბლის, ჰენზიასის, უილსონის, ლინდეს და სხვათა მიერ ჩამოყალიბდა ექსპერიმენტებით დასაბუთებული, მწყობრი დიდი აფეთქების თეორია. ადინიშნული თეორიიდან გამომდინარეობს, რომ თუ წარმოვიდგენთ სამყაროს გაფართოების შებრუნებულ სურათს, მაშინ უნდა განვიხილოთ სამყაროს შეკუმშვის პროცესი და ამ გზით ჩვენ მივალთ მკაფიო დასკვნამდე იმის შესახებ, რომ იყო დრო, როცა სამყარო ერთ წერტილში იყო შეკუმშული. ე.ი. პროცესს და სათანადო

თეორიას გააჩნია სინგულარობის წერტილი. აქედან გამომდინარეობს, რომ იყო „დრო“, როდესაც იყო მხოლოდ წერტილი, ე.ი. ფაქტიურად არაფერი არ იყო - არ იყო არც დრო, არც სივრცე და არც მასა - ნივთიერება, რომელიც მატერიის ძირითად არსს წარმოადგენს. დიდი აფეთქების შედეგად დასაბამი მიეცა დროს, ისევე როგორც სივრცეს და მატერიას, ანუ შეიქმნა სამყარო, რომელმაც დაიწყო გაფართოება. მაშასადამე სამყაროს გააჩნია დასაწყისი, მას ექნება დასასრულიც და იგი არ არის უსასრულო და სივრცეში შემოსაზღვრულია. ზემოაღნიშნული პირდაპირ მიუთითებს შემოქმედის არსებობაზე, ადასტურებს, რომ სამყარო შექმნა დმერთმა. აღნიშნული წარმოადგენს უმნიშვნელოვანებს მეცნიერულ დასკნას და სწორედ ამის გამო, რომის პაპმა დიდი აფეთქების საწყის მომენტს დმერთის მიერ სამყაროს შექმნის აქტი უწოდა. შესაძლოა ვივრაუდოთ, რომ მატერიალური სამყარო დმერთმა შექმნა ენერგიის გარდასახვის გზით (ეინშტეინის ფორმულის „შესაბამისად“). შესაძლოა პირველადი ენერგია ფარული (უზინარი) ენერგია ყოფილიყო, მაგრამ აქ მთავარი ის არის, რომ ყველა ეს ენერგია აგრეთვე დმერთმა შექმნა, ანუ სამყარო მან თვითონ შექმნა არაფრიისგან.

ზემოთ მოყვანილ დასკნებს დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე წმინდა ფილოსოფიური და ბუნებრივია თეოლოგიური თვალსაზრისით. კერძოდ, ისინი ქმნიან ძლიერ მეცნიერულ ფუნდამენტს მატერიალისტურ-მარქსისტული თეორიის წინააღმდეგ. თანამედროვე კოსმოლოგიაში საკმაოდ კარგად გათვითცნობიერებული ფილოსოფოსი ა.ტურსუნოვი [2] გერ ფარაგს თავის აღმფოთებას იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ გაფართოებადი სამყაროს თეორია და ცნებები - სამყაროს გაფართოების, დასაწყისის, დროის ნულოვანი მომენტის, სამყაროს ასაკის და სინგულარული წერტილის არსებობის შესახებ, ადამიანებში იწვევს



მკაფიოდ გამოხატულ უარყოფით რეაქციას და განუხერელად მივყავართ იდეალიზმის ჭაობში ჩაძირვისკენ და იგი იწვევს რელიგიის წინაშე მათ განიარაღებას.

საერთოდ სამყაროს წარმოშობის საკითხი ურთულესი პრობლემაა [3-12]. ა.ენიშტეინი აღიარებდა კოსმოსის იდუმალებას და ადფრთოვანებული იყო მისი სიდიადით. მეორეს მხრივ კვანტური მექანიკა, კვანტური ფიზიკა არ არის მხოლოდ ფიზიკა, იგი ფილოსოფიასაც განეკუთვნება, აღნიშნული განსაკუთრებულად ნათლად ჩანს კვანტური ფიზიკის ერთ-ერთი ძირითადი დამფუძნებლის ნილს ბორის მიერ ჩამოყალიბებულ დამატებითობის (ისევე, როგორც გეოზენბერგის განუზღვრელობის) პრინციპიდან. დამატებითობის პრინციპი უფრო ფილოსოფიის საკითხია, ვიდრე ფიზიკის და საბუნებისმეტყველო მოძღვრებიდან ნივთიერების აგებულების შესახებ უაღრესად მნიშვნელოვანი ფილოსოფიური დასკვნები გამომდინარეობს, როგორც სრულიად მართებულად აღნიშნავს გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი, თანამედროვე კოსმოლოგიისა და ფიზიკის ბრწყინვალე მცოდნე სერგი ავალიანი [13]. ნათელია, რომ კვანტური ფიზიკა ვერაფრით ვერ იქნება მატერიალისტური ფილოსოფიის მატარებელი. იგი ცხადია განეკუთვნება იდეალისტურ ფილოსოფიას და თუ ეს ასეა, იგი სულიერების მატარებელია. ხოლო სულიერება, თავის მხრივ, მხოლოდ ღმერთის ელემენტია. მეცნიერები ბუნების და სამყაროს შესწავლისას სულ უფრო და უფრო ღრმად შედიან სამყაროს წიაღში, უფრო მეტს იგებენ, იმის შესახებ თუ როგორ ქმნის მას შემოქმედი. ამრიგად, ჩვენ უფრო გონიერები ვხდებით - ჩვენ ღმერთს ვუახლოვდებით. ამ მიმართებაში სწორედ კვანტური ფიზიკა ყველაზე მეტად მიუახლოვდა შემოქმედს. შევიდა ისეთ არეში, სადაც შემოქმედის ხელი ნათ-

ლად ჩანს. ჩვენ უკვე ვხედავთ როგორ აგებს შემოქმედი სამყაროს. როგორც მოსალოდნელი იყო იგი ამას აკეთებს მაქსიმალურად „მარტივად“ - კვარკები-დან ქმნის პროტონებს, ხოლო პროტონების, ნეიტრონების და ელექტრონებისგან აგებს მთელ სამყაროს.

ელემენტარული ნაწილაკები წარმოუდგენელი, უნიკალური თვისებების მატარებლები არიან. სასწაულია მაგალითად იგივე პროტონი. მას აქვს უნარი შექმნას ელემენტები. ერთი პროტონი ფაქტიურად უკვე წყალბადია. ხოლო თითო პროტონის დამატებით იქმნება სულ ახალ ახალი ელემენტები და ნივთიერებები. პროტონის მასის რიცხვითი მნიშვნელობაც კი უნიკალური თვისების მატარებელია. პრაქტიკულად იგი განსაზღვრავს სამყაროს ჩამოყალიბებას და მასში სიცოცხლის არსებობას. ასევეა სხვა ელემენტარული ნაწილაკებიც.

მეორეს მხრივ შეუძლებელია, რომ სამყარო შექმნილიყო შემთხვევითი, ქაოსური, სტატისტიკური პროცესების საფუძველზე. შემთხვევითი პროცესები ვითარდება აურაცხელი, ერთმანეთისგან განსხვავებული გზით, უმველგვარი მიზანმიმართული, განუსაზღვრელი მიმართულებით და შეუძლებელია ამ დროს ჩამოყალიბებულიყო მსგავსი, ერთნაირი სტრუქტურები, ერთიან პრინციპზე დაყრდნობილი, მოწესრიგგული და საოცრად ჰარმონიული სამყარო.

სამყაროში კი ჩანს ერთი ხელი, თითქმის ერთი მეორედი და სამყაროს შექმნის „უმარტივესი“ და იდენტური გზა. ცხადია ეს არის ერთი შემოქმედის, ერთი კონსტრუქტორის ხელი. პრაქტიკულად უკელა ნივთიერების შექმნას, ყველა საგნის აგებას ამ უკიდეგანო სამყაროში, სულიერისა თუ უსულოსი, საფუძვლად უდევს აბსოლუტურად ერთნაირი აგურების გამოყენება, რომლებიც შედგებიან პროტონების, ნეიტრონებისა და ელექტრო-



ნებისგან. საოცრებაა, რომ სიცოცხლის მოლექულა და ადამიანის ორგანიზმი იმავე მასალითად აგებული, რომლითაც რიყის ქვა, რაც აბსოლუტურად გამორიცხულია მომხდარიყო შემთხვევითი პროცესების საფუძველზე.

ამავე დროს აუცილებელია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ უფალი ადამიანს ანიჭებს განსაკუთრებით უნიკალურ თვისებებს. იგი ადამიანს თავის ხატად ანუ ღმერთთან განსაკუთრებით მიახლოებულს ქმნის, რაც მისი ფორმის გარდა, უპირველესად ადამიანის სულიერებაში და გონიერებაში გამოიხატება.

სულიერება სიცოცხლის ატრიბუტია. გონიერება კი სულიერების. სიცოცხლე ადამიანის გარდა გააჩნია ცხოველებს, მცენარეებს, მატლებს და ბაქტერიებსაც კი.

ვისაც აქვს სიცოცხლე, მას აუცილებლად გააჩნია გონიც.

შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ კვანტური ფიზიკა იდეალისტური ფილოსოფიის მატარებელია, აქედან კი შესაძლოა უფრო შორს წავიდეთ და დავასკვნათ, რომ იგი სულიერების მატარებელიცაა. გონიერება კი სულიერების ატრიბუტია. ამ გზით ჩვენ შესაძლოა მივიდეთ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ შესაძლოა კვანტური მექანიკის ობიექტები-ელემენტები ნაწილაკები განვიხილოთ ისეთ სუბსტანციად, რომლებიც თითქოს გონიერების ელემენტებს ატარებენ. აღნიშნულის მიმანიშნებელია მათი უნიკალური თვისებები, მათ შორის ისიც, რომ მყარ სხეულებში თითო ენერგეტიკულ დონეზე, შესაძლებელია განთავსდეს მხოლოდ განსხვავებული სპინების მქონე ელექტრონები და იქ მესამე ზედმეტია (ისევე, როგორც ადამიანების ოჯახში).

როგორც ჩანს ინტელექტის მსგავსი რამ გააჩნიათ მცენარეებსაც. გავიხსენოთ როგორ ადის ხეზე ვენახი, როგორ მშვენივრად „ჩაეჭიდება“ იგი ტოტს ან დეროს. რკინის ან ხის ღეროზე (ფანჩატური და სხვა) მცოცავი ვენახის ტანს ეზრდება საცხვა-

ბისმაგვარი გამონაზარდი, რომელიც ზუსტად და შეუცდომლად პოულობს ერთადერთ მიმართულებას, მაშინ როდესაც სივრცეში უამრავი მიმართულებად დეროს გარეშე.

ასევე ზოგიერთი მცენარის უნარი სწრაფად შეეუმშოს გადაშლილი ფავილის ბოლქვი და „მიირთვას“ მასში მჯდარი მწერი. აფრიკაში ისეთი ტიპის ხეებიც არსებობენ, რომლებიც საკმაოდ მოზრდილ ობიექტებს მიიტაცებენ რვაფეხას მსგავსად.

ინდოელი და იაპონელი მკვლევარები უფრო შორს მიდიან. ისინი ამტკიცებენ, რომ მცენარე გრძნობს, როდესაც მას ნაჯახს ან დანას მიუახლოვებენ.

ღმერთი უაღრესად მრავალმხრივი, მრავალსახოვანია. იგი ყოვლისმოქმედია. იგი განსაზღვრავს ყველაფერს, დასაწყისსაც და დასასრულსაც, მაგრამ ამავე დროს ადამიანს ანიჭებს თავისუფალ ნებას. იგი არ ქმნის რობოტს. შემოქმედი ერთდოულად ყველაფერს განსაზღვრავს და იმავე დროს ადამიანს ანიჭებს საკმაოდ დიდი თავისუფალი მოღვაწეობისა და შემოქმედების უნარს.

იგი ამ მხრივ, თითქოს ორმაგი ბუნებისაა.

ორმაგი ბუნება - დვთიური თვისებაა.

და ასეთი ორმაგი ბუნებით მან დააჯილდოვა სინათლე და ელემენტარული ნაწილაკები.

ადამიანს ქმნის ღმერთი, მაგრამ შემდგომ იგი მას თითქოს თავისუფლად უშვებს ბუნებაში სამოღვაწეოდ. იგი განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრებას ზოგადად, მაგრამ ყოველდღიურ წვრილმან ცხოვრებაში არ ერევა.

ღმერთი არის ყველგან, ყველა წვრილმანშიც, მაგრამ იმავდროულად ადამიანს ბევრი რამე შეუძლია თავისუფლად აკეთოს.

ვინაიდან ადამიანი არის ღმერთის ხატი, მას უფლისგან მინიჭებული აქვს ძალიან მაღალი ინტელექტი და დიდი შესაძლებლობები. ამიტომ ადამიანი, განსაკუთრებით კი მეცნიერი



ცდილობს ჩასწედეს ღმერთის მიერ დაწესებულ კანონებს - პრინციპებს და ძალიან ბევრ რამეს ხვდება და აღწევს.

დასასრულს მიზანშეწონილია აღინიშნოს, რომ დიდი აფეთქების თეორია ეყრდნობა ალბერტ ეინშტეინის კოსმოლოგიურ მოძღვრებას და მეორეს მხრივ იგი აგებულია ზუსტი მათემატიკური გამოთვლების საფუძველზე და დადასტურებულია უნიკალური ექსპრიმენტებით და დაკირვებებით. მიუხედავად ამისა, ცხადია, იგი ვერ იქნება სამყაროს შექმნის ეოლისმომცველი და აბსოლუტურად ჭეშმარიტი თეორია (ალბათ ასეთ თეორიას კაცობრიობა ვერასოდეს შექმნის). აღნიშნულის გამო დათის მიმართ არსებობს კითხვის ნიშნები და კრიტიკული შენიშვნები, მათ შორის ძალიან მკაცრი და მიმაჩნია უსამართლოც [14]. ამასთანავე არსებობს დათის შემდგომი გაუმჯობესების სერიოზული და კეთილი სურვილები. ფრიად საგულისხმო და ნიშანდობლივია, რომ ერთის მხრივ, ჩვენ, ამ თეორიის მიმდევრებს მეცნიერთა ნაწილი გვაკრიტიკებს იმ მოტივით რომ ჩვენ „შემოგვყავს“ დაწერთ, რასაც ისინი არამეცნიერულად მიიჩნევენ. ამავე დროს კრიტიკა მიემართება აგრეთვე საწინააღმდეგო მიმართულებითაც. როგორც ფრიად ნათლადა არის აღნიშნული ახლახან გამოცემულ მონოგრაფიული ტიპის სახელმძღვანელოში დათ ვერ ხსნის სამყაროში მიმდინარე პროცესების მეტად ზუსტ, ნატივ „შეხმატებილებას“, რომელიც თითქოს საგანგებოდ გონიერი სიცოცხლის გაჩენისთვისაა მორგებული [1].

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ჩვენ მიგვაჩნია რომ დათ-მი ჩვენ კი არ უნდა შევამციროთ უმაღლეს გონთან ანუ ღმერთთან დაკავშირებული იდეალისტური სულიერი კატეგორიების შეტანა, არამედ პირიქით უნდა გავაძლიეროთ ისინი. ჩვენი აზრით, დღემდე მეცნიერების როგორი და ძირითადი

მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ გაერკვია და დაედგინა ღმერთის მიერ შექმნილი ის კანონები, რომლებითაც იგი მართავს სამყაროს, რასაც მეცნიერება დიდი წარმატებით ახორციელებს. დღეს საჭიროა უფრო აქტიურად და ვიტყოდი თამამად, გავაძლიეროთ თეორია იდეალისტური ელემენტებით და შევეცადოთ გავარკვიოთ როგორ შეაქს დაწეროს მატერიალური სამყაროს მართვის ურთულეს სისტემებში უმაღლესი გონის და სულიერებების პრინციპები. ვიპოვოთ „სულიერების“ ახალი, უცნობი გამოვლინებები და დავადგინოთ შესაბამისი კანონზომიერებები.

დასასრულს, მინდა მადლიერება გამოვხატო დოქტორ ბელა კვირკველიას მიმართ, საინტერესო დისკუსიისთვის.

ლიტერატურა

1. მ. გიგოლაშვილი, მ. გოგბერაშვილი, 6. როინიშვილი. ასტრონომიის, ასტროფიზიკისა და კოსმოლოგიის პლატფორმა საგანგებო და მეთოდები. თბილისი, 2015.
2. A. Турсунов. Беседы о Вселенной. Москва, Изд-во политической литературы. 1984.
3. შ. შოშიაშვილი. სამყარო მეცნიერება რელიგია. გამომც. მერიდიანი. თბილისი. 2009.
4. შ. შოშიაშვილი. კოსმოსური სამყარო თეოსოფიური გადმოსახედიდან. წიგნი II. „მერიდიანი“. თბილისი 2012.
5. N. Aviezer, In the Beginning... Biblical Creation and Science. KTAV Publishing House, Hoboken N.J 07030. 1997.
6. А. Д. Линде. Физика элементарных частиц и инфляционная космология. М., Наука, 1990.
7. С. Вайнберг. Первые три минуты. М., Москва. 1988.
8. Hawking, Stephen W. A Brief History of Time: From the Big Bang to Black Holes. 2001.



-
9. С. Хокинг. Будет ли необходимость в идее Создателя, когда нам станет понятен замысел Бога. Наука и Религия. №8. 1991.
 10. С. Хокинг. Есть ли место Богу в беспредельной Вселенной. Наука и Религия. №6, 1999.
 11. б. გევალიძე. სამყაროს შექმნის შესახებ. ებრაისტიკის და ბიბლიოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის თემისები. ხოლონი. 2000.
 12. ნოდარ კამაძე. სამყაროს შექმნის ბიბლიური აღწერა და თანამედროვე მეცნიერული შეხედულებები. „მეცნიერება და რელიგია“. აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის სსოფლისადმი მიძღვნილი მესამე საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. გვ. 99-129. თბილისი. 2014.
 13. ს. ავალიანი. ბუნებისმეცნიერების ფილოსოფია. განათლება. თბილისი. 1974.
 14. Мераб Джиладзе. Миф и реальность. Знание. Тбилиси. 2014.



ბრამატიგის როლი მშობლიური ხილის დაზღვლების პროცესში

ნათელია მაღლაკელიძე, ილიას უნივერსიტეტის პროფესორი,
განათლების მეცნიერების დოქტორი
დეკანოზი მიქაელ ჭაბაშვილი, ექვთიმე
თავაიშვილის სახელობის სახწავლო
უნივერსიტეტის ასოცირებული
პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი

დღვენანდელ პირობებში, როდესაც ძირფესვიანად შეიცვალა საგანმანათლებლო მიღვომები, ცალკეული საგნების სწავლებისადმი დამოკიდებულება და ხედვა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება განათლების სფეროს მეცნიერეულ კვლევას. განსაკუთრებით დიდი სიახლეები გვაქსს ქართული ენის სწავლების კუთხით. ქართული ენა კი ქართულ სკოლაში არა მხოლოდ სასწავლო დისციპლინაა, არამედ სხვა საგანთა სწავლების საფუძველიც. ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი სტანდარტის ბირთვს წარმოადგენს ენა, როგორც პიროვნების თვითგამოხატვის, აზრის ჩამოყალიბებისა და გადაცემის საშუალება. „ენობრივი უნარ-ჩვევები უნდა წარმოვიდგინოთ არა როგორც მათი შემთხვევითი ნაკრები, არამედ როგორც ერთი მთლიანი სისტემა“ (ესგ).

მშობლიური ენის სწავლება სკოლაში ემსახურება თვითგამოხატვისათვის აუცილებელი ენობრივი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას სწავლების ყველა ძირითადი – ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის – მიმართულებით. „ამავე დროს ეს პროცესი გულისხმობის იმ მინიმალური ლინგვისტური კომპეტენციის ფორმირებას, რომელიც ენის პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით არის აქტუალური და შეესაბამება მოსწავლის ინტელექტუალურ შესაძლებლობებსა და ინტერესებს. ენა განიხილება როგორც აზროვნებისა და კომუნიკაციის საშუალება. შესაბამისად, მისი სწავლებაც ენის ამ თრი

უმთავრესი ფუნქციის წამოწევას ემსახურება“ (იქვე).

ბოლო წლებში შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ არაერთი კვლევა ჩატარდა მოსწავლეებში მშობლიური ენის ცოდნის, წიგნიერებისა და ანალიტიკური აზროვნების დონის დასადგენად (სასწავლო პროცესის სახელმწიფო შეფასება მშობლიურ ენაში – 2003 წ., წიგნიერება - IRLS – 2006, 2011 წ.). კვლევის შედეგები არასახარბიელოა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სკოლაში არასახურველი მდგომარეობაა პირველ რიგში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თვალსაზრისით.

სათანადო სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი, სწავლების პროცესზე დაკვირვება და მასწავლებელთა გამოცდილების შესწავლა-განზოგადება გვიჩვენებს, რომ მოსწავლეებში სამეტყველო უნარ-ჩვევების ფორმირებაში – ისევე, როგორც მთლიანად მოსწავლეთა წიგნიერების დონის ამაღლებაში – ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი მშობლიური ენის კანონების შეგნებულად დაუფლებასა და გააზრებას ეპუთვნის. ამ პროცესში კი განუზომლად დიდია სასკოლო გრამატიკის როლი.

როგორი ვითარება გვქონდა ამ თვალსაზრისით სასკოლო რეფორმა-მდე? ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ, სანამ ესგ ამოქმედებოდა, ამ კუთხით სკოლაში საკმაოდ არაერთგვაროვანი სურათი იყო: ოთხწლედში ისწავლებოდა გრამატიკის „ელემენტარული კურსი“ საკითხავ ტექსტებთან მჭიდრო კავშირში. იგი გულისხმობდა მოსწავლეთა შეიარაღებას გარკვეული პრაქტიკული სამეტყველო უნარ-ჩვევებით (მართლწარმოთქმა/მართლწერა, პუნქტუაცია, პრაქტიკული სტილისტიკა...) და ნაკლებად ითვალისწინებდა შესასწავლი გრამატიკული კატეგორიის თეორიულ დეფინიციას. მე-5 კლასიდან კი იწყებოდა გრამატიკის „სისტემა-



ტური კურსი“ (აქ ენის და ლიტერატურის სათები გამიჯნული იყო). მისი მიზანი გახლდათ მშობლიური ენის სტრუქტურაში გარკვევა სათანადო თეორიული მასალის ბაზაზე, რომელიც გარკვეული სისტემით იყო დალაგებული. რა თქმა უნდა, ენის სისტემური კურსის სწავლება ასევე გულისხმობდა პრაქტიკული სამეტყველო უნარ-ჩვევების ფორმირებასაც თეორიულ მასალასთან მჭიდრო კავშირში. მთავარი ნაკლი, რაც ამგვარ სწავლებას ახასიათებდა, იყო ის, რომ არ ხდებოდა ამ ცოდნის გადატანა-გამოყენება ლიტერატურის გაკვეთილებზე, ასევე – მოსწავლე ხშირად ახერხებდა თეორიული მასალის დეფინიციას სათანადო მაგალითების დასახელებით, მაგრამ პრაქტიკულად ვერ იყენებდა ამ ცოდნას ზეპირი თუ წერითი მეტყველებისას.

რა ვითარება გვაქს ამ მიმართულებით დღეს? დღეს გრამატიკას ეროვნულ სასწავლო გეგმაში, და აქედან გამომდინარე „ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ სტანდარტში“, არც თუ დიდი ადგილი ეთმობა და ფაქტობრივად დაყვანილია ეწ. „საკომუნიკაციო გრამატიკის“ სწავლებამდე – სწავლების პროცესში ეველა საფეხურზე ენის საკითხები უკავშირდება მხოლოდ საკითხავ ტექსტებზე მუშაობასა და კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციას. არ ხდება „ცოდნის დაგროვება“, მთელი აქცენტი კეთდება ამ ცოდნის პრაქტიკულად „გამოყენებაზე“. ეროვნულ სასწავლო გეგმაში („საგნობრივ სტანდარტში“) არსად არ არის მითითებული კონკრეტულად ენის რომელ საკითხებს უნდა დაუყოლოს მოსწავლე სწავლების ამა თუ იმ საფეხურზე. აქ მოცემულია მხოლოდ „შედეგები“ სათანადო „ინდიკატორებით“. თუ როდის რა მასალა უნდა ასწავლოს მასწავლებელმა, ეს თავად მისი (და სახელმძღვანელოს ავტორთა) გადასაწყვეტილია.

საკითხისადმი ამგვარი მიდგომის ჟედებია ის, რომ გრამატიკის

სწავლების თვალსაზრისით სკოლებში საკმაოდ ჭრელი სურათია: ბევრგან კი იგი ფაქტობრივად აღარ ისწავლება, ბევრგან კი მასწავლებლები დღესაც წარმატებით იყენებენ ა. შანიძისა და ლ. კვაჭაძის ტრადიციულ სახელმძღვანელოს. აღსანიშნავია, რომ ის მეთოდი კური სასიათის კვლევები (იხ. მ. თაღაძე კვაძის, ვ. რამიშვილის, რ. გაბეჩავას... შრომები), რომლითაც მასწავლებელი სარგებლობდა ქართული ენის (მათ შორის გრამატიკის) საკვანძო საკითხების სწავლებისას, დღეს მოძველებულია და ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს არ შეესაბამება. არ არსებობს ლიტერატურა, რომელიც ამ კუთხით მასწავლებელს დაეხმარება. არ არის ნაკვლევი, თუ ეროვნული სასწავლო გეგმით მუშაობის პროცესში ენის სასკოლო კურსის გაცნობისას კონკრეტულად გრამატიკის რა საკითხები უნდა ვასწავლოთ, როგორ ვასწავლოთ, როდის ვასწავლოთ (ან საერთოდ ვასწავლოთ თუ არა). არ არის დადგენილი:

1. მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების ფაქტორები ამ კუთხით,
2. მათი შესაძლებლობანი ცალკეულ გრამატიკულ ცნებებზე მუშაობისას,
3. გრამატიკული ცნების ფორმირების პროცესი ცალკეულ ასაკობრივ ჯგუფებში,
4. გრამატიკის კონკრეტული/ცალკეული საკითხების კავშირი მოსწავლეთა მართლმეტყველების ჩვევათა ფორმირებასთან;

5. გრამატიკული მასალის როლი მოსწავლის ანალიტიკური აზროვნების განვითარების საქმეში...

აღსანიშნავია, რომ მსგავსი კვლევების საზღვარგარეთის ქვეყნებში სისტემატურად ტარდება და გარკვეულ დახმარებასაც უწევს მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს (იხ. Funk, H./Kuhn,C. und andere (2008): Studio d B1. Unterrichtsvorbereitung.Cornelsen. Berlin; Funk, H./Königs.F. (1991): Grammatik lehren und lernen, Langenscheidt, Fernstudienbrief... ასევე www.School4you.ru;



www.school.edu.ru; Редкозубова Т.М., Гаврилова Г.Ф., Изучение грамматики русского языка в школе, пособие для учителей, „Феникс“ М. 2007; Teaching Grammar, <http://www.edutopia.org/blog/teaching-grammar...>, Grammar to Enrich and enhance Writing, by Constance Weaver with Jonathan Bush, Heinemann, 2008...)

დღეს უკვე ნათელია, გრამატიკული მასალის მოწოდებაზე უარის თქმა გარკვეული თვალსაზრისით წარსულში მისი სწავლების არასწორმა ორგანიზებამაც გამოიწვია: ხშირ შემთხვევაში გრამატიკული მასალის მიწოდება დაყვანილი იყო წესებისა და ტერმინების მქანიკურ დაზეპირებამდე და ნაკლები კურადღება ქმცეოდა პრაქტიკული სტილისტიკის, მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხებთან მის უშუალო კავშირს. ნაკლებად ხდებოდა „ცოდნის გადატანა“ (ანუ „ტრანსფერი“, როგორც მას ახლა უწოდებენ) ერთი სიტუაციიდან მეორეში და ენის გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის რეალიზება სამეტყველო სიტუაციაში ნაკლებად ხდებოდა. ყოველივე ამან გამოიწვია გრამატიკის სწავლების მიმართ ინტერესის განელება, რაც საბოლოო სახით მოსწავლეთა წიგნიერების განვითარებაზეც აისხახა.

ხშირად იმაზეც დავობენ – საერთოდ საჭიროა თუ არა, რომ სკოლაში მშობლიური ენის გრამატიკა ისწავლებოდეს? მართლაც, ცნობილია, რომ სკოლაში ახლადშესული 6 წლის ბავშვი:

ა) პრაქტიკულად უკვე ფლობს მეტყველების ყველა ნაწილს,

ბ) პრაქტიკულად იყენებს ამ ენაში არსებულ ფორმათისისტემას,

გ) ესმის და თვითონაც იყენებს სიტყვათწარმოების მთავარ შესაძლებლობებს,

დ) შეთავსებული აქვს სინტაქსური წყობის ძირითადი სახეები (თანწყობისა და ქვეწყობის ჩათვლით).

ასე რომ, „უკვე 6 წლის ბავშვს სკოლაში დედაქნით მეტი მოაქვს, ვიდე

თვით ლინგვისტიკაში გაწაფულ მასწავლებელს შეეძლება მას აუხსნას და მიაწოდოს“ (გ. რამიშვილი, დედაქნის თეორია. თბ. 2000, გვ. 28).

სკოლის ამოცანაა იზრუნოს ამ ენობრივი სტრუქტურების შემდგომ განვითარებაზე „საქმე ისაა, რომ მოზარდი მხოლოდ პრაქტიკულად არის თავის დედა-ენას დაუფლებული, მისი მეტყველება ყველა ამ წესს იცავს, მაგრამ თვითონ ამ წესების შესახებ არაფერი იცის. ამისათვის მისი გაცნობიერება და ობიეტივაცია არის საჭირო... სკოლა... მას გრამატიკას ასწავლის და ამით იგი ენობრივი განვითარების ახალ საფეხურზე აჲყავს“ (დ. უზნაძე, ბავშვის ფსიქოლოგია, 2003 წ., გვ. 593). გრამტიკის შესწავლით, როგორც დ. უზნაძე აღნიშნავს, მეტყველების ენობრივი ფორმა ცნობიერი ხდება. მისი გამოყენების არე პირადი ენობრივი გამოცდილების ფარგლებს შორდება და საგრძნობლად ფართოვდება. „გრამატიკის სწავლა ინტელექტუალურისა და საზოგადოდ ფსიქიკური განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს გულსხმობს“ (იქვე). ამდენად, გრამატიკა შეიძლება მივაკუთვნოთ ლოგიკურ მეცნიერებათა რიცხვს, რომელსაც ახალ ინტელექტუალურ საფეხურზე აჲყავს მოსწავლე და ხელს უწყობს მასში ანალიტიკური აზროვნების განვითარებას.

გრამატიკის წესების შესწავლა, გააზრება, გაცნობიერება და შემდეგ მეტყველებაში მათი მართებულად გამოყენება მოსწავლისაგან მოითხოვს ხანგრძლივისა და სისტემატურ გონიერივ მუშაობას, კონკრეტულ ნიმუშებზე დაკვირვებას, შედარება-შეპირისპირებას, ანალიზს, მსჯელობას, სათანადო დასკვნების გაპეტებას, კონკრეტული მაგალითების მიხედვით ზოგადი წესის გამოყვანას (განზოგადება). იგი ხელს უწყობს დაკვირვების, მსგავსება-განსხვავებების დადგენისა და საერთოდ, ძიების უნარის განვითარებას. მოსწავლისათვის ლოგიკური კატეგორიები



უფრო გასაგები ხდება ენის გრამატიკის შესწავლის საფუძველზე. ამ პროცესში იგი ხდება სიტყვათა ცვლილებისა და სიტყვათა წინადადებების შეკავშირების წესებს არა კონკრეტული სიტყვისა და წინადადების, არამედ საერთოდ ენაში არსებული კანონების, წესების მიხედვით. ეს კი მას უვითარებს განზოგადების, აბსტრაქციის უნარს, განყენებულ, ლოგიკურ აზროვნებას. „რა არის ბოლოსდაბოლოს გრამატიკა? გრამატიკა იმის გაცნობიერებული გააზრებაა, რაც გაცნობიერებლად ცოცხლობს დედაენის სახით სოციუმში“ (გ. რამიშვილი... გვ. 46).

აქედან გამომდინარე ვთვლით, რომ გრამატიკის სწავლების კუთხით სასკოლო განათლების კურსში გარკვეული ცვლილებები უნდა შევიდეს, მანამდე კი აუცილებელია დადგინდეს:

ა) მოსწავლეთა წიგნიერების ამაღლებისა და ანალიტიკური აზროვნების განვითარების თვალსაზრისით რა კონკრეტული შედეგები მოიტანა ორი დისციპლინის – ქართული ენისა და ქართული ლიტერატურის – ინტეგრირებამ;

ბ) მოსწავლეთა საერთო წიგნიერებაზე რა გავლენა იქნია მშობლიური ენისათვის (და აქედან გამომდინარე გრამატიკისათვის) განკუთვნილი საათების სასწავლო პროგრამიდან ამოღებამ;

გ) გრამატიკული წესების ცოდნა და გააზრება რამდენად ეხმარება მოსწავლეთა მართლწერისა და მართლმეტყველების ჩვევების ფორმირებას;

დ) როგორია გრამატიკის როლი მოსწავლეთა ანალიტიკური აზროვნების განვითარებაში;

ე) როგორია მასწავლებელთა საგნობრივი კომპეტენცია და დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ;

ვ) რა უნდა გაკეთდეს ამ კუთხით მოსწავლეთა ზოგადი წიგნიერების ამაღლების თვალსაზრისით...

ცნობილია, რომ დღეს ბევრი თეორიული საკითხი ახლებულად გაშუქდა, ამიტომ არანაკლებ მნიშვნელოვანია სასწავლო მასალის შერჩევაც წმინდალინგვისტური თვალსაზრისითაც. სას-

კოლო დანიშნულებით უნდა გამოვიყენოთ მხოლოდ ის მასალა, რომლის უტყუარობასა და სიზუსტეში ეჭვს ვერავინ შეიტანს. ის, რაც სადავოა ენათმეცნიერებაში, სადავო არ უნდა იყოს სკოლაში.

ასევე, გრამატიკის სწავლების პროცესში აუცილებლად ასევე აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებანი. სასწავლო მასალა სწორედ მათ შესაძლებლობებზე უნდა იყოს მორგებული. ცნობილია, რომ დიმიტრი უზნაძე გრამატიკის სწავლებაში პირობითად ორ საფეხურს გამოყოფს:

ა) 11-12 წლიდან სასკოლო ასაკი, როდესაც მოზარდის ყურადღება ძირითადად ენის შინაარსეული მხარის კენარის მიმართული; ენის ფორმალური მხარის ობიექტივაციისათვის მას ჯერ კიდევ არ შესწევს ძალა. აქ ძირითადად მხოლოდ „გრამატიკული აზროვნების ძირითადი ელემენტების შესახებ შეიძლება ლაპარაკი, უფრო იმ მასალის დაგროვების შესახებ, რომელიც ... ნამდვილი გრამატიკის სწავლებაზე უმტკიცნეულოდ გადასვლას გააადვილებდა (დ. უზნაძე, გვ. 594);“

ბ) 11-12 წლიდან სასკოლო ასაკი – როდესაც „ნამდვილი გრამატიკის“ სწავლება შეიძლება დავიწყოთ. ამ კონცეფციის მიხედვით, ბავშვის გრამატიკულ განვითარების მიხედვით განსაკუთრებულია სწავლების მეორე, მეოთხე და მერვე წლები. თითოეული მათგანი ამ კუთხით გრამატიკული მასალის გაცნობის თვალსაზრისით სწავლების ახალი ეტაპის დაწყების შესაძლებლობას იძლევა.

სწორედ ამგვარი პედაგვის საფუძვლზე უნდა შეიქმნას სასწავლო მასალა გრამატიკაში, რომელიც ნამდვილად დაეხმარება მოსწავლეებს მეტყველების კულტურის დახმარებასა და ანალიტიკური აზროვნების განვითარებაში.

**ლიტერატურა:**

1. ეროვნული სახწავლო გეგმა, 2011 წ.
2. გ. რამიშვილი, დედაქის თეორია,
თბ. 2000 წ.
3. დ. უხნაძე, ბავშვის ფსიქოლოგია,
თბ. 1998 წ.
4. წიგნიერების საერთაშორისო კვლევა:
PIRLZ 2006. PIRLZ 2011, www.naec.ge
5. Funk, H./Kuhn,C. und andere (2008):
Studio d B1. Unterrichtsvorbereitung. Cornel-
sen. Berlin.
6. Funk, H./Königs.F. (1991): Grammatik
lehren und lernen, Langenscheidt, Fernstu-
dienbrief.
7. Редкозубова Т.М., Гаврилова Г.Ф.,
Изучение грамматики русского языка в
школе, пособие для учителей, „Феникс“
М. 2007 г. www.school4you.ru;
www.school.edu.ru
8. Teaching Grammar,
<http://www.edutopia.org/blog/teaching-grammar>
9. Grammar to Enrich and Enhance Writing,
by Constance and Jonathan Bush, Heinemann,
2008.



**შართვები ათონის მთაზე –
წარსული და თანამდროვეობა
მოამზადა გ. კოკოშაშვილმა**

წმინდა ათონი (ბერძნულად „აგიონ ოროს“, რაც წმინდა მთას ნიშნავს) აღმოსავლეთ საბერძნეთში, ქალკედონის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ შვერილს წარმოადგენს, რომელიც ღრმად არის შეჭრილი ეგეოსის ზღვის ზურმუხხისფერ წყლებში. მთის სიგრძე დაბალობით 80 კმ, ხოლო სიგანე 12 კმ-მდეა. სიმაღლე კი 2033 მ-ია ზღვის დონიდან. ათონის მთა, ისევე როგორც ივერია, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელის წილხვედრ მიწად ითვლება.

ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან ათონის მთა წარმართოთვის წმინდა მთად იყო მიჩნეული. ძველ ბერძნებს აქ აპოლონის და ზევსის სადიდებელი მთელი რიგი წარმართული ტაძრები ჰქონდათ აღმართული.

ნახევარკუნძულზე მონაზვნების დასახლებასთან დაკავშირებული პირველი ცნობები VII-VIII საუკუნეს განეკუთვნება. პირველი ქრისტიანი მოწესენი ათონზე VIII-IX საუკუნეებიდან ჩანან. 870 წელს იოანე კოლოფუმ დაარსა პირველ სავანე. 971 წელს ბიზანტიის იმპერატორმა ათონელ მონაზვნებს ნახევარკუნძულის მფლობელობა დაუმტკიცა „ბანუსაზღვრელი“ დროით. მონაზვნების მიერ სრული თვითმმართველობის უფლება იმპერატორის სიგელში და წმინდა მთის პირველ წესდებაში აისახა.

მონასტრული ცხოვრების საუკეთესო პერიოდში წმინდა მთაზე 180 მონასტერი მოქმედებდა. დღეისათვის კი 20 მონასტერი მოქმედებს. მონასტრების გარდა ათონზე მონაზონთა მრავალი სავანე და განდევნილთა განმარტოებული სენაკებია.

ათონის მონასტრები ბიზანტიური ეპოქის ნამდვილი საოცრებებია. ისინი დიდი ციხესიმაგრების მსგავსი, პირდაპირ კლდეების თხემებზე წამომართული, მასიური მიუწვდომელი კედლებით გარშემორტყმული ნაგებობებია.

ათონის მონასტრებში დღემდე შემორჩა უძველესი უნიკალური წიგნები, დიდი ბიბლიოთეკები, საეკლესიო ძვირფასებულობები, შეუფასებელი ძველი ფრესკები და მოზაიკები. აქვე ინახება უფრო მნიშვნელოვანი ქრისტიანული რელიქვიებიც: ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სარტყელი, უფლის წმინდა ჯვრის ხის ნაწილები, წმინდანთა უხრწელი ნაწილები, მოგვების ძღვენი, რომელიც მათ ახალშობილ მაცხოვარს მიართვეს ბეთლემის გამოქვაბულში და მრავალი სხვა სიწმინდე.

ქართველები ათონზე 787 წელს მივიდნენ, კონსტანტინეს და ირინეს მეფობის დროს. მათ ააშენეს ათონზე საერთო საცხოვრებელი, სავანე – ახლანდელი ივერიის მონასტრის პირველი შენობა.

ათონის ივერთა მონასტრის დამაარსებელი და ორგანიზატორი იყო ტაოკლარჯეთის მკვიდრი, დიდი ოჯახის შვილი იოანე (ერისკაცობაში ვარაზვახე) ჩორჩანელი - ხურსიძე, რომელიც წმინდა მთას ეწვია 965 წელს შვილთან, ექვთიმესთან და მოწაფეებთან ერთად. მონასტრის დაარსების თარიღად მიჩნეულია 980-983 წლები.

ათონის ივერთა მონასტერი – ისტორიული ქართული მონასტერი, მდებარეობს ქალკედონის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ შვერილზე, აიონ-ოროსის ვიწრო, გრძელი და მთაგორიანი ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში, ათონის მთის ქვედა კალთაზე, ეგეოსის ზღვის პირას.

მონასტერს თავდაპირველად იოანე ხელმძღვანელობდა. მან ენერგიულად იწყო ზრუნვა ქართული სავანის გამტკიცება-გაძლიერებაზე. შეიძინა მამულები, უზრუნველყო მონასტერი შემოსავლით. იოანეს გარდაცვალების შემდეგ 14 წლის განმავლობაში ქართველთა მონასტერს ექვთიმე ათონელი ხელმძღვანელობდა. იგი ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში იოანეს ავადმყოფობის გამო უძღვებოდა ქართული სავანის მთელ საქმიანობას. ექვთიმე ათონელის საქმიანობამ საყოველთაო



აღიარება პპოვა. მადლიერი თანამემა-
მულები კმაყოფილებით აღნიშნავდნენ „განანათლა და შეამკო ნათესავი და
ენა ჩვენი“ - გიორგი ათონელი.
„განავრცელა და განანათლა ქართ-
ველთა ენა“ - სვიმონ დვალი.

999 წელს ათონის მთასთან ზღვით
მისცურა ივერიისად წოდებულმა
ყოვლადწმინდა დათისმშობლის ხატმა,
რომელზეც ზეციდან ცეცხლოვანი სვე-
ტი იყო დაშვებული. ყოვლადწმიდამ
წმინდა გაბრიელი ქართველის ხელით
ინება ნაპირზე გამობრძანება და იმ
დღიდან ივერთა მონასტერიცა და
მთლიანად ათონის წმინდა მთაც ამ
საკვირველომოქმედი ხატის მფარველო-
ბის ქვეშ მოექცა, ვითარცა დმრთის-
მშობლის წილხვედრი.

მონასტრის ხუროთმოძღვრულ კომპ-
ლექსში მრავალი სხვადასხვა დანიშ-
ნულების ნაგებობა შედიოდა, მ. შ.
„დიდი ეკლესია“ - გუმბათოვანი
ტაძარი, რომელიც საუკუნეთა მან-
ძილზე მრავალჯერ გადაკეთდა და
დღესაც არსებობს. მონასტერი მაღა-
არა მარტო ბიზანტიაში მყოფ ქართ-
ველთა მთავარი საეკლესიო-სამო-
ნასტრო ცენტრი, არამედ საერთოდ
ქართული სულიერი კულტურული
მძღავრი კერა გახდა. აქ აღმოცენდა
და ჩამოყალიბდა ლიტერატურის
სკოლა, რომელსაც სათავეში ედგნენ
ექვთიმე მთაწმიდელი და მისი
ტრადიციების გამაღრმავებელი გიორგი
მთაწმიდელი. მათი ხელმძღვანელობით
X-XI საუკუნეებში ათონზე გაჩაღდა
კულტურულ-შემოქმედებითი
საქმიანობა. დაიწერა ორიგინალური
თხზულებები, ქართულად ითარგმნა
ბიზანტიური ლიტერატურის მნიშვნე-
ლოვანი ძეგლები, გამრავლდა ხელ-
ნაწერები.

მონასტერმა დიდად შეუწყო ხელი
ქართულ-ბიზანტიური კულტურული
ურთიერთობის გაძლიერებასა და ქარ-
თული ლიტერატურის ნიმუშთა მსოფ-
ლიო სარჩიელზე გატანას. აქ ქართუ-

ლიდან ბერძნულად ითარგმნა „სიბრძნე
ბალაგარისი“. ივერონის მონასტერი
წარმოადგენდა ქართული კულტურის
მძღავრ კერას. ფართოდ გაშლილ
მწიგნობრულ-ლიტერატურულ საქმია-
ნობაში მონაწილეობდა ქართველ
მოღვაწეთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი.
ეს მუშაობა კიდევ უფრო ნაყოფიერი
გახდა, როდესაც იქ დამკვიდრდა გამო-
ჩენილი ქართველი მოღვაწე გიორგი
ათონელი, რომელმაც განაგრძო, განა-
ვითარა და გააღრმავა ექვთიმეს მიერ
წამოწევებული საქმიანობა. იგი 1044-1056
წლებში ივიორნის წინამდღვარი იყო.
გიორგი ათონელი მრავალმხრივ პრაქ-
ტიკულ მოღვაწეობას ეწეოდა და ენერ-
გიულად ხელმძღვანელობდა ქართული
სავანის ბინადართა საეკლესიო-სამო-
ნასტრო ცხოვრებას. საქართველოს
სამეფოს დახმარებითა და ხელშეწყო-
ბით მან ათონის ქართველთა მონას-
ტერი გაამდიდრა, განამტკიცა და
გააძლიერა, აღმშენებლობითი სამუ-
შაოც ჩაატარა და მამულებიც შემო-
მატა-შემოიმტკიცა.

მწიგნობრულ-ლიტერატურული საქ-
მიანობა ათონის ქართველთა მონას-
ტერში გრძელდებოდა გიორგი ათო-
ნელის მომდევნო წინამდღვრების თეო-
დორესა და განსაკუთრებით გიორგი
ოლოტისარის დროსაც.

მომდევნო საუკუნეებში მონასტერში
მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მუ-
შაობა შენედდა და ბოლოს სულ
შეწყდა. ეს ბუნებრივი შედეგი იყო იმ
დევნა-შევიწროებისა, რომელსაც იქ
მოღვაწე ქართველები განიცდიდნენ
ჯერ კიდევ XI საუკუნიდან. XIII საუ-
კუნიდან ბერძნებმა თანდათანობით
ხელთ იგდეს სავანე, ხოლო XIX საუ-
კუნეში მთლიანად დაეპატრონენ მას,
თუმცა ქართველი ბერები იქ შემდეგაც
აგრძელებდნენ მოღვაწეობას. 1900
წელს მონასტერში 51 ქართველი იყო.

მდგომარეობა გართულდა XI საუკუ-
ნის მეორე ნახევარში, როდესაც
დაიწყო ჩვენი წინაპრების დევნა-



შევიწროება, რასაც შედეგად მოჰყვა იქაურ ქართველთა შემოქმედებითი მუშაობის შესუსტება.

1259 წელს ათონის ნახევარკუნძული, კერძოდ იქაური მონასტრები დაარბიეს ჯვაროსნებმა. მტერს ვერც ივირონი გადაურჩა. იმავე საუკუნის 80-იან წლებში ათონი ერთხელ კიდევ დაარბიეს მომხდურებმა, რომელთაც ბერებს კათოლიკობის შეწყნარება და რომის პაპის უზენაესობის აღიარება მოსთხოვეს. ათონელები არ დაეთანხმნენ მოძალადეთა წინადადებას, რის გამოც სასტაკად დაისაჯნენ.

XIV საუკუნის დამდეგს ათონი რამდენიმეჯერ იქცა მტრის სათარეშო არენად. არაბმა მეკობრებმა უმოწყალოდ გაძარცვეს ქართული საგანე და მთავარი ტაძრის დანგრევაც კი განიზრახეს, მაგრამ მარმარილოს სვეტები ადგილიდან ვერ დაძრეს, გუმბათიანი ნაგებობის ჩამოქცევა ვერ მოახერხეს.

XVI საუკუნის დამდეგისათვის ქართველთა დახმარებამ და შეწირულობამ რამდენადმე შეცვალდა ათონელთა მდგრმარეობა. გაჩაღდა აღმშენებლობითი საქმიანობა და დანგრეულ ნაგებობათა აღდგნა-განახლება.

XVII საუკუნიდან ათონელებს კვლავ ეხმარებოდნენ თანამემამულენი, ივერთა მონასტერში გრძელდებოდა აღდგენით-აღმშენებლობითი სამუშაოები.

XVIII საუკუნეში ათონს ეწვია არაერთი ქართველი მოღვაწე, რამდენიმეჯერ იყო გამოჩენილი მწერალი და მოგზაური ტიმოთე გაბაშვილი. მან შეისწავლა ათონის სიძველენი, გამოიკითხა ზეპირი ტრადიციული ცნობები, გამოიყენა წერილობითი წყაროები, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ქართულ მონასტერს ვრცლად აღწერა დიდი ტაძარი. ხუროთმოძღვრებისა და ფერწერის ნიმუშები დაათვალიერა და შეაფასა ისტორიკოსის თვალით.



ათონის ივერთა მონასტერი მე-18 საუკუნეში. ავტორი: ტიმოთე გაბაშვილი

XVIII საუკუნეში საქართველოში შექმნილი პოლიტიკური კითარებისა და ეკონომიკური მდგრმარეობის გამო ქართველებმა ათონისადმი დახმარება შესამჩნევად შეამცირეს, მაგრამ სულ არ დავიწყებიათ ძველი სავანე. ძლვენით, ყმა-მამულისად შეწირვით, ძველი მამულების დამტკიცებითა და ადრინდელი უფლებების აღდგენით მას დაესმარნენ ოქიმურაზე II, სოლომონ I, ერეკლე II.

XIX საუკუნის დამდეგიდან, ქართველთა მდგრმარეობა ათონზე კიდევ უფრო დამძიმდა. მას შემდეგ, რაც ივერთა მონასტერმა დაკარგა მფარველ-შემწენი. ქართველ მეფეთა სახით, ხოლო ქართულმა ეკლესიამ დამოუკიდებლობა, ბერძნებმა ათონელი ქართველები უფრო მეტად შეავიწროეს. მათ ისარგებლეს რუსეთის უკურადღებობით და მტკიცედ დამკვიდრდნენ ივერთა მონასტერში.

1849 წელს ათონზე იყო ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი. მან აღწერა იმდროინდელი მოღვაწეობა, შეისწავლა ქართული სიძველენი, ნაყოფიერად იმუშავა წიგნსაცავში. მისმა მისვლამ ივერთა მონასტერში გამოაცოცხელა იქაური მოღვაწენი.



ახალი სავანის წინამდგარი ბ. ბარკალაია, შემდეგაც აქტიურად მოქმედებდა, მიმართავდა რუს ხელისუფალთ და გამოჩენილ ქართველთა მოღვაწეობას და დახმარებას სოხოვდა, ბეჭდავდა წერილებს, რომლებშიც წარმოაჩენდა ქართველთა დამსახურებებს ივერთა სავანის დაარსებაში, განვითარებაში, ამხელდა ბერძენ სამდგვდელო პირთა მიმტაცებლობასა და ძალმომრეობას, ითხოვდა ქართველთა უფლებების აღდგენას, თანამემამულებებს მოუწოდებდა ენერგიული მოქმედებისა და ქართული მონასტრის დახსნისაკენ.

მიუხედავად ამისა, ქართველთა მდგომარეობა ათონზე კიდევ უფრო გაუარესდა. ბერძენთა მოძალება და ქართველთა შევიწროება ყოვალგვარ ზღვარს გასცილდა. 1883 წელს ბერძენებმა მონასტერში დახატული ქართველი მეფისა და დედოფლების სახელები გადაშალეს და ბერძნის დაწერებს თითქოს მათი მეფები ყოფილიყოს.

ათონის ივერთა მონასტრის ქართველები თანდათან შეავიწროვეს და უკანასკნელ ხანებში მონასტერი მთლიანად ხელი იგდეს ბერძნებმა. ამჟამად აქ ქართველთაგან აღარავინ არის. თანდათან გაპარტახდა მონასტრის წიგნთსაცავიც. ათონის ივერთა მონასტერში მხოლოდ 86 ხელნაწერიდა დარჩა. მათი უმრავლესობა X საუკუნისაა, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია:

- Ath.-6 - ოპიზაში გადაწერილი ოთხთავი (913 წ.);

- Ath.- - ოშეში ოორნიკე ერისთავის დაკვეთით 978 წელს გადაწერილი ბიბლიის ხელნაწერი;

- Ath.-17 - მრავალთავი;

- Ath.-32 - ეფთვიმეს მიერ თარგმნილი თხზულებათა კრებული.

ზოგიერთი ათონური ხელნაწერი (A.-110, A.-1103, A.-1104, A.-1105) ილია ფაცულაიამ ჩამოიტანა საქართველოში.

ათონის ივერთა მონასტრის სიძველები აღწერეს ალ. ცაგარელმა დარ. ბლეიკმა. 1952-53 წლებში ამერიკელმა ე. უ. სინდერზმა გადაიღო 4 ძეგლი ქართული ხელნაწერი (42, 62, 78, 83). უკანასკნელ ხანებამდე ქართველ სპეციალისტებს ხელი მიუწვდებოდათ ათონში დაცულ მხოლოდ 12 ხელნაწერზე. 1981 წელს გ. პატარაიამ და ა. მიქაელერიძემ მოახერხეს ათონის ივერთა მონასტერში დაცული ყველა ქართული ხელნაწერის მიკროფირთა გადაღება.

ათონის წმინდა მთაზე ქალის შესვლა მკაცრად იკრძალება. აკრძალვას საფუძვლად დაედო ერთი შემთხვევა: გადმოცემის თანახმად, ბიზანტიის იმპერატორ თეოდოსის ქალიშვილი პლაკიდია რომიდან კონსტანტინეპოლში ბრუნდებოდა და გზად წმინდა მთის მონასტელება მოისურვა. მას განსაკუთრებით მამამისის შეწირულობით აგებული „გაორპედის“ მონასტრის ნახვა უნდოდა. როგორც კი პლაკიდია ტაძრის შესასვლელს მიუახლოვდა, გაიგონა ხმა, რომელიც კედლის ნიშაში დაბრძანებული ღვთისმშობლის ხატიდან მოღიოდა. ხმამ უთხრა, რომ თუკი იგი კეთილმორწმუნე ქრისტიანი იყო, დაეტოვებინა იქაურობა, რომ მისი იქ ყოფნით ცდუნებაში არ ჩაეგდო მონაზვნები. შეძრწუნებულმა პლაკიდიამ დაუყოვნებლივ დატოვა იქაურობა და მას შემდეგ, ათონზე ქალის შესვლა აკრძალულია.

999 წელს ათონის მთასთან ზღვით მისცურა ივერიისად წოდებულმა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატმა, რომელზეც ზეციდან ცეცხლოვანი სვეტი იყო დაშვებული. ყოვლადწმინდამ წმინდა გაბრიელი ქართველის ხელით ინება ნაპირზე გამობრძანება და იმ დღიდან ივერთა მონასტერიცა და მთლიანად ათონის წმინდა მთაც ამ საკვირველთმოქმედი ხატის მფარველობის ქვეშ მოექცა, ვითარცა დმრთისმშობლის წილხვედრი.




არსებობს წმინდა ნილოს მირონ-მდინარის წინასწარმეტყველება, რომლის მიხედვითაც როდესაც ივერიის ღვთისმშობლის წმინდა ხატი ათონის ხახვარჯუნძულს დატოვებს, ბერებმაც სასწრაფოდ უნდა დატოვონ თავიანთი სავანები და წავიდნენ სადაც სურთ, ოდონდ აღთქმა მონაზნობის წმინდად შეინახონ, რამეთუ მას შემდეგ, რაც ხატი ამ ადგილს დატოვებს დამანგრეველი მიწისძვრებით ათონი ზღვაში შთაინთქმება. ეს იქნება დმრთის-მშობელ მარიამის გაფრთხილება რომ ანტიქისტმ უკვე გამეფდაო ქვეყანაზე.



ათონური წინასწარმეტყველების თანახმად, მას შემდეგ, რაც ხატი ათონს დატოვებს, ივერიაში (დღევანდელ საქართველოში) დაიგანებს და სწორედ ამ ხატის საქართველოში მობრძანებასთანად დაკავშირებული ივერიის გაბრწყინებაც.

ამბობენ, ათონის მთის საიდუმლო კელიაში უძველესი დროიდან ცხოვრობს 12 ბერი-განდევგილი, რომლებიც თითქმის არასდროს ეჩვენებიან ხალხს, თვით ათონელ მონაზნებსაც კი. როდესაც ერთ-ერთი მათგანი გარდაიცვლება, დანარჩენები მას კლდეებში მარხავენ და მის ნაცვლად თავისთან ახალ მოღვაწეს უხმობენ. გადმოცემის თანახმად, ქვეყნიერების აღსახულის ქამს ეს 12 ბერი თავისი სენაკებიდან გამოვა და უკანასკნელ ლიტურგიას აღასრულებს.



იოანე, ექვთიმე და გიორგი ათონელები
(დაახლ. 920-1005)

ათონის წმინდა მთასთან კაგშირი აღდგა ქართული ავტოკეფალური ეკლესიის მოღვაწეობის გაძლიერებასთან ერთად. 1981 წლის 19 სექტემბერს საბერძნეთში ივერთა მონასტრის 1000 წლისთავთან დაკავშირებით, მოსალოცად გაემგზავრა ქართველთა ხუთკაციანი ჯგუფი ეპისკოპოს ანანია ჯაფარიძესთან ერთად. ათონის ხახვარჯუნძულის პატარა ნაგმისადგომ „დაფნისში“ მათ დახვდათ ივერთა მონასტრის ერთ-ერთი წინამდღვარი პროილუმენი, არქიმანდრიტი კალინიკე.

ათონზე დავანებული ოცზე მეტი მონასტრიდან ჩასულებმა მოილოცეს ათონელ მონასტერი და, რაც მთავარია, ივერონის მთავარ ტაძარში წირვა შესრულდა ქართულ ენაზე.

მეუფე ანანიამ წირვა ჩაატარა „პორტატისას“ ტაძარში, აშოგ მუხრან ბატონის მიერ აგებულ ამ ციირე სალოცავში მართლმადიდებელ ქრისტიანთა საუნჯე - ივერიის ღვთისმშობლის სასწაულთ მოქმედი ხატი არის დასვენებული. აქ უწყებად მიმდინარეობს წირვა-ლოცვა და პარაკლისი. თვით ის გასაოცარი ფაქტი,



რომ წმიდა ტაძარში ნება დართეს ქართული წირვისა, მეტყველებს ქართული ეკლესის ახლანდელი დიდი ავტორი გეგის შესახებ.

მა ბერებმა. სამწუხაროდ ეს მონასტერი ამჟამად ამოქოლილია.



ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე ითანე ნათლისმცემლის ქართული მონასტრის სკიტის წინ

22 წლის შემდეგ, 2003 წლის 23 ოქტომბერს, ათონის წმიდა მთაზე თბილისიდან კვლავ გაემგზავრა ოთხაციანი ჯგუფი ივერთა მონასტერის მოსალოცად. ივერონის მთავარ ტაძარში ჩატარდა შერეული, ქართულ-ბერბული წირვა. კათოლიკონის სტოაში წირვის დროს მეუფე ანანიამ ქართულ ენაზე წარმოთქა „მრწამს“ და „მამაო ჩვენო“, ასევე წირვისას სათქმელი „მშვიდობა ყოველთა“.

ქართველებმა მოილოცეს ათონის მრავალი მონასტერი, მათ შორის ივერონთან ახლომდებარე ითანე ნათლისმცემლის ქართული მონასტრის ნაგრევები.

ეს მონასტერი ააგეს XIX საუკუნეში ივერონიდან გამოძევებულმა ქართველ-

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან ათონის მთის მონასტრებს ისევ უბრუნდებიან ქართველი ბერები. მართალია მათი რიცხვი ჯერ-ჯერობით მცირეა, მაგრამ ამ წმიდა მამათა მოღვაწეობა დიდად უწყობს ხელს საქართველოსა და ათონის მთის ავტონომიას შორის ურთიერთობის განმტკიცებას. დღეს წმინდა მთის სხვადასხვა მონასტერში მოღვაწეობს ოცამდე ქართველი ბერი. მათ შორის არიან: წმ. გრიგოლის ბერძნული მონასტრის ბერდიაკონები ილარიონი (ერში - კახა მეგრელი-შვილი) და ალექსი (ალექსანდრე ხუნდაძე), სქემმონაზონი კორნელი (ბერსარიონ კუჭაიძე); ვატოპედის ბერძნული მონასტრის ბერდიაკონი თეოდოსი (ლუკა მრელაშვილი), სქემმონაზონები ნექტარიოსი (მახარე გელაშვილი) და



ტრიფონი (მიხეილ კელაპტრიშვილი); ზოგრაფის ბულგალური მონასტრის სქემმონაზონი გაძრიელი; სიმონო-პეტრას ბერძნული მონასტრის სქემმონაზონი პროდრომი (დავით ?); ქილანდრის სერბული მონასტრის სქემმონაზონი ილარიონი (გიორგი ლიარტელიანი); წმ. პანტელეიმონის რუსული მონასტრის სქემმონაზონი ერმოლაოსი (პატა ჭეკია); ქსიროპოტამის ბერძნული მონასტერი ბერდიაკვანი პეტრე (ნინიქ); წმ. ათანასე ათონელის დიდ ლაგრაში მოღვაწე ბერი ისააკი, მამა კორნელი და სხვები.

ქართული ეკლესიის დიდ საერთაშორისო ავტორიტეტთან ერთად მათი დამსახურებაცა, რომ ბოლო პერიოდში ათონის წმინდა მთის სავანებს უკვე ხშირად სტუმრობენ ქართული სასულიერო და საერო საზოგადოების წარმომადგენლები. მათ შორისაა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფი, რომელიც ათონის მთაზე იმყოფებოდა ვატოპედის მონასტერში მოღვაწე ქართველი ბერის, ნექტარიუსის (ერისკაცობაში მახარე გელაშვილის), მოწვევითა და ძალისხმევით.

2015 წლის 16-22 აპრილს ვატოპედის წმიდა და დიდ საგანეზი გაიმართა კონფერენცია სახელწოდებით „ათონის წმიდა მთა და მისი მონასტრები“.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ვატოპედის წმიდა მონასტრის იღუმენს ეფრემს და ქრისტემიერ ძმებს საჩუქრად გადასცეს ხატმწერ გიორგი ეგნატაშვილის მიერ დაწერილი წმიდა გიორგი მთაწმინდელის ხატი. დელეგაციის წევრებმა მოილოცეს ხუთი მონასტერი: ვატოპედის, ივერიის, ზოგრაფის, დოხარის მონასტები და დიდი ლავრა.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო დელეგაციამ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ პრო-

ფესორები: დეკანოზი ლევან მათე-შვილი, ზურაბ გასიგაშვილი, დავით და ივანე გორგიძეები, ალექსანდრე გრიგოლიშვილი, დავით ჩიქოვანი და გიორგი ჯერენაშვილი.

2015 წლის ოქტომბრის თვის ბოლოს წმ. ათონის ივერთა მონასტრის მიწვევით საბერძნეთში გაემზავრა მდოცველთა ჯგუფი, რომელიც შედგებოდა საქართველოდან წასული მავრომატისების ოჯახის – მამის, მიხეილის, და მისი სამი ვაჟის – ხოდარის, იოსების და რობერტის, სალონიქის უმაღლესი სასულიერო სასწავლებლის სტუდენტის გიორგი მაისურაძისა და ჯგუფის ხელმძღვანელის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის ცენტრის თანამშრომლის, დეკანოზი გიორგი მალხაზიშვილისგან. ამ ჯგუფის მისია იყო ივერონის მონასტერში დაწერილი მთავარანგელოზ მიქაელის ხატის საქართველოში ჩამობრძანება. საქმე იმაში გახლავთ, რომ კეთილმორწმუნე მაგრომაგისების ოჯახის შეწევნით სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა ალეგორის მთავარანგელოზ მიქაელის ტაძარს და სრულებით განახლდა. მათვე გამოთქვეს სურვილი ამ ტაძრისათვის დაწერინებინათ მთვარანგელოზ მიქაელის ხატი ათონის წმიდა მთის ივერონის მონასტერში. სურვილი მაღლე რეალობად იქცა. 2015 წლის 3 ნოემბერს აღნიშნული ჯგუფის ძალისხმევით მთვარანგელოზის ხატი სქართველოში ჩამობრძანდა. თავიდან ხატი დაბრძანებული იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წმიდა გიორგის სახელობის სამლოცველოში, სადაც იგი მოილოცეს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომლებმა და სხვა მართლმორწმუნე მრევლმა. იმავე დღეს მთვარანგელოზ მიქაელის ხატი გადაბრძანებული იქნა მისივე სახელობის ალეგორის ტაძარში, რომელიც მანგლისის ეპარქიას ეკუთვნის.



იმედი გვაქვს, რომ წმიდა მამათა ლოცვითა და უფლის შეწევნით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ურთიერთობა ათონის მთასა და მის ქართულ სავანეებთან შემდგომში კიდევ უფრო ინტენსიური გახდება, რაც ჩვენი აზრით დიდად წაადგება ქართულ სახელმწიფოსა და წმიდა მთას შორის ტრადიციული კავშირების აღდგენას.



დეკანოზი გიორგი მალხაზიშვილი
მავრომატისების ოჯახთან ერთად



კონფერენციის მონაწილეები
პროფესორები: დავით გორგიძე; ზურაბ გასიტაშვილი; ივანე გორგიძე;
გამოპედის მონასტრის იღუმენი, არქიმანდრიტი ეფრემი;
ალექსანდრე გრიგოლიშვილი; გიორგი ჯერგნაშვილი; დავით ჩიქოვანი



მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, დეკანოზი ალექსანდრე შელკაჩოვი, დეკანოზი იოანე უშიკიშვილი



მაკურნებელი წყარო, სადაც დასვენებული იყო ივერიისად წოდებული ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სატი გაბრიელ ქართველის მიერ



კონფერენციის მონაწილეები მონაზონ ნექტარიოსთან (მახარე გელაშვილი) ერთად



0320 შრაგიშვილი გამოჩვენდი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე გივი აბდუშელიშვილი

ცნობილია, რომ ყველა ერს სჩვევია თავისი გამოჩენილი შვილების, სახელმწიფო და ეროვნული მოღვაწეების, მხედართმთავრების, ხელოვნების სფეროს, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწვების ავტორების სახელების შემონახვა, პატივისცემა, გახსენება.

ასეთ გამოჩენილ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება ივერი ფრანგიშვილი, რომლის სახელი ამშვენებს მე-20 საუკუნის ქართველ მეცნიერ-მოღვაწეთა კოპორტას.

ბატონ ივერის პირადად ვიცნობდი, ათეული წლების მანძილზე, როგორც უფრო ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელს, მქონდა საშუალება მასთან სამსახურებრივი თუ საზოგადოებრივი საკითხების სფეროში ურთიერთობისა; ამიტომ მომეცა საშუალება შემუფასებინა იგი როგორც მეცნიერებისა და ტექნიკის გარკვეული სფეროს ლიდერი და ახალგაზრდა სპეციალისტების აღმზრდელი; თავისი ადამიანური თვისებებით ბატონი ივერი სწორედ ასეთ დახასიათებას იმსახურებს – იგი ნიმუშად, მაგალითად, მოგვყავდა თავისი ხასიათისა და ანალიტიკური მიდგომის, წესიერებისა და მართალი კაცის სახის გამო.

ივერი ფრანგიშვილი დაიბადა საქართველოში, სამტრედიის რაიონის სოფ. ჯიხაიში 1930 წელს. საშუალო სკოლა თბილისში დაამთავრა, შემდეგ კი – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკული ფაკულტეტი (1952წ.). საწყისი პროფესიული ნათლობა თბილისის „ჰიდროენერგოპროექტი“-ს საპროექტო ინსტიტუტსა და „საქენერგო“-ს სამმართველოს სისტემაში მიიღო.

1955 წელს ივერი ფრანგიშვილი ჩაირიცხა ასპირანტურაში მოხვევში. საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკა-

დემიის საკავშირო მნიშვნელობის ავტომატიკისა და ტელემექანიკის (შემდგომში მართვის პრობლემების) სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

1959 წელს დაიცვა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი და აქტიურად ჩაება მაღალი დონის სამეცნიერო-ტექნოლოგიურ ამოცანების გადაწყვეტაში, ჯერ როგორც წამყვანი ინჟინერი, შემდეგ – უმცროსი და უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ხოლო 1964 წელს, საკონკურსო წესით, იქნა არჩეული ლაბორატორიის უფროსად.

ბატონი ივერის სამეცნიერო ინტერესები განვითარდა მართვის სისტემებისა და პროცესების, გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის სფეროში.

1968 წელს წარმატებით დაიცვა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, ხოლო 1970 წელს დაინიშნა ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში (1987 წლამდე).

ბატონი ივერის წარმატებული სამეცნიერო და ადმინისტრაციული კარიერა ადეკვატური შედეგი იყო მისი მეცნიერული მიღწვევებისა: ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში, მან ერთ-ერთმა პირველთაგანმა წამოაყენა მართვის ტელემექანიკური და ტელეავტომატიკური სისტემების აგების პრინციპები. ხოლო 1960-იანი წლების დასაწყისიდან საბჭოთა კავშირში პირველად, წამოაყენა მართვის სისტემებში დისკრეტულ მოწყობილობათა შექმნის წინადაღება ერთგვაროვანი გადამწყობი სტრუქტურების ბაზაზე; ეს პრინციპი შემდგომში გავრცელდა აშშ, ინგლისის, საფრანგეთის, იაპონიის და სხვა ქვეყნებშიც და მის საფუძველზე მოხდა მაღალი წარმადობისა და იმედიანობის გამოთვლითი და მართვის სისტემების მთელი თაობის შექმნა. სწორედ არჩეულ დარგს მიუძღვნა ივერი ფრანგიშვილმა 400-ზე მეტი სამეცნიერო-კვლევითი შრომა, მათ შორის თხუთ-



მეტი მონოგრაფია და 40-ზე მეტი გამოგონება. მისი, როგორც მეცნიერის, სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური სამუშაოების ორგანიზაციის დამსახურება, იმაში მდგომარეობს რომ თეორიული კვლევები სისტემურად იყო მოთხოვნადი და ემსახურებოდა პრაქტიკულ ამოცანებს, კერძოდ კი რეალიზდებოდა სტრატეგიულ დარგებში დანერგვით.

ივერი ფრანგიშვილის ფუნდამენტალური კვლევები ციფრული მანქანების ახალი პრინციპებით აგების შესახებ ჩამოყალიბდა მის შემდეგ მონოგრაფიებში: „მიკროელექტრონიკა და ერთგვაროვანი სტრუქტურები ლოგიკურ და გამოთვლით მოწყობილობებში“ (1967წ.), „ასოციაციური ერთგვაროვანი მიკროელექტრონული პროცესები“ (1973წ.), „ციფრული ავტომატები აწყობად სტრუქტურებში“ (1974წ.).

სწორედ ამ ნაშრომებზე დაყრდნობით გახდა შესაძლებელი შექმნილიყო წამში 50-100 მილიონი არითმეტიკული ოპერაციის შემსრულებელი სპეციალური დანიშნულების გამოთვლითი და მმართველი მანქანები.

1987 წელს ბატონი ივერი სათავეში ჩაუდგა მართვის პრობლემების ინსტიტუტს, რომელიც ფაქტიურად წარმოადგენდა საბჭოთა კავშირში და საერთაშორისო არენაზე მართვის პრობლემების ცნობილ ცენტრს, და ხელმძღვანელობდა 2006 წლამდე ე.ი. 40 წელზე მეტი მან გააგარა ცნობილ და წარმატებულ სამეცნიერო-კვლევით კოლექტივში, აქედან 36 წელი – მის ხელმძღვანელობაში. აღნიშნული ინსტიტუტის მიღწევები მეტად მაღალ აღიარებას იმსახურებს, რადგან დაწყებული ტელემექანიკისა და ავტომატიკის სისტემების ფართო კლასისა, რაც ათვისებულ და დანერგილ იქნა კავშირის სახალხო მეურნეობის მრავალ დარგში, კერძოდ, დიდ მასშტაბიანი სხვადასხვა ბუნების როტული სისტემების ფუნქციონირებისას, დიდ მასშტაბიანი სისტემებისა და მაღალი რისკის ობიექტების მართვის თეორიის

დამუშავებაში; მისი მეცნიერული აღმოჩენა, რომელიც ფონური პრინციპის სახელითაა ცნობილი ფართო გამოყენება ჰპოვა ფსიქოლოგიის, მედიცინის, ბიოლოგიის, დაცვითი ტექნიკის წარმოებისა და სხვა მიმართულებებში.

სწორედ ზემოთ ჩამოთვლილმა მიღწევებმა და პირადმა მიგნებებმა შექმნა საფუძველი იმისა, რომ ივერი ფრანგიშვილი, კიდევ ერთი ქართველი მეცნიერთაგანი დაინიშნა საბჭოთა კავშირის ატომური ელექტროსადგურების მას-ის (მართვის ავტომატიური სისტემები) გენერალურ კონსტრუქტორად (1987წ.). იგი არჩეულ იქნა საბჭოთა კავშირის ავტომატური მართვის ნაციონალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ, „მართვის პრობლემების“ საკავშირო უურნალის მთავარ რედაქტორად; მისი ხელმძღვანელობით დაცულ იქნა 30-ზე მეტი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია. მიღებული ჰქონდა მრავალი საკავშირო ჯილდო და რუსეთის მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის წოდება (1980წ.).

ივერი ფრანგიშვილის დიდ მეცნიერულ პედაგოგიურ და მოქალაქეობრივ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს მოღვაწობა საქართველოში, სადაც იგი არჩეულ იქნა (1979წ.) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსი), ხოლო 1985 წელს აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად. მისი ინიციატივით ხდებოდა ახალგაზრდა ქართველ მეცნიერთათვის ხელშეწყობა საკავშირო ცენტრებში სამეცნიერო მუშაობის გასაგრძელებლად. მას განსაკუთრებული როლი მიუთვნის საქართველოში ინფორმაციისა და გამოთვლითი ტექნიკის სამეცნიერო ტექნოლოგიურ განვითარებაში თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვა“-ში. ამავე დროს იგი დაინტერესდა რა მეცნიერებისა და რელიგიის ურთიერთობით, საფუძველი



ჩაუყარა ამ თემატიკის საერთაშორისო კონფერენციების ჩატარებას. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორის დოცვა-კურთხევით და ბატონი ივერის თავკაცობით პირველად ჩვენს ქვეყანაში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „მეცნიერება და რელიგია“. ჭეშმარიტი მამული-შვილის ბატონი ივერის ძალისხმევით აღდგენილი იქნა ცხვარიჭამის მამათა მონასტერი.

განსაკუთრებულად საინტერესო და ნაყოფიერი აღმოჩნდა მისი მოღვაწეობა საქართველოში, როცა იგი ხელმძღვანელობდა მთელ რიგ საინჟინრო თემატიკას და ეკონომიკაში სამეცნიერო-ტექნოლოგიური მიღწევების დანერგვას; ამავე დროს იგი ასრულებდა მთავრობის კონსულტანტისა და მრჩევლის მეტად მნიშვნელოვან ფუნქციას: მისი რჩევების ინფორმაციული აღჭურვილობა და მეცნიერულ-ანალიტიკური მიდგომა ხშირად გამოიხატებოდა ეკონომიკის მართვის ოპტიმალური პროპორციების, ბიოენერგოინფორმატიკისა და სამსედრო სისტემების სტრუქტურებისა და მართვის პროცესების სფეროში.

ივერი ფრანგიშვილის - ლირსეული მამული-შვილის, მსოფლიოში აღიარებული მეცნიერის, მოაზროვნის, საუკეთესო ადამიანური ლირსებებით შემკული უზადო პიროვნების, სახელი და საქმე დაუკიდებარი იქნება კაცობრიობისათვის.



**სამუშაოსა და რუსეთის იმპერიის
ურთიერთობების ისტორიიდან
(ტიმოთე გაბაშვილის ელჩობა
რუსეთში)
ანულა ბოკუჩავა**

მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში იმერეთის სამეფომ გააქტიურა მცდელობები და ემყარებინა დიპლომატიური, პოლიტიკური და სამხედრო კავშირები რუსეთის იმპერიის მესვეურებთან. ოსმალური აგრესის გაძლიერება აიძულებდა იმერეთის მეფეს მოეძებნა ძლიერი მოკავშირე, რომლის დახმარებით შეძლებდა თურქელი გავლენისაგან გათავისუფლებას. 1724 წელს ალექსანდრე V-მ (1721-1752) წერილი გაუგზავნა რუსული არტილერიის კაპიტანებს, მოსკოვში ქართული კოლონიის თვალსაჩინო წარმომადგენელს გიორგი დადიანს (1683-1765). მეფე მას სთხოვდა შუამდგომლობას რუსეთის მთავრობის წინაშე თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ წერილში ალექსანდრე V დაწვრილებით აღწერდა დასავლეთ საქართველოში იმ დროისათვის არსებულ პოლიტიკურ ვითარებას. კერძოდ, იგი წერდა, რომ იმერეთში თურქებს დაკავებული აქვთ ქუთაისისა და ბადღათის ციხეები, ხოლო გეგუთში და ცუცხვათში აუშენებიათ ახალი ციხეები. ოდიშის სამთავროში უკავიათ რუხი და ხეთა, ანაკოფიაში კი ახალი ციხე აუშენებიათ. გურიაში ფლობენ ჩაქვის, ბათუმის და ქობულეთის ციხეებს. იმერეთის მეფე იტყობინებოდა, რომ თურქებმა უამრავი ადამიანი დაატყვევს და გაამაჰმადიანებს ქართლსა და კახეთში, იგივე ემუქრებათ მათ დასავლეთ საქართველოშიც.

იმერეთის მეფის მცდელობა მიეღო დახმარება რუსეთისაგან თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში უშედეგო და მიუღწეველი იყო, რადგან ამ დროისათვის 1724 წლის 12 ივნისის კონსტანტინოპოლის ხელშეკრულების თანახმად რუსეთმა აღიარა თურქეთის მიერ სრულიად საქართველოს, აღმოსავლეთ

არმენიისა და ირანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის დაპყრობა. ალექსანდრე V-მ რასაკვირველია არ იცოდა ამის შესახებ. მართალია მისი წერილი შედგენილი იყო 1724 წლის 1 ივნისს, ხოლო მოსკოვში კი ჩააღწია 1726 წლის 31 იანვარს. მიხედავად ამისა იმერეთის მეფეს არ შეუწვევტია მცდელობები დაემყარებინა პოლიტიკური კონტაქტები რუსეთის სამეფო კართან. 1732 წელს რუსეთში იმერეთიდან გაგზავნილ იქნა ელჩობა არქიმანდრიტ ნიკოლოზის მეთაურობით. ამ ელჩობას ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. შესაძლებელია ეს გამოწვეული ყოფილიყო იმით, რომ მას არანაირი შედეგები არ მოჰყოლია იმერეთისათვის და საერთოდ დასავლეთ საქართველოსათვის, რადგან მეტად არასახარბიერო პოლიტიკური ვითარებას დაემთხვა. საარქივო მასალებიც მწირ ინფორმაციას შეიცავენ. არქიმანდრიტი ნიკოლოზი 1732 წლის დეკემბერში ჩასულა სვიატო კრესტის ციხეში. გენერალ ლევაშოვის მოსეუნებიდან ირკვევა, რომ «прибил из Мелетии (იმერეთი – ა.ბ.) в крепость Св. Креста мелетинской архимандрит Николай с двумя служителями, и просит докучно чтоб ево ко двору Ея императорского величества оправить для того, что имеет он от царя мелетинского Александра к Ея императорскому величеству нужные письма о которых он по вопросу объявил, что он послан ко двору Ея императорского величества от мелетинского царя с прошением чтоб повелено было ево царя принять под[д]ержаву Ея императорского величества ...на что от генерала Левашова ему архимандриту сказано что у Ея императорского величества имеетца с турками мирной трактат, он Левашов не надеется что ея императорское величество оной наруша (трактат) мелетию под свою державу принял повелела».

არქიმანდრიტი ნიკოლოზი შეეცადა რუსების ყურადღება გაემახვილებინა თურქეთის მათდამი მტრულ განწყობაზე და შეატყობინა, რომ თურქები



თითქოს აპირებდნენ ყაბარდოში ციხის აშენებას. რადგან რუსეთს სამშვიდობო ზავი ჰქონდა დადებული თურქეთთან ისინი მოერიდნენ ურთიერთობების გამწვავებას და იმერეთის მეფის ელჩი სასწრაფო წესით ასტრახანში გაისტუმრეს. აქედან კი იმერეთში გამოუშვეს, ხოლო მეფის წერილები წართვეს. ალექსანდრე მეფის წერილი ანა იოანოვნასადმი მიღებულ იქნა პეტერბურგში 1733 წლის 18 ივნისს. ის ქართულიდან რუსულ ენაზე უთარგნია ბაქარ ბატონიშვილის ადიუტანტს, თავად გერასიმე თურქესტანოვს. წერილში იმერეთის მეფე უჩიოდა თურქებისა და ლეზგინების (დაღესტნელების) მხრიდან შევიწროებას, შეასენებდა რუსეთის იმპერატრიცას რომ «от нескольких лет прадеды, деды и отцы наши вашего императорского величества предков подданными назывались, и жалованья получали, того ради прошу вашего императорского величества повелеть и мне свое жалованье определить тоже что мои предки получали, и что ваше императорское величество к службе своей мне чинить повели и оное да исполнять здесь готов, ежели же здесь к службе вашего императорского величества меня употребить запотребно изобрести не изволите, то прошу повелеть мне в Россию ехать». ეს წერილი გამოქვეყნებული აქვს მარი ბროსეს ქართულ და რუსულ ენებზე, თუმცა მას ალექსანდრე V ნაცვლად ალექსანდრე IV უწერია სათაურში. მიუხედავად ამისა უეჭვლია, რომ ეს წერილი სწორედ ალექსანდრე V ეკუთვნის. შესაძლებელია ეს ტიპოგრაფიული შეცდომა ყოფილიყო. მ. ბროსეს მიერ გამოქვეყნებული ამ წერილების შინაარსი ოდნავ განსხვავდება რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის არქივში დაცული წერილებისაგან, თუმცა ძირითადი შინაარსი ემთხვევა. შესაძლებელია არქიმანდრიტმა ნიკოლოზმა ალექსანდრე V წე-

რილების რამდენიმე ვარიანტი ჩამოიტანა.

ამრიგად, იმერეთის მეფის მორიგი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა და არქიმანდრიტ ნიკოლოზის ელჩობამ არა მხოლოდ რამდენიმე პოლიტიკურ მიზანს, არამედ პეტერბურგსაც ვერ მიაღწია. ყოველივე ეს გამოწვეული იყო უპირველეს ყოვლისა რუსეთ-თურქეთის ურთიერთობათა განვითარებით. სწორედ ამ ჭრილში განიხილავდა რუსეთი საქართველოს საკითხს და რუსულ-თურქული ურთიერთობიდან ისევე, როგორც რუსულ-ირანული ურთიერთობებიდან გამომდინარე გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას საქართველოს მიმართ მისთვის ხელსაყრელ პირობებში.

1735-1739 წლებში დაიწყო მორიგი რუსეთ-თურქეთის ომი, რომლითაც თურქეთმა დაარღვია 1724 წელს რუსეთთან დადებული კონსტანტინოპოლის შეთანხმება. ომის პროვოცირება გამოიწვია რუსეთ-ირანის 1735 წლის განჯის შეთანხმებამ, რომლითაც რუსეთმა დაუბრუნა ირანს ყველა ის ტერიტორია კასპიისპირეთში, რომელიც თავის დროზე პეტერ I-მა მოიპოვა.

რუსეთ-თურქეთის ომის პირობებში იმერეთის მეფე ალექსანდრე V 1737 წელს კვლავ აგზავნის ელჩობას რუსეთში, იმ იმედით რომ იმერეთის სამეფოს საკითხის გადაწყვეტაში ეს ომი გარკვეულ გავლენას იქონიებდა და დაეხმარებოდა თურქული გავლენისაგან გასათავისუფლებლად. ამჯერად რუსეთს შეეძლო ესარგებლა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ანგიოურქულ ბრძოლაში ჩაბმით, რათა დაესუსტებინა თავისი მოწინააღმდეგებები ფაქტორების გათვალისწინებით ალექსანდრე V შეეცადა გამოეყენებინა არსებული ვითარება საკუთარი სამეფოს ინტერესების სასარგებლოდ.

1737 წლის სექტემბერში იმერეთიდან რუსეთში გაემგზავრა ელჩობა ჭუთაის მიტროპოლიტის ტიმოთე გაბაშვი-



ლის მეთაურობით. ამ ელჩობაში მონაწილეობდა ასევე ქსნის ერისთავი შანშე, რომელიც ქართლის თავადების წარმომადგენლად გაემგაზვრა რუსეთში. როგორც ცნობილია, შანშე ერისთავი დამარცხდა სპარსელების წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში და თავს აფარებდა იმერეთის სამეფოს. პროფ. გ. პაჭაძის მოსაზრებით, შანშეს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ამ ელჩობაში და რადგან კარგად ერკვეოდა რუსეთოსმალეთის ურთიერთობებში, შეეძლო დახმარება გაეწია იმერეთის მეფის ელჩობისათვის. ვერ დავვთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ შანშე ერისთავის გავლენით მიიღო ალექსანდრე V-მ ელჩობის გაგზავნის გადაწყვეტილება. ამ ელჩობისთვის მზადებას დიდი ყურადღება დაეთმო და ის იყო იმერეთის სამეფოს იმ საგარეო პოლიტიკური კურსის გაგრძელება, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში მისდევდნენ იმერეთის მეფები, რაც რუსეთთან დაახლოებას და მისი დახმარებით ოსმალური აგრესისგან თავის დაღწევას გულისხმობდა.

საგანგებოდ ამ ელჩობისთვის და ერთობლივი სამხედრო მოქმედების განხორციელებისათვის იქნა შედგენილი დასავლეთ საქართველოს სამხედრო-გეოგრაფიული რუკა. რუკის შედგენა, როგორც ცნობილია მოითხოვს გარკვეულ დროსა და მომზადებას. იმერეთის მეფის ელჩობა იგეგმებოდა და მზადდებოდა შანშე ერისთავის გადაწყვეტილებისგან დამოუკიდებლად. შანშე იბრძოდა ირანელების წინააღმდეგ და მისი ელჩობის მიზანს წარმოადგენდა რუსეთისგან სპარსელების წინააღმდეგ დახმარების მიღება და ქართლში ვახტანგ VI-ს შვილის ბაქარის დაბრუნება. ალექსანდრე V აუცილებლად გაითვალისწინებდა, რომ რუსეთ-თურქეთის ომის პირობებში, რუსეთის მთავრობა არ დაუშვებდა ირანთან ურთიერთობის გამწვევებას, ამიტომ მას არანაირი იმედი არ უნდა ჰქონოდა, რომ შანშე როგორმე მის ელჩობას დაეხმარებოდა. ჩვენი აზრით,

შანშე ერისთავმა თვითონ ისარგებლა იმერეთის მეფის ელჩობით და შეეცადა საკუთარი მიზნებისთვის გამოეყენებინა. შანშეს ელჩობა თავიდანვე განწირული იყო წარუმატებლობისთვის. როგორც კი საგარეო საქმეთა კოლეგიაში შეიტყვეს, რომ შანშე ირანის წინააღმდეგ აჯანყებული ქართლის წარმომადგენელი იყო, ის სასწრაფოდ და მალულად გამოაცილეს რუსეთიდან იმის შიშით, რომ არ გამწვავებულიყო ირანთან ურთიერთობა. ამის შემდგომ, ირანის დაქვემდებრებაში მყოფი აღმოსავლეთ საქართველოდან ჩამოსულები, სპეციალური ბრძანების თანახმად უკან უნდა გაებრუნებინათ. მხოლოდ დასავლეთ საქართველოს წარმომდაგენლებს რთავდნენ უფლებას ჩასულიყვნენ მოსკოვში.

1738 წლის მარტში მოსკოვში ჩასვლისთანავე იმერეთის მეფის ელჩმა ტიმოთე გაბაშვილმა განაცხადა, რომ ის ჩამოვიდა იმერეთიდან და არა საქართველოდან (ანუ ქართლიდან) და შეეცადა თავისი ელჩობის გამოყოფას ერისთავ შანშესგან დამოუკიდებლად. იმერეთის მეფის ელჩი დაუინებით ცდილობდა პეტერბურგში გამგზავრებას და დედოფალთან აუდიენციის მიღებას. ის ხაზგასმით აცხადებდა, რომ „ძალიან მნიშვნელოვან და საიდუმლო საქმეზეა“ გამოგზავნილი იმერეთიდან, მაგრამ პეტერბურგში არ ჩქარობდნენ ელჩის მიღებას. ტიმოთე გაბაშვილმა უარი განაცხადა წერილების და რუკის გადაცემაზე. მას უნდოდა პირადად გადაეცა ისინი რუსეთის დედოფლისათვის. ხოლო საგარეო საქმეთა კოლეგიას ერთ-ერთი წერილის ასლი გადასცა, რომელიც თარგმნა ვახტანგი ბატონიშვილის კარზე მოღვაწე იმერელმა აზნაურმა დაგით ფანჩულიძემ. წერილის ასლის შინაარსის გაცნობისა და ელჩის სიტყვიერი ასხნის დამატების შემდეგ მას თარჯიმანთან ერთად დართეს პეტერბურგში გამგზავრების უფლება. 1738 წლის 8 ივნისს იმერეთის მეფის ელჩმა მიიღო აუდიენცია რუსეთის დედოფალთან.



იმერეთის მეფის ელჩობის მისია მდგომარეობდა შემდეგ ში: ალექსანდრე V სთავაზობდა რუსეთის დედოფალს ერთობლივი სამხედრო ოპერაციის განხორციელებას დასავლეთ საქართველოს ტერიტორიიდან თურქეთის წინააღმდეგ ომის მსვლელობისას. ამისათვის კი საჭირო იყო აზოვიდან შვი ზღვით იმერეთში გამოეგზავნათ 20 000 ათასიანი რუსული ჯარი არტილერიით და ამუნიციით, ხოლო ალექსანდრე V გამოიყვანდა 22 000 ათასიან ჯარს, ერთობლივი ძალებით შეუტევდნენ მტერს ანატოლიაში და სამხედრო მოქმედებებს გადაიტანდნენ თხმალეთის იმპერიის სიღრმეში. ამ გეგმის სისრულეში მოყვანის დასადასტურებლად იმერეთის მეფე წერილ ში, ხოლო ელჩი სიტყვიერად დაწვრილებით აღწერდნენ დასავლეთ საქართველოს ციხესიმაგრებსა და საზღვაო პორტებს, იმერეთის შიდა გზებს, ასევე თურქების მდგომარეობას იმერეთში და მოსაზღვრე თურქულ პროვინციებში. მაგალითად, წერილ ში აღნიშნული იყო, რომ «от азовской провинции черным морем благополучною погодою надеемся мы что до Милитинской пристани на судах в шесть суток доехать можно, о которой пристани нашей в сочиненной и при сем отправленной карте нашей явно нарисовано, також и о турецких крепостях показано и по милитински подписано, и уповаляем мы что черным морем нез[а]хватывая турецких крепостей приехать возможно, а в близости нашей Милитии никаких турецких крепостей нет чтоб морским судам препятствовать могли и можно российским судам к пристани Милитинской приходить, а от той пристани внутрь Милитии проход свободной, а по берегу черного моря в Милитинском владении построены турками три крепости и один город, а имянно первая Анакопийская крепость, а в ней никаких людей нет, вторая крепость Сохумская при той крепости и пристань имеется, а в той крепости при двухбунчужном паше со сто

человек турецкого гварнizonу и шестдесят пушек, в третьей Анаклийской маленькой крепости под командованием сохумского паши гварнizonу имеется только с 10 человек, а четвертой город Потийской которым владеют турки с 1723 года, а в том городе двухбунчужной паша и при нем с двести человек турецкого гварнizonу и пятдесят пушек к которому городу и вышеописанным крепостям сухим путем из турецкой области никакой помощи подать и провианту возить невозможно, а в том городе и крепостях никаких провиантных магазинов не имеется, а могут к ним присыпать на помощь войско и провиант только из приморских городов, а вышеупомянутые турецкие паши не имея ни от кого и ни какова опасения живут во всякой оплошности и в разуме у них нет чтоб на них от кого нападение учинено было... Ежели соизволите прислать к нам войска российского с 20000 ... с принадлежащего артиллерию амуницию и провиантом то мы предаем себя в высочайшую протекцию и милость вашего императорского величества и по возможности нашей нетокмо с нашими подданными милитинцами но и вне Милитии в близости находящими христианами купно с войском российским противу неприятелей турок вооружимся ... а вышеупомянутые по берегу черного моря лежащия крепости и город божиею помощью с невеликим трудом в подданство вашего императорского величества привести можно ...».

ამ გეგმის უკეთესად აღქსაქმელად ელჩმა წარმოადგინა მის მიერ შედგენილი იმერეთის სამეფოს სამხედრო-გეოგრაფიული რუკა. რუკაზე აღნიშნული იყო ქალაქები, სოფლები, ნავსადგურები, სამდინარო ნავიგაცია, გზები, ხიდები, ციხესიმაგრებები თურქი ჯარისკაცების რაოდენობის ზუსტი მითოთებით, მეფისა და ვეოდალთა სასახლეები, ეკლესიები. რუკაზე იყო განმარტებითი მინაწერები ქართულ და რუსულ ენებზე. ამ მინაწერების რუსულ



ლი თარგმანი განხორციელდა ელჩის მოსკოვში ყოფნის პერიოდში მოსკოვის ქართული კოლონიის ერთ-ერთი წარმომადგენლის მიერ. ზუსტად არ არის ცნობილი თუ ვინ თარგმანი ეს მინაწერები რუსულად, თუმცა ლოგიკური იქნება ვივარაულოთ, რომ ეს შეიძლებოდა დავით ფანჩულიძეს გაეკეთებინა. ასევე არ არის გამორიცხული, ჩვენი აზრით, თვით ვახუშტი ბატონიშვილის მონაწილეობა ამ საქმეში, იმ დროისთვის ცნობილი კარტოგრაფისა და გეოგრაფისა. ეჭვს გარეშეა, რომ ვახუშტისთვის ცნობილი იქნებოდა ამ რუკის არსებობა მიტროპილიტ ტიმოთესაგან ან თავისი მოსამსახურე დავით ფანჩულიძისგან. ის აუცილებლად დაინტერესდებოდა ამ რუკით და შესაძლებელია თვითონ განმარტავდა მინაწერებს რუსულად.

ეს რუკა აუცილებლად მიიქცევდა რუსეთის მთავრობის უურადღებას. როგორც ცნობილია მე-18 საუკუნის დასაწყისიდან რუსეთში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ გეოგრაფიულ და კარტოგრაფიული მასალების შეგროვებას არამარტო საბუთოვ რუსეთის ტერიტორიებიდან, არამედ იმ სახელმწიფოებზე, რომლებიც რუსეთის პოლიტიკურ ინტერესებში მოიაზრებოდა. ამ თვალსაზრისით დასავლეთ საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურ რუკას დიდი ინტერესი უნდა გამოეწვია. შემთხვევითი არ არის აღბათ ის, რომ ამ რუკის ფოტოასლი მე-18 საუკუნის ბოლოს გატანილ იქნა საფრანგეთში. ეს უნიკალური ხელნაწერი რუკა ინახება რუსეთის სახელმწიფო სამხედრო-ისტორიულ არქივში. პირველად ის მოიხსენია ფრანგმა მოგზაურმა გამბამ, რომელიც მე-19 ს. 20-იან წლებში იყო საფრანგეთის კონსული თბილისში. მასზე წერდნენ ასევე, მ. ბროსე და ა. ცაგარელი. 1954 წ. რუკის ფოტოასლი შეიძინა საბჭოთა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტმა. ე. მეტრეველმა დაადგინა, რომ რუკის აგტორი იყო ტიმოთე გაბაშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ იმერეთის მეფის მიერ შეთავაზებული ერთობლივი სამხედრო გეგმა რეალობას მოწყვეტილი არ იყო, მაგრამ მისი განხორციელებისგან რუსეთის მთავრობამ თავი შეიკავა. ეს გამოწვეული იყო იმ ცვლილებით, რაც მოხდა რუსეთურქეთის ომის მსვლელობისას. რუსეთის მოკავშირის ავსტრიის დამარცხებამ და შევდეთის მხრიდან თავდასხმის საშიშროებამ აიძულა რუსეთი, მიუხედავად წარმატებული საბრძოლო მოქმედებებისა, დაეწყო სამშვიდობო მოლაპარაკებები თურქეთის მთავრობასთან. 1739 წ. დადგებული ბელგრადის ზავის პირობები გამორიცხავდა რუსეთის მიერ ამიერკავკასიაში საბრძოლო მოქმედებების რაიმე სახით განხორციელებას.

მიუხედავად ასეთი შედეგისა, რუსეთის მთავრობა არ ჩქარობდა იმერეთის მეფისთვის უარყოფითი პასუხის გაცემას. რუსეთს არ აწყობდა იმერეთის სამეფოს პოლიტიკური წრეების კეთილგანწყობის დაპარგვა, რადგან ეხლათ არა, მომავალში მაინც აუცილებლად გამოიყენებდა მათ თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც მოხდა კიდევაც მოგვიანებით, 1768-1774 რუსეთურქეთის ომის დროს.

ტიმოთე გაბაშვილი არ იყო ინფორმირებული ომის მსვლელობისას მომხდარ ცვლილებებზე, მაგრამ ხვდებოდა რომ მისი მისიის წარმატება ეჭვაში იყო, ამიტომ ცდილობდა ოფიციალური პასუხის მიღების დაქარებას. ამ მიზნით 1738 წ. სექტემბერში მან განაცხადა საგარეო საქმეთა კოლეგიაში, იმ შემთხვევაში თუ რუსეთი არ გამოაგზავნის ჯარს იმერეთში და „შავი ზღვა არ იქნება რუსეთის მფლობელობაში“, მაშინ თურქები შეავიწროებენ იმერეთის მეფეს და ამიტომ სოხოვს რუსეთის მთავრობას მეფეს და მის ოჯახს რუსეთში ჩამოსვლის უფლება დართონ. მიტროპოლიტი ტიმოთე რუსეთის მთავრობას ასევე სოხოვდა მისი იმერეთში დიპლომატიური მისიით დაბრუნების შემდგომ, პირადად მას



დართონ უკან დაბრუნებისა და მისი საიმპერატორო უდიდებულებების სამსახურში ჩადგომის უფლება. აუდიენციის მოლოდინში ტიმოთე გაბაშვილმა უცნაური რამ მოიმოქმედა. მან საგარეო საქმეთა კოლეგიის წარმომადგენელ კურბატოვთან უჩივლა უკვე გარდაცვლილ ვახტანგ VI-ს, რომელსაც ბრალი დასდო ძვირფასეულობების მითვისებაში („перла в 1000 зерен крупного жемчугу и золотой короны“, რომელიც თითქოს იმერეთის მეფემ გამოუგზავნა პეტრე I-ს არქიმანდრიტ პავლეს მეშვეობით. ტიმოთეს განცხადებით ამ საქმის გარკვევა მას დაავალა იმერეთის მეფემ. მოგვიანებით გაირკვა, რომ იმერეთის ელჩის ბრალდება უსაფუძვლო იყო და ამ საქციულით ტიმოთემ გაიფუჭა ურთიერთობა როგორც ქართულ სამეფო ოჯახთან რუსეთში, ასევე უშუალოდ რუსეთის მთავრობასთანაც. ვახტანგ VI-ს სამეფო ოჯახი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა რუსეთის სამეფო კარზე. ძნელია ახესნა მოუძებნოთ ტიმოთე გაბაშვილის ამ ნაბიჯს, რადგან შეუძლებელია მას არ სცოდნოდა თუ რა ნებატიური რეაქცია მოჰყვებოდა ასეთ უსაფუძვლო ბრალდებას. ჩვენი აზრით, ტიმოთე თვლიდა, რომ ქართული სამეფო ოჯახი საგანგებოდ უქმნიდა გარკვეულ დაბრკოლებას იმერეთის მეფის წარმომადგენელს რუსეთის მთავრობასთან და არ უწევდა მას სათანადო შეამდგომლობას.

1739 წ. 30 ოქტომბერს ტიმოთე გაბაშვილმა მიიღო რუსეთის იმპერატორთან აუდიენცია, სადაც მას განცხადეს, რომ იმერეთის სამეფო მიღებულ იქნება რუსეთის მფარველობაში, მაგრამ არაფერი უთხრეს ბელგრადის ხელშეკრულების შესახებ. ტიმოთე გაბაშვილმა დაგვიანებით გაიგო ამ ხელშეკრულების შესახებ და შეეცადა დაერწმუნებინა რუსეთის მთავრობა, რომ ხელშეკრულებაში ჩაერთოთ იმერეთის სამეფოს საკითხი, როგორც რუ-

სეთის მფარველობაში მყოფი ქვეყნისა. მაგრამ ეს მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, რადგან სამშვიდობო შეთანხმება უკვე დადებული იყო, ხოლო ამ შეთანხმების შინაარსი კი გამორიცხავდა იმერეთის საკითხის იქ შეტანას.

მხოლოდ 1740 წ. 10 მარტს რუსეთის მთავრობამ გადასცა იმერეთის მეფის ელჩის ოფიციალური პასუხი, სადაც ნათქვამი იყო, რომ მფარველობაში მიღება „была принятая русской императрицей милостиво и к нашей благоугодности..., но понеже ныне Божиим предсмотрением между нами и салтаном турским мир паки возстановле...“, ამიტომ იმერეთის მეფის ელჩის მხოლოდ ამ შეტყობინებით უშვებდნენ. ასეთი პასუხის შემდეგ ტიმოთე გაბაშვილმა იმის შიშით, რომ თურქეთის აგნეტებისგან ჩრდილო კავკასიაში საფრთხე მოედოდა, თხოვნით მიმართა საგარეო საქმეთა კოლეგიას მისთვის საგანგებო დაცვის გამოყოფის შესახებ მშვიდობიანი მგზავრობისთვის. დაცვა მას რუსებმა ყიზლარამდე გამოუყვეს, ხოლო იქიდან კი იმერეთის მეფეს უნდა გამოეგზავნა დასახვედრად ხალხი. ამასობაში, 1740 წლისათვის დასავლეთ საქართველოში კვლავ იფეთქა ფეოდალურმა ომმა. იმერეთის მეფის წინადმდებარების მთავრები, რაჭის ერისთავი და სხვა მსხვილი ფეოდალები. მათ აიძულეს ალექსანდრე V-ს დაეტოვებინა იმერეთი და სამეფო ტახტზე ახალციხის ფაშას დახმარებით აიყვანეს მისი უმცროსი ძმა გიორგი VII. ალექსანდრე ქართლში გადავიდა და ირანის შაპის ნადირის შეამდგომლობით ახალციხის ფაშასთან, 1741 წლის შემოდგომაზე კვლავ დაიბრუნა ტახტი. ტიმოთე გაბაშვილი ინფორმირებული იყო დასავლეთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე და ამიტომ კიდევ ერთხელ სხვოვა რუსეთის მთავრობას მისი მგზავრობის უსაფრთხოების უზრუნ-



ველუფვა უკვე იმერეთამდე, რაზეც უარი მიიღო.

შემდგომში, როგორც გაირკვა, ალექსანდრე V-ს ელჩი, ჩავიდა ყიზლარში, სადაც დატოვა თავისი ნივთები და მხოლოდ მოსამსახურების თანხლებით გააგრძელა მგზავრობა, მაგრამ გზაში ისინი დაატყვევა მტერმა, „был захвачен в иноверные неприятельские руки“. რუსეთის იმპერატორის წერილები კი სანდო პირის ხელით გადააგზავნა ალექსანდრე V-თან. ტიმოთემ მხოლოდ ერთი წლის მერე მოახერხა ტყვეობიდან გაქცევა. ის დაბრუნდა ჯერ იმერეთში, ხოლო 40-იანი წლების ბოლოს გადასახლდა ქართლში, სადაც დაახლოებით 1753 წელს აყავნილ იქნა ქართლის არქიეპისკოპოსის წოდებაში. 1755-1759 წლებში, მან იმოგზაურა კონსტანტინოპოლიში, ათონის ნახევარკუნძულზე და იერუსალიმში. შემდეგ დაბრუნდა ისევ ქართლში. 1762 წელს ტიმოთე გაბაშვილი გაემგზავრა რუსეთში და დასახლდა ასტრახანში, საასო-პრეობრაჟენსკის მონასტერში. მაგრამ ასტრახანის მმიმე კლიმატურმა პირობებმა შეარყია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და მან ითხოვა მოსკოვში დასახლების უფლება. სამწუხაროდ ნებართვამ კერ ჩაუსწრო ისე გარდაიცვალა. ის დაკრძალეს 1764 წ. 29 ივლისს ასტრახანის მიინების ტაძარში.

რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის არქივში ჩვენს მიერ აღმოჩენილ იქნა მეტად საინტერესო დოკუმენტი, რომელიც ეხება ტიმოთე გაბაშვილის იმერეთში დაბრუნების საკითხს. ამ დოკუმენტის შინაარსი აქამდე არ ყოფილა გამოქვეყნებული ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. ეს არის ხელნაწერი წერილი ქართულ ენაზე, რომელიც ავტორის მიერ არ არის დატარკილებული, მაგრამ 1741 წლის საქმეებში იყო მოთავსებული. წერილში აღწერილი მოვლენები 1740-1741 წლების პერიოდს ეხება. წერილი დაწერილია პატარა ზომის ფურცელზე ორივე მხრიდან, სხვადასხვა ადრესატის მიმართ დაახლოებით ერთი და იგივე შინაარსით

ტიმოთე გაბაშვილის მიერ. ერთ-ერთი ადრესატი არის ტიმოთეს ძმისშვილი ილუმენი დავით გაბაევი (გაბაშვილი), რომელიც ტიმოთეს თან ახლდა ელჩობაში, ხოლო მისი იმერეთში გამოგზავრების შემდეგ დარჩა ბატონიშვილ ბაქარის კარზე. ხოლო მეორე ადრესატი არის ვინძე პოდპოლკოვნიკი რაფელა (რაფაელ, გვარის გარჩევა სამწუხაროდ შეუძლებელია), რომელიც იმყოფება ყიზლარში და მისი მეშვეობით ხორციელდება მიმოწერა საქართველოდან ქართული კოლონიის წარმომადგენლებთან მოსკოვსა და პეტერბურგში. რადგან წერილი ქართულ ენაზეა გთავაზობთ მის ორიგინალურ ვერსიას:

„ გრეგოლი(?)

ქ. მდაბალი მიტროპოლიტი ქუთათელი ტბილად მოგიკითხავ და სურვილით შეგიტკბობ სულიერო მამაო და მოძღვარო ჩემო ილუმენო ----- საყვარელო მმისწულო დავით მრავალი მოკითხვა და იესო ქრისტეს მიერ ლოცვა პურთხევა მოკითხვა მამისენებია. მერე თებერვლის წიგნი მამივიდა, რაფელას თქვენი მშვიდობა გავაგონე ვმადლობ უფალს. ჩემს ამბავს შეიტყობდით სოფლის განსაცდელმა თუ რა შემამთხვია. რაჭას ერისთავება ბარგი და მოსამსახურენი სრულობით წამართვა, მეცა ხუთი თვე დატყვევებულისავით ჯაფარაძის სახლში ვიყავ. დიდათ საქმე გაჭირვებული მაგისტრის გულის ნუ დაგაკლდებათ რომე ადრე კაცი ვერავინ გამოგზავნეთ და გზა მამეცა ჯაფარიძეებისაგან და მეფეს ჩემს ხელმწიფელთან მივაწივე მშვიდობით. ამას გეხვეწებით ბევრი მოგიჭირვიათ, ცოტა კიდევ მოგვიცადოთ დვოთით ადრე გამოვისტუმრებო კაცსა და (?) ამ მშვიდობის საქმესა მოგიხდენთ. ვიცი ხარჯი აღარ გექნებათ, მანდ ოთარი ჯომარდიძეა და ის მოგართმებსთ რაც დაგჭირდებათ, მე ყაბულსა ვარ ან დოსპოდინ რაფელა ვალს გიშოვნის სანამდი ჩვენი კაცი მოგივიდეს, დიდად გეხვეწებით არაზედ აშჩერდეთ ჩვენი ამბავი მოი-



ცადოთ, ხელმწიფის წყალობა თუ რამე არის არა წაგიხდესთ რა ნახევდეთ ჩემო ძმისწულო ტანთ თუ ფეხთ ან ხარჯი თუ რამე დაგჭირდესთ გრეგოლისა მაგ ბიჭებსა თოარ ჯომარდიდესა შენთან უთხარ ხომ გახსოვს ის მოგცემს, ნურას შესწუხდებით, რა ვქან გამიჭირდა თვარემ აქნამდი არ დაგაგვიანებდი, ჰქუა და კაცობა ახლა გაგიჩნდება ჩემო მოძღვარო დედაშენს და შენს მმებს თუ აქ მოგიყვნენ თვარემ უსათუოდ დამიჯერე ჩემის ხარჯით მანდ გამოგიგზავნი. აქაურს ამბავს იკითხავთ ჩემი ხელმწიფე მეფე მშვიდობით დაცული მეგულვება, ოდიში და გურია დაიჭირა და უჭირველათ ბძანდება ჩემი სამწყსო თუ საქუთათლო ისევ ჩვენვე გვიბოძა. თეიმურაზ ბატონიშვილი კახეთს წაბდანდა.

ლ. 22 ინ.

ქ. თქვენის პატიოსნის თავს კარგათ ყოფნის მოწადე ქუთათელი ტიმოთე სამსახურის ნატვრას მოგახსენებ ჩემო საყვარელო ძმაო ლოსპოდინ პოდპოლკოვნიკო რაფაელ მრავალი თქვენის კაის თავის შესაფერ მოკითხვა და ნახვის ნატვრა მამისხსენებია. მერმე წიგნი მოგეწერა ჩემთვის და ჩემი ბარგის ამბავი გებდანათ. ვმადლობთ შენს წაყლობასა როგორც მპირდებოდი დაუგიწყებლობას ისე პირი ან კიდეც/პირვანკიდეც აღმისრულე, ახლა ამას გეხვეწები კიდევ მაგათზე თვალი დაიჭიროთ, რაჭას დამიჭირეს და ხუთი თვე ტყვედ ვიყავ, მაგისთვის ვერა შეგატყობინეთ რა, მაგისთვის ფიქრში ვართ ჩვენც ცოტა ხან კაცი გახლოთ. მეფე დიდად მადლიერია და ჩვენც ვეცდებით თქვენი ჩვენზედ ნასიკეთარი არ შევირჩინოთ, თუ რამე დასჭირდესთ ხელი მოუმართეთ ჩვენი კაცის მოსვლამდის. სხვა აქაური ამბავი იკითხოთ ვახუშტი აბაშიძეს გასწყორმოდა ბატონი, მეფეს ჯარი გაესივა და დაეჭირა, აქამდი ტყვეთ იყო. ახალი კათალიკოზი დომე-

ნტი მობძანდა სიკუდილი იმას აპატივა და ორმოცდათი ქესა ბატონს მოართვა და გაუშვეს. კვინიხიძეს ამბავს თუ იკითხავ ჩემს ბარგთან ისიც დაიჭირეს და გაყიდეს ქუთაისს სამართალი საწყელი(?) მიეწყ(?) ”

როგორც ამ წერილიდან ირკვევა ტიმოთე დაატყვევეს არა ჩრდილო კავკასიაში ქრისტიანების მტრებმა, არა მედ იმერეთში მეფის მოწინააღმდეგა რაჭის ერისთავმა. 1762 წელს, როდესაც ტიმოთე ქართლიდან ყიზლარში ჩაფიდა მან განაცხადა, რომ ის დატყვევებულ იქნა „ინოვერნი მოწინააღმდეგა კი საერთოდ დამალა. მისი ასეთი საქციელი ნაკარნახევი იყო რუსეთში ცხოვრების ხებართვის მიღების სურვილით. რუსეთის იმპერატორის 1762 წლის 16 თებერვლისა და 21 მარტის ბრძანებულებით აიკრძალა რუსეთის მონასტრებში უცხოელ საეკლესიო პირთა მიღება. ამის გამო ტიმოთე ცდილობდა დაერწმუნებინა რუსეთის მთავრობა იმაში, რომ მისი რუსეთში ექნად ყოფნისა და მისი რუსული ორიენტაციის გამო მას არ შეეძლო საქართველოში დარჩენა და ამიტომ რუსეთის მთავრობა ვალდებული იყო ტიმოთეს აზრით მიეცა მისთვის რუსეთში დასახლების უფლება. სწორედ ამ მიზეზის გამო მან ამგვარად წარმოუდინა რუსეთის მთავრობის დიდი ხნის წინ მომხდარი მოვლენები და მიაღწია კიდეც სასურველ შედეგს. ჩვენი აზრით სინამდვილესთან უფრო ახლოს არის ზემოთხსენებულ წერილებში აღწერილი ფაქტები.

ამრიგად, 1737-1740 წლების იმერეთის ელჩობა უშედეგო გამოღვა, რადგან მთავარი მიზანი - რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შექმნა საერთო მტრის, თურქეთის წინააღმდეგა არ შედგა. მირითადი მიზეზი რის გამოც ელჩობა წარუმატებელი აღმოჩნდა, განპირობებული იყო არა მხოლოდ



ელჩობის მომენტისთვის შექმნილი არა-სახარბიელო საერთაშორისო ვიტარებით, არამედ რუსეთის იმ საგარეო პოლიტიკური კურსით, რომელსაც ატარებდა ანნა იოანოვნას მთავრობა. რუსეთის მთავრობა თავს არიდებდა ქართულ საქმეებში ჩარევას და უთმობდა პოზიციებს ირანსა და თურქეთს ამიერკავკასიის საკითხში. იმერეთის მეფის გეგმა, რომელიც გულისხმობდა სამხედრო მოქმედებების გადატანას მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე ფლოტის აქტიური მონაწილეობით, ასევე განუხორციელებელი იყო იმ არასწორი სამხედრო სტრატეგიის გამო, რომელსაც ფელდამარშალი მინიხი ატარებდა. 1735-1739 წლების რუსეთ-თურქეთის ომში ძირითადი სამხედრო მოქმედებები მიმდინარეობდა ბალკანეთის მიმართულებით. მაგრამ უფრო მომგებიანი რუსეთისთვის იქნებოდა კავკასიის მიმართულებით სამხედრო მოქმედებების გააქტიურება, რადგან კავკასია, კერძოდ, ყაბარდო იყო უშუალო მიზეზი რის გამოც დაიწყო ეს ომი. ამასთანავე კავკასიაში თურქეთს ნაკლებად ბრძოლისუნარიანი ჯარი ჰყავდა, ვიდრე ბალკანეთზე. რუსეთის ჯარი დიდ დანაკარგებს განიცდიდა არასაკმარისი პროვინციებისა და ავადმყოფობების გამო. სამხედრო მოქმედებების კავკასიის მიმართულებით გადატანა გამოიწვევდა ამიერკავკასიის მოსახლეობის გააქტიურებას თურქეთის წინააღმდეგ. ასეთ ვითარებაში იმერეთის მეფის გეგმის განხორციელებაც უფრო რეალური იქნებოდა.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში რუსეთის პოლიტიკა აღმოსავლეთის მიმართულებით მდგომარეობდა საკუთარი საზღვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფაში თურქული აგრესისგან. ამ ამოცანიდან გამომდინარე, რუსეთი აგებდა შესაბამის პოლიტიკურ ურთიერთობებს ირანთან და თურქეთთან, რომელთანაც საქართველოს საკითხებიც იყო დაკავშირებული. რუსეთი ჯერ არ იყო მზად ამიერკავკასიაში თურქეთისა და ირანის წინააღმდეგ

საბრძოლველად. ასეთი მზადყოფნა რუსეთმა მოგვიანებით, 1768-1774 წლებში გამოავლინა, როდესაც ეკატერინე II-მ ფაქტიურად ალექსანდრე V-ს მიერ წარმოდგენილი გეგმა აამოქმედა. რუსეთის იმპერიისა და იმერეთის სამეფოს დიპლომატური ურთიერთობები დროებით შეწყდა 1737-1740 წლების ელჩობის შემდეგ. მათი აღდგენის შესაძლებლობა გაჩნდა მხოლოდ XVIII საუკუნის 60-იან წლებში სოლომონ I-ს მეფობის პერიოდში.



საეპლესიო სეაპარატიზმი აფხაზეთში დეკანოზი ზურაბ მჭედლიშვილი დოქტორანტი

ძველ ქართულ წყაროთა თანახმად, პირველ საუკუნეში საქართველოში ქრისტეს სჯული პირველმადაგებელმა - წმინდა მოციქულმა ანდრია პირველ-წოდებულმა იქადაგა „ყოველსა ქუეყანა საქართველოსასა, ხოლო მოციქულთასწორმა წმინდა ნინომ მოაქცია ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა“. ქართულ საეკლესიო წყაროებს სრულიად ეთანხმებიან უცხოელი მოღვაწენიც - IV საუკუნის პალესტინელი ეპისკოპოსი გელასი კესარიელი და V საუკუნის ბიზანტიელი მთვლელმთავარი გელასი კვითიკელი, რომელთა ცნობით, წმინდა ნინომ მოაქცია იბერებიცა და ლეზებიც, ე.ო. როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთი საქართველო. ზოგადად, ეკლესია იმართება საეკლესიო სამართლით, რომელიც ემყარება წმინდა მოციქულთა და მსოფლიო საეკლესიო კრებათა კანონებს. მოციქულთა 34-ე კანონი ბრძანებს: „თითოეულისა ნათესავისა ეპისკოპოსთა უხმს კაცია მის ნათესავისათა, რაითა პირველად და თავად მათდა შეერაცხოს ეპისკოპოსი თვისი და არარას იქმოდინ ნამეტნავისა თვინიერ განზრახვისა მისისა, არამედ მათ ხოლო იქმოდის კაცად-კაცადი, რაოდენი სარგებელ ეყოფოდინ ეკლესიასა მისსა და მის ქუეშეთა სოფელთა. არამედ ნუცალა ეპისკოპოსი თვინიერ განზრახვისა ყოველთაისა იქმს რასმე, რამეთუ ესრეთ ერთნებობაი აღასრულოს და იდიდოს ღმერთი უფლისა მიერ სულითა წმიდითა“.

მე-4 საუკუნეში სწორედ ამ კანონის თანახმად ჩამოყალიბდა მთელი ქვეყნის მოცველი ერთიანი ივერიის ეკლესია ცხნირით მცხოვარდა. ივერიის ეკლესიის თვითმყოფადობა დაადასტურა ანტიოქიის პატრიარქმა პეტრემ. ამ ფაქტს ვგებულობთ მეორე მსოფლიო კრების მეორე კანონის ბალაშიძის დამსამონისული

განმარტებიდან. საეკლესიო კანონისტი ამ კანონის განმარტებისას ამბობს:

„ერთი ეპარქიის ეპისკოპოსი არ უნდა ავრცელებდეს თავის უფლებამოსილებას სხვა ეპარქიის ტერიტორიაზე, თუნდაც ეს ბარბაროსული მხარე იყოს. ეს ტრადიცია უნდა შენარჩუნდეს“.

ჩვენი ეკლესიის შესახებ ბალსამონი ამბობს, რომ მას მანამდე ჰქონია ავტოკეფალია, ვიდრე ანტიოქიის ეკლესია უკურთხებდა ეპისკოპოსებს. მისი ოქმით, მეოთხე საუკუნეში ქართველი ხალხი სრულად ეზიარა ქრისტეს სწავლებას მოციქულთასწორ ნინოს ღვაწლით მეფე მირიანის მეფობის დროს. სლავი ხალხისგან განსხვავებით, ივერიელებისთვის კირიარქალური ანუ დედა-ეკლესია იყო არა კონსტანტინოპოლის, არამედ ანტიოქიის საყდარი. 467 წელს ივერიის ეკლესიის წარმომადგენელმა, რომლის კათედრა იყო მცხოვარაში, ანტიოქიის ეკლესიისგან მიიღო კათალიკოსის ტიტული. ასეთი ტიტულით იწოდებოდნენ ეკლესიის მთავარიერარქები, რომელთა ეკლესიები ტერიტორიულად ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრებს გარეთ სახლმწიფოებში ფუძნდებოდა.

საქართველოს ეკლესიის პირველივე მეთაურს რუის-ურბინისის საეკლესიო კრების ძეგლისწერის თანახმად, ეპისკოპოს-კათალიკოსი, ანუ ზემდგომი ეპისკოპოსი ეწოდებოდა. საქართველოს ყველა ნაწილში ქადაგებათა შემდგომ დაარსდა ათეულობით საეპისკოპოსო, რომელთა რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა VIII-X საუკუნეებში. ამის გამო გაჩნდა საჭიროება, ეპარქიათა მართვის გაადვილების მიზნით ჩამოყალიბებულიყო რამდენიმე საეკლესიო ადმინისტრაციული ოლქი, ანუ სამიტროპოლიტო. მის მმართველს უმცროსი კათალიკოსის ტიტული უნდა მინიჭებოდა, რადგან უპირატესი, უხუცესი კათალიკოსი მცხოვარის პირველიერარქს ერქვა. ერთიან საქართველოს ეკლესიაში კათალიკოსის წოდება შეესაბამებოდა ბერძნული საპატრიარქოების



მიტოპოლიტის წოდებას. როგორც ბერძნული საპატიარქოს მიტოპოლიტებს უშუალოდ უქვემდებარებოდნენ თავისი ეპისკოპოსები, ისე ქართლის კათალიკოსს – აღმოსავლეთ საქართველოს, ხოლო აფხაზეთის კათალიკოსს – დასავლეთ საქართველოს მდგველმთავრები. ორივე მათგანი კი ერთიანი საქართველოს ეკლესიის მხოლოდ საეკლესიო-ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა.

რაც შეეხება საკათალიკოსოს სახელს, იგი მომდინარეობს ქვეყნის მმართველი დინასტიის ტიტულიდან – აფხაზთა ერისთავი, აფხაზეთი კი ისეთივე კუთხე იყო საქართველოსი, როგორიც სხვა დანარჩენი. შესაბამისად, აფხაზები ეთნიკურად ისეთივე ქართველები იყვნენ, როგორც საქართველოს სხვა კუთხის მაცხოვრებლები. იყო დრო, როცა მას ქართლი ეწოდებოდა იმავე მიზეზით, როცა მისი მმართველი ქართლის სამეფო ტახტი იყო.

ეს გახლავთ ამონაწერი აფხაზეთის კათალიკოსის 1733 წლის სიგელიდან: „პირვეწოდებულსა ანდრიას მიეცა ჩრდილოეთისა ქვეყანა მოქცევად, ჩვენებითა წმიდისა დვითისმშობლისათა, რამეთუ ჩვენ, ქართველნი, მისი წილხვდომილნი ვართ“.

აღნიშნული დოკუმენტიდან სრულიად ნათელია, რომ ბიჭვინთის ლვილისმშობლის, იმავე აფხაზეთის საკათალიკოსო მრევლი, ანუ წმინდა ანდრის მოციქულის მიერ მოქცეული მთელი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა ეთნიკური ქართველია. ამიტომაც ამ ხალხის სახელმწიფო, კულტურული და საეკლესიო ენა უძველესი დროიდანვე მხოლოდ ქართულია.

როგორც ცნობილია, საქართველოს გამოლიანება ქართველთა მეფე ბაგრატ მესამის მიერ აფხაზეთიდან დაიწყო. ამ პერიოდისთვის უკვე არსებობდა აფხაზეთის საკათალიკოსო. გაერთიანების შემდეგ, ცხადია, უპირატესობა უნდა მინიჭებოდა აფხაზეთს, ანუ იმ კუთხეს, საიდანაც მოქმედებდა მისი საერო მმართველი. ამავე წესით დომინანტი

უნდა ყოფილიყო მისი საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეული აფხაზეთის საკათალიკოსო სახით, თუმცა სრულიად სხვა სურათი მივიღეთ – აფხაზეთის უმცროსი კათალიკოსი მცხეთის, ანუ უფროს საყდარს დაექვემდებარა, ისევე, როგორც ეს მანამდე იყო.

ამისგან სრულიად განსხვავებული თეორია წარმოადგინა დღეს აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედმა საეკლესიო სეპარატისთა ჯგუფმა, რომელსაც არქიმანდრიტი დოროთე(დბარი) უდგას სათავეში. მან მიმართა მსოფლიო საპატიარქოს და მოითხოვა მისგან, ადდგენილიყო ისტორიული სამართლიანობა და კონსტანტინოპოლის საპატიარქოს თავისი კუთვნილი იურისდიქცია დაებრუნებინა აფხაზეთში, რომელიც მას მეოთხე საუკუნიდან მოყოლებული პქონდა, ვიდრე იქ IX-X საუკუნეებში საქართველოს „პროზელიტური“ ეკლესია არ შეიქრა და ჩანაცვლა ბერძნული კათედრები.

უკელაზე საგალალო დბარის თეორიაში მაინც ისაა, რომ ამ სიყალბეს იგი ქართველ ავტორებზე დაყრდნობით ავრცელებს. ჩვენს ისტორიოგრაფიაში დღემდე მკვიდრად დანერგილი თვალსაზრისის თანახმად, დასავლეთ საქართველო 600 წლის მანძილზე იმყოფებოდა კონსატანტინოპოლის საპატიარქოს იურისდიქციაში. საქართველოს პროზელიტური ეკლესია მხოლო IX-X საუკუნეებში შეიქრა დასავლეთ საქართველოში და ბერძნული ეპარქიების გაუქმების შემდეგ გაბატონდა იქ. საქართველოს ეკლესიის ინტერესებს შემაშვილებლად აზარალებს ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში შექმნილი და დღემდე გაბატონებული საისტორიო თეორიები. ამ საკითხს ეძღვნება ქართველ მეცნიერთა, მათ შორის პავლე ინგოროვას, ნოდარ ლომოურისა და მიტოპოლიტ ანანიას მრავალი გამოკვლევა, წმინდა სინოდის დადგენილებანი და პატრიარქის ეპისტოლები. საქმე ის გახლავთ, რომ საეკლესიო სამართლის მიხედვით, ერთ რომელიმე ავტოკეფალურ ეკლესიას უფლება არა აქვს მეორე ეკლე-



სიის ტერიტორიაზე იმოქმედოს. ისიც ცნობილი და აღიარებულია ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ, რომ საქართველოსთვის კირიარქალური ეკლესია ანტიოქიის საყდარია, რასაც ეს უკანასკნელი დღემდე ატარებს თავის ტიტულში. ონსტანტინოპოლის საპატრიარქო 1990 წელს საქართველოს ეკლესია აღიარა, როგორც ერთ-ერთი უძველესი ავტოკეფალური ეკლესია. მაშინ გაუგებარია ის ფაქტი, თუ როგორ მოახერხა ანტიოქიის ეკლესიამ, შესულიყო კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში და იქ მესამე სუბიექტისთვის კათოლიკოსის ტიტული მიენიჭებინა. ეს თეორია სრულიად ეწინააღმდეგება მსოფლიო საეკლესიო კრებების, წმინდა მამების კანონებს და, ამასთანავე, ავტოკეფალურ ეკლესიათა მხრიდან ჩვენი ეკლესიის თვითმყოფადობის აღიარებას. ეს რომ რეალურად მომხდარიყო, საეკლესიო სამართლის თანახმად, მოწვევულ იქნებოდა კრება ბიზანტიის იმპერატორის მიერ, რადგან საეკლესიო კანონმდებლობას ზურგს უმაგრებდა ბიზანტიის საერო ხელისუფლება, რომელსაც ამას კანონი ავალდებულებდა. კრების მიერ გამოტანილი იქნებოდა განაჩენი კანონმდებლობის დამრღვევი ეკლესიის მიმართ, რომელიც სხვა ეკლესიის იურიდიქციაში შეიქრა. ასეთი რამ ისტორიულად არ დასტურდება, არ არსებობს ანტიოქოს ეკლესიის მიმართ არავითარი დარღვევის ამსახველი ფაქტი. შაგულისხმოა, რომ როდესაც 1943 წელს რუსთის ეკლესიამ ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალია სცნო, მაშინაც ვერ შეძლო აფხაზეთის საკათალიკოსო დამოუკიდებელ საეკლესიო ერთეულად ეცნო, რადგან ამისთვის მას არანაირი იურიდიული საფუძველი ვერ მოქებნა, რადგანაც მსაგავსი რამ არ არსებობს და ვერც იარისებებს. აფხაზეთის საკათალიკოსო დაარსების დღიდან მცხოვის საყდრის ადმინისტრაციულ

ერთეულს წარმოადგენდა, რაზედაც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი.

მოციქულთა და მსოფლიო კრებათა კანონები არა დროში შეზღუდული. ავტოკეფალური ეკლესიის თვითმყოფადობა ამ კანონთა ძალითაა განმტკიცებული. ამა თუ იმ ეკლესიის იურისდიქციის დარღვევის შემთხვევაში სასჯელით ადეკვატურია. საქართველოს ეკლესიისთვის ამ მირძველი ეპარქიის ჩამოჭრის მცდელობა, რაც დღეს ხდება, არღვევს მოციქულთა 34-ე, 35-ე, პირველი მსოფლიო კრების მე-15, მე-16, მესამე მსოფლიო კრების მე-8, მეოთხე მსოფლიო კრების მე-5 და მე-20 კანონებს. ყველა მათგანი მიუთითებს, რომ მდვდელმთავრებს I უფლება ენიჭებათ, იმოქმედონ თავისი ეპარქიის ფარგლებში და არ გადავიდნენ სხვა ეპარქიის იურისდიქციაში, არ მიითვისონ სხვისი კუთვნილი ქონება, თუდაც ეს საერო ხელისუფალთა ზეწოლით როგორც ვხედავთ, საეკლესიო სამართალი არ უშვებს იმას, რომ არათუ ერთმა ეკლესიამ მიითვისოს მეორის კუთვნილი ტერიტორია და ქონება, არამედამის უფლება ეპისკოპოსებს ერთი ეკლესიის ფარგლებშიც კი არა აქვთ.

ეს საკითხი განხილული იქნა მსოფლიო საპატრიარქოში, როდესაც მას 2013 წლის 17-20 მაისს მიღანის ედიქტის 1700 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებათა დროს საქართველოს ეკლესიის დელეგაცია ეწვია მისი უწმინდესი პატრიარქის მეთაურობით. შეხვედრისას კონსტანტინოპოლის მხარემ განცხადა, რომ ის აღიარებდა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციას მთელი ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის დღეს რუსეთისგან ოკუპირებულ ტერიტორიებზეც, მაგრამ უყურადღებოდ ვერ დატოვებდა იმ საჩივრებსა და თხოვნებს, რომელიც მუდმივად შემოღილდა აფხაზეთიდან. საქმე ეხებოდა აფხაზეთის ტერიტორიაზე დარჩენილ მართლმადიდებელთა რელიგიურ მოთხოვნებს, მაშინ, როცა



ოკუპანტი ქვეყანა საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქსა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს - უწმინდესსა და უნებარეს იღია მეორეს არ რთავს ნებას, მღვდელმოქმედება ადასრულოს ადგილზე დარჩენილ სამწეოსთან.

დორეთ დბარის მიერ წამოყენებული ბრალდებების პასუხად კონსტანტინოპოლის მხარეს განემარტა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მრევლი საქართველოს ეკლესიისა საკუთარი სამოსახლოდან იძულებითად გამოდევნილი, დღეს ენგურს გადმოდმა ცხოვრობს და ბუნებრივია, მას ცოცხალი კავშირი აქს საქართველოს ეკლესიის სამღვდელოებასთან. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მრევლის ძალიან მცირე ნაწილია დარჩენილი. გალიასა და ოჩამჩირის რაიონში მცხოვრები მართლმადიდებლები ასევე დღემდე ინარჩუნებენ ცოცხალ კავშირს დედა ჰელუსიასთან. ეთნიკურად აფხაზების ძალიან დიდი პროცენტი დღემდე მუსულმანია, მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი კი გრიგორიანი სომხები და რუსები არიან. გამოდის, რომ აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი საკუთარი კერივიდან იძულებითად გამოსახლებული. რომელი მრევლის სახელით საუბრობს დოროთე დბარი?!

არქიმანდრიტის ხარსიხის მქონე დოროთე დბარი და ანდრია ამპარი რუსეთის ეკლესიის წიაღში ხელდასხმული სასულიერო პირები არიან. როდესაც ერთი ეკლესიის წიაღში ნაკურთხი სასულიერო პირები საკუთარი საეკლესიო იერარქიის გვერდის ავლით მიმართავენ მეორე, ამ შემთხვევაში - კონსტანტინოპოლის ეკლესიის მეთაურს და ოთხოვენ მესამე, მოცემულ ვითარებაში - საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის ტერიტორიაზე საეკლესიო წარმონაქმნის - სამიტროპოლიტოს დაშვებას, ეს საეკლესიო კანონმდებლობის უხეში დადგვევაა. ამ სასულიერო პირებს ამგვარი ქმედების გამო თავად რუსეთის ეკლესიამ სამი წლით შეუჩერა დამოისმახურება.

ტანტინოპოლის საპატრიარქომ მათ უარი განუცხადა ყოველგვარ მიღებასა და მოსმენაზე. მაგრამ საეკლესიო სეპარატისტები მაინც აგრძელებენ აფხაზეთის ტერიტორიაზე მღვდელმოქმედებას, რაც ასევე საეკლესიო სამართლის დარღვევას წარმოადგენს. სამწუხაროდ, რუსეთის ეკლესიის მხრიდან მათ თვითნებობას რეაგირება არ მოჰყოლია. მაშინ, როცა ქართველი სასულიერო პირები 2008 წლის ომის დროს ვანდალურად იქნენ გამოყრილი თავისი კანონიერი მღვდელმოქმედების არეალიდან, როგორ არ შეუძლია რუსეთის ეკლესიას თავის მიერ დაუენებული სასულიერო პირების მღვდელმოქმედება აკრძალოს?!

მსოფლიო საპატრიარქომ აღიარა ჩვენი ეკლესიის იურისდიქციის საზღვრები და განაცხადა, რომ მას არასდროს ჰქონია პრეტენზია ერთ-ერთი უძველესი ავტოკეფალური ეკლესიის ტერიტორიაზე. რაც შეეხება საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ მოსახლებას ბიჭვინთისა და პიტიუნტის იდენტობასთან დაკავშირებით, ეს უკანასკნელი სხვა გეოგრაფიულ ადგილზე - დასავლეთ საქართველოს უკიდურეს სამხრეთში - ტრაპიზინტის რეგიონში უნდა ვეძოთ.

ლიტერატურა:

- დიდი სჯულისკანონი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1975 წ.
- Правила Православной Церкви С Толкованиями Никодима Епископа Далматинско-Истрийского, Том I, Издание Свято Троицкой Сергиевой Лавры, 1996 г.
- Никодима Милаш, Церковное Право.
- В.А. Цыпин, Церковное Право, Учебное пособие, Москва, 1996 г.
- Правила Святых Апостоль И Святых Отец с толкованиями, Москва, 1876.
- მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, თბილისი, 2009 წელი.



**საქართველოს პალეოის აღგილი
მსოფლიო საპლასიო დიაზინზე
დეკანოზი იაკობ (ბექა) უშიერაშვილი
დოქტორანტი**

დიპტიხი არის მართლმადიდებელთა ლოგოსმსახურების დროს ადგილობრივ კალესიათა მეთაურების მოხსენების რიგითობა, ანუ მსოფლიოს მართლმადიდებელ კალესიათა მეთაურების მოხსენების რიგი. ის წარმოადგენს გამოხატვას სულიერი და კანონიკური ერთობისა ადგილობრივ მართლმადიდებელ კალესიათა შორის. მართალია, მსოფლიო მართლმადიდებელ კალესიას არ გააჩნია ერთიანი ადმინისტრაციული ცენტრი, მაგრამ ყოველი დამოუკიდებელი, აგზოკაფალური ადგილობრივი კალესიის მეთაური და მისი დიაკონი ლოგოსმსახურების დროს მოხსენიებს სხვა ადგილობრივი კალესიების, ამით ის გამოხატავს, რომ ყველა მართლმადიდებელი კალესია, ეროვნებისაგან დამოუკიდებლად, შეადგენს ერთ, წმინდა, კათოლიკე და სამოციქულო კალესიას. ყველა ადგილობრივი კალესია ერთმანეთის მიმართ თანაბარია და თანასწორი. არ არსებობს პირველხარისხოვანი და მეორეხარისხოვანი, უპირატესი და უმცირესი კალესია. მრავალრიცხოვნება, ან ტერიტორიის სიდიდე არ ანიჭებს უპირატესობას რომელიმე კალესიას მეორე მცირე კალესიის წინაშე. მამათა კანონების თანახმად, ყოველი კალესიის თავისუფლება მოპოვებულია უფალი იქსო ქრისტეს სისხლით. III მსოფლიო კრება მე-8 კანონში წერდა, რომ ყოველი კალესიის დამოუკიდებლობა და თავისუფლება „თვისითა სისხლითა მოუანიჭა ჩუქა უფალმან ჩუქნმან იქსუ ქრისტემან, განმანთავისუფლებელმან ყოველთა კაცომან“ (დიდი სჯულის კანონი, 1975: გვ.267)

VI-VII საუკუნეებში დიპტიხები იქცნენ ოფიციალურ დოკუმენტებად რომის იმპერიის მთავარი ქალაქების

ქაისკოპოსთა შორის უპირატესობის განსაზღვრისას. იბერიის ავტოკეფალური კალესიის იურისდიქციაში შემავალი ქალაქები არ შედიოდნენ იმპერიაში, ამიტომაც იბერიის ქალაქთა ეპისკოპოსები არ იყვნენ დიპტიხში შეყვანილი VII საუკუნეებში. VII საუკუნის დასაწყისში ჰერაკლე კეისარმა ქვემ იბერიის, ანუ დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა მიწები ჩამოართვა იბერიის სახელმწიფოს და შეუერთა ბიზანტიის იმპერიას. ამის შემდეგ VII საუკუნეში საქართველოს დაპყრობილი შავიზღვისპირა ქალაქების ფასისისა და პეტრონის ეპისკოპოსები შეყვანილ იქნენ ბიზანტიურ დიპტიხში. V ტრულის კრების კანონებს ხელს აწერენ ფასისისა და პეტრონის ეპისკოპოსები-თეოდორე ულიოსმან ეპისკოპოსმან ფასოისა მან სოფელსა შინა მეგრელთასა განვასაზღვრენ და წარგვერენ... (დიდი სჯულის კანონი, 1975:407) ასევე ხელს აწერს - „იოანე ულიოსმან ეპისკოპოსმან ქალაქსა პეტრონის ამან ქუეყანასაგან მეგრელთასა განვასაზღვრე და წარგვერენ“ (დიდი სჯულის კანონი, 1975 გვ.418).

ადსანიშნავია, რომ ტრულის კრების კანონებს ხელს არ აწერს, ამჟამად იმპერიის საზღვრებს გარეთ მდებარე იბერიის დედაქალაქის ეპისკოპოსი და არც იბერიის კალესიის წარმომადგენელი, ხოლო იბერიის ის აღნიშნული ქალაქების ეპისკოპოსები კი, რომელიც ბიზანტიის იმპერიაში შედიოდნენ, ამ კრების კანონებს ხელს აწერენ.

იერუსალიმელი პატრიარქები დოსი-თეოსი და ხრისტიანი წერენ-ლაზიკის ეპარქიაში შემავალი ტრაპეზუნტოან მდებარე ფასისისა სამიტროპოლიტოს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დიპტიხში ეჭირა 27-ე ადგილი. აქედან აშკარად ჩანს, რომ დიპტიხში შეტანილი იყო ბიზანტიის ქართული ქალაქების ეპისკოპოსები, ხოლო ბიზანტიის გარეთ მყოფი ქართული ქალაქების ეპისკოპოსები კი - არა. ე.ი.



ამჟამად, დიპტიხი ბიზანტიური სახელმწიფოს საჭიროებისთვისაა შედგენილი, ამიტომ იძერის ავტოკეფალური ეკლესიის წარმომადგენელთა მოუსესენებლობა ძველ დიპტიხიში იმის ნიშანი კი არაა, რომ ასეთი ავტოკეფალური ეკლესია არ არსებობდა, არამედ პირიქით, არსებობდა და არ ექვემდებარებოდა იმპერიაში შემავალ საპატიოარქოებს.

X და XI საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოს გაერთიანების პერიოდში „აფხაზთა“ და „ქართლის“ საკათალიკოსები საქართველოს საპატრიარქოდ გაერთიანდა, გარდა საქართველოს ტერიტორიებისა ქართული ეკლესიის იურისდიქციის ტერიტორია მოიცავდა ჩრდილო კავკასიის ქრისტიანულ მოსახლეობას, სომხეთში შემავალ მართლმადიდებლურ თემს და ყოფილი ალბანეთის სამეფოს ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ თემს. XI საუკუნიდან იწყება ქართული საპატრიარქოს ხესნება უცხოურ წყაროებში. XIII საუკუნის ქართულ საბუთში ასეთი დიპტიხია დაცული: „...ჩუენცა, გლახაკი, ქრისტეს მიერ, შემდგომად ხუთთა პატრიარქთა და უპირველეს მათსა... სუეტისცხოველის მექუსისა პატრიარქის და ქრისტეს მიერ ყოვლისა საქართველოს კათალიკოზი ნიკოლოზ ვამტკიცებ და წარესწერ“ (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II :66)

მცხეთის საპატრიარქო საყდარს ქართული დიპტიხის ეცავა მექვანე ადგილი იერუსალიმის საყდრის შემდეგ. ამ მოსსენიებას შუა საუკუნეების საქართველოში ჰქონდა ისტორიულ-ტრადიციული მნიშვნელობა. 1057 წელს მეფე ბაგრატ IV - ის შეწირულობის სიგელს შიომღვიმისადმი აქვს ქართული ეკლესიის მეთაურის მინაწერი, რომლის თანახმად ის დგას მექვანე ადგილზე მსოფლიოს ხუთი პატრიარქის შემდეგ. მსგავსი შინაარსის მინაწერები აქვს ასევე XIII საუკუნის ეკლესია მონასტრებისადმი

გაცემულ სიგელებს. (ა.ჯაფარიძე 2009: 16–18)

ქართული ეკლესია საკუთარ დიპტიხიში საკუთარ მამამთავარს მე-6 ადგილზე მოიხსენიებდა, მაგრამ საკითხავია ადიარებდნენ თუ არა მას მსოფლიო ეკლესიები? ერთადერთი ფაქტი და მოვლენა რომელიც ნათელს ჰყენს ამ საკითხს, ჩვენი ისტორიის მანილზე გახლავთ ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების (1438–39), ლათინური წყაროები, სადაც მოცემულია კრებაზე მართლმადიდებელთა ეკლესიის წარმომადგენლების ჯდომის რიგითობა. ანდრეა დი სანტა კროჩეს დიალოგი ლუდოვიკო პონტანოსთან. ეს წყარო ქართულად თარგმნა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა ილია ტაბალუამ. მოგვავს თარგმანი სრულად:

„საუბარი და კამათი ლათინებსა და ბერძნებს შორის ფლორენციის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე. შამოციქულო კონსისტორიის რომის პატრიციასა და ადვოკატ ანდრეა დი სანტა კროჩეს საუბარი ლუდოვიკო პონტანოსთან ჩანაწერი დიალოგის სახით.

ლუდოვიკო: კრების დროს სად იჯდა ბერძნებთა იმპერატორი?

ანდრეა: ცენტრიდან მარცხნივ იდგა ტახტი ისეთივე, როგორიც რომის იმპერატორის კათედრა იყო. მისგან მარჯვნივ სკამზე იჯდა იმპერატორის ძმა დიმიტრი - მორეის მთავარი.

ლუდოვიკო: განაგრძე საუბარი საულიერო პირების განლაგების შესახებ.

ანდრეა: პირველი კარდინალის პირდაპირ იდგა პატრიარქის საგარმელი. პატრიარქი შეუძლოდ ყოფნის გამო იმ დღეს კრებას ვერ ესწრებოდა. მან გამოგზავნა სპეციალური მიმართვა, რომელიც საჯაროდ წაიკითხეს. ატრიარქის შემდეგ ოთხ სკამზე განლაგებული იყვნენ: პერაკლიის არქიეპისკოპოსი (რომელსაც ალექსანდრიის პატრიარქის კანონიერი მანდატი ჰქონდა და მისი ადგილი ეკავა), ანტონიის პატრიარქის მიერ გამოგ-



ზავნილი - ეფესოს არქიეპისკოპოსი, იერუსალიმის პატრიარქის წარმომადგენელი - მენეზიის არქიეპისკოპოსი და იბერიის მეფის წარმომადგენელი - იბერიის მიტროპოლიტი. ამის შემდეგ ისებნენ ტრაპეზუნტის, რიზეს, ნიკეის, ლაკედემონის, ნიკომედიის, ტრივონის, ამასიის, მიტილენის, აქილის, მელდულის არქიეპისკოპოსები. შემდეგ მოდიოდნენ: ექვსი პრესვიტერიენული წოდების მქონე პიროვნება, კონსტანტინოპოლის ეკლესიის მიტროპოლიტები - ჯვაროსნებად წოდებული, ვიანიდან მათ თავსამკაულზე ჩვეულებრივი მღვდლებისგან განსხვავებით ჯვრის ნიშანი ჰქონდათ. მათ შემდეგ განლაგებული იყვნენ დირსეშესანიშნავი ბერებითავიანთი წესის მიხედვით“

ლუდოვიკო: იმპერატორს არ ახლდნენ საერო პირები?

ანდრეა: იმპერატორის საგარმლის გვერდით სკამზე იჯდა რამდენიმე საერო პირი. პაპის თანმხლები პირების პირდაპირ ისხდნენ: სერბიის მთავარი, ტრაპეზუნტის იმპერატორის წარმომადგენელი, იბერიის მეფის ელჩი (რომელიც ეველასგან განსხვავდებოდა თავისი ჩაცმულობით, მრავალი ძვირფასი ქვით შემკული მრგვალი ოქროქსოვილი ქედით) და ვალახიის ბატონის ორი წარმომადგენელი“ [ი.გაბაღუა 1984: 213–214]

პოლიტიკურმა სიტუაციამ გარკვეული ილად გავლენა იქმნია ქართული ეკლესიის დიპტიხის საერთაშორისო აღიარების საქმეში. კონსტანტინოპოლის პატრიარქმა გენადი სხოლარიუშმა (1453–1460) სხვა აღმოსავლელ პატრიარქებთან ერთად ცნო რუსული ეკლესიის დამოუკიდებელი არსებობა და განსაზღვრა ჩათვლილიყო ავტოკეფალური რუსული მიტროპოლია თავისი ლირსებით იერუსალიმის საპატრიარქოს შემდეგ, ე.ი. მეხუთე ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიათა დიპტიხი.

ამის შემდეგ კი მან თავისი ტრადიციული მექანიზმი დაიკავა.

1589 წელს დაარსდა მოსკოვის საპატრიარქო, 1593 წელს კი აღმოსავლურ ეკლესიათა კრებამ განსაზღვრა მოსკოვის საპატრიარქოს მდგომარეობა, რუსეთის მეფე ივანე მრისხანეს სურდა რუსულ ეკლესიას ადგილი ალექსანდრიის საპატრიარქოს შემდეგ დაეკავებინა, მაგრამ კრებამ მხოლოდ იერუსალიმის შემდეგ განუსაზღვრა ადგილი. (ა. ჯაფარიძე 2009: 22–23)

ქართულმა ეკლესიამ დიპტიხში რუსული საპატრიარქოს ადგილი იერუსალიმის ეკლესიის შემდეგ აღიარა XVIII საუკუნეში პატრიარქ ანგონ I-ის დროს. (ა. ჯაფარიძე 2009: 24)

მსოფლიო ეკლესიები არ აღიარებდნენ ქართული ეკლესიის მე-6 ადგილს მართლმადიდებლური ეკლესიის დიპტიხში. XX საუკუნეში დაიწყო ჩეგნი ეკლესიის ადგილის აღიარება. 1943 წელს აღიარა რუსეთის ეკლესიამ ქართული ეკლესიის ავტოკეფალურობა და ადგილი დიპტიხში. კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქომ კი 1990 წლის 25 იანვარს კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქმა გამოსცა სიგელი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობის შესახებ, იმავე წლის 3 მარტს კი მანვე გამოსცა განჩინება საქართველოს საპატრიარქო დირსების ცნობის შესახებ, საიდანაც გამომდინარეობდა ეკლესიის მეთაურის (პატრიარქის) ტიტულის ცნობა. (ა. ჯაფარიძე 2009: 42–43) მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ეკლესიისათვის სრულად არ აღმსდგარა ისტორიული სამართლიანობა, რიგი მართლმადიდებლური ეკლესიების დიპტიხში საქართველოს ეკლესია მე-9 ადგილზე მოიხსენიება. რითაც ილახება მისი უფლება და უხეშად ირღვევა ისტორიული სამართლიანობა. ვიმედოვნებთ, მომდევნო მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ერთ-ერთი განსახილველი საკითხი იქნება მართლმადიდებლური



ეკლესიათა დიპტიხის საკითხი, ადსდგება ისტორიული სამართლიანობა და ქართული მართლმადიდებლური ეკლესია დაიკავებს იმ კუთვნილ ადგილს დიპტიხში, რომელიც მას ისტორიის მიხედვით ეკუთვნის.

ლიტერატურა

1. შიგროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. დიპტიხი და დიასპორა (საქართველოს საპატიოარქოს ადგილი მსოფლიო მართლამდიდებლურ დიპტიხში და დიასპორის საკითხები) თბ. 2009 წელი 84 გვ.
2. ტაბადუა ილია. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს). თბილისი 1984, გამომცემლობა „მეცნიერება“ გვ. 333.
3. ქართული სამართლის ძეგლები, ტომი 3, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბილისი 1970, 1319 გვ.
4. დიდი სჯულის კანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, ბ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ; ქ. კაკელიძის სახ. ხელნაწერთა ინ-ტი. თბილისი 1975, 627 გვ.



**საქართველოს პათოლიგოს
პატიოლოგი ილია მარონე ჩართული
სამოციქულო ეპლუსის
აზოვის გადარაჯონა
დეკანოზი იოანე ჩიგოვიძე
დოქტორანტი**

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეპლესია მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ეპლესია და თავისი ორიათასწლოვანი ისტორიით ეპლესის მკვლევართა მხრიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. საქართველოს მართლმადიდებელი ეპლესია, რომელიც ქრისტეს უპირველესმა მოწაფემ ანდრია პირველწოდებულმა დაარსა, შესაბამისად სამოციქულო ეპლესის პატივით სარგებლობს.

საქართველოს სამოციქულო ეპლესია ავტოკეფალური გახდა V საუკუნეში, წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის მოდგაწეობის პერიოდში. 681 წლის VI მსოფლიო საეკლესიო კრებამ მცხეთის კათალიკოსი აივანა იმავე პატივსა და ღირსებაში, რომელშიც მსოფლიოს სხვა მართლმადიდებელი პატიოარქები იმყოფებოდნენ. ამის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეპლესიამ ავტოკეფალია საეკლესიო კანონების სრული დაცვით ანტიოქიის საპატიოარქოსგან მიიღო, ბერძენთა მხრიდან საქართველოს ეპლესის ავტოკეფალიის საკითხი სხვადასხვა პერიოდებში რამდენჯერმე გახდა წინააღმდეგობისა და განხილვის საგანი.

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერატორის უხეში ჩარეცით ქართული სახელმწიფოსა და ეპლესის წინააღმდეგ განხორციელდა უკანონო ქმედებები, რამაც ქართული სამეფო-სამთავროების დამოუკიდებლობის შეწყვეტა და საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეპლესის ავტოკეფალიის გაუქმება გამოიწვია და უმდიქსი შედეგები მოუტანა ქართველ ხალხს.

ქართული ეპლესის ავტოკეფალიის გაუქმებით რუსეთის მხრიდან დაირღვა

მოციქულთა 34-ე კანონი, რომლის მიხედვითაც „უკელა ერის ეკლესია უნდა იმართებოდეს საკუთარი ეპისკოპოსების მიერ“. საქართველოს სამოციქულო ეკლესია, რომელიც V საუკუნიდან ავტოკეფალური იყო, საეგზარქოს სახით სხვა მართლმადიდებელი ეკლესის შემადგენელი ნაწილი გახდა. აღსანიშნავია, რომ საეკლესიო კანონიკიდან გამომდინარე, რუსეთის ეკლესიას არ ჰქონდა უფლება, გაუქმებინა მასზე უძველესი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია. ასე რომ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული ეკლესიის ავტოკეფალია კი არ გაუქმებულა, არამედ შეჩერდა რაღაც დროის მონაკვეთში (ერთ საუკუნეზე მეტი სანი). ამ საკითხში სავსებით ვეთანხმებით ა. ცაგარელის მოსაზრებას, რომელიც მიიჩნევდა, რომ: „ქართულ ეკლესიას, რომელიც 1811 წლიდან საეგზარქოს სახით არსებობდა, ავტოკეფალია როგორც დე იურე არ დაუკარგავს, არამედ წაერთვა შესაძლებლობა ამ უფლების ფაქტიურად აღსრულებისა“.

აღნიშნულმა ფაქტმა უდიდესი ზიანი მიაყენა ქართულ ეკლესიას - გაუქმდა უძველესი ეპარქიები, შემცირდა სასულიერო პირთა რაოდენობა, გაიძარცვა ეპლესია-მონასტრები, დაიკარგა მრავალი ქრისტიანული სიწმინდე. განსაკუთრებით ცუდი შედეგები მოჰყვა დვოისმასეურების რუსულ ენაზე აღსრულებას. ქართველ ხალხს მოესპო შესაძლებლობა, წირვა-ლოცვა მშობლიურ ენაზე მოესმინა. სამდვდელოება ვერ დებულობდა სათანადო განათლებას, შესაბამისი განათლების გარეშე კი სასულიერო პირები ვერ გადასცემდნენ მრევლს ქრისტეს მაცხოვნებელ სარწმუნოებას. ამან გამოიწვია ქართველ ხალხში ქრისტიანული რელიგიისადმი გაციება.

XIX საუკუნეში ქართველი ერისა და ეკლესიის უფლებების დასაცავად ხმა აიმაღლეს ერის იმ პერიოდში მოღვაწე სასულიერო და საერო წრეების ღირ-



სეულმა წარმომადგენლებმა (გაბრიელ ეპისკოპოსი, დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვები).

XIX საუკუნის ბოლოს, მართალია, არ დასმულა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნა, მაგრამ ქართველი საზოგადოება აქტიურად იბრძოდა ქართველთა სარწმუნოებრივი უფლებების დასაცავად. XX საუკუნის დასაწყისში კი საეგზარქოს რეაქციულმა დამოკიდებულებამ და სოციალურმა (მოუსავლიანობამ, ახალი გადასახადების დაწესებამ და ა.შ.) და სულიერმა სიდუხეჭირები ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება დააჩქარა, შემდეგში კი პროცესი ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნაში გადაიზარდა.

ავტოკეფალიის ადდგენის საქმეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა 1905 წლის დეკემბერში. 18 დეკემბრამდე თბილისში მიმდინარეობდა სრულად საქართველოს ეკლესიის სამდვდელოების დელეგატთა კრება, რომელმაც მიიღო ისტორიული მნიშვნელობის ღოკუმენტი - „საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტი“. აღნიშნული პროექტი იყო საფუძველი 1917 წლის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ადდგენისა. რეორგანიზაციის პროექტი შედგებოდა 26 პარაგრაფისგან, რომლებშიც განსაზღვრული იყო საეპარქიო საბჭოს, ეპისკოპოსის, საოლქო სამმო კრების, საოლქო სამმო საბჭოს, სამრევლო საბჭოს, სამრევლო კრების და კრებულის წევრთა უფლება მოვალეობანი და არჩევის წესები. ამის შემდეგ, ქართველ ერს ეკლესიის ავტოკეფალიის ადდგენისთვის კიდევ მრავალი წლის მანძილზე მოუწია ბრძოლა.

1917 წელს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის ადდგენაზე გადამწყვეტი როლი ითამაშა, რუსეთში მიმდინარე პოლიტიკურმა მოვლენებმა. საქართველოს ეკლესიაში ამ პერიოდში უკვე მყარი ნიადაგი იყო მომზადებული ავტოკეფალიის აღსადგენად.

ქართული ეკლესიის კანონიერი უფლებების აღდგენი ერის სულიერი მოთხოვნილებების აღსრულება იყო. ამიერიდან ქართულ ეკლესიაში ღვთისმსახურება და საქმის წარმოება ისევ ქართულ ენაზე შესრულდებოდა.

1917 წლის 17 სექტემბერს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დაგვირგვინება იყო კათოლიკოს-პატრიარქის არჩევნები, რომლის შედეგადაც პატრიარქად არჩეულ იქნა ეპისკოპოსი კირიონი. 1917 წლის 1 (14) ოქტომბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში საზეიმო ვითარებაში შესრულდა უწმიდესისა და უნეტარესის - კირიონ II-ის აღსაყდრება. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიაში ახალი ერა დაიწყო.

უწმიდესმა და უნეტარესმა კირიონ II-მ დაიწყო სერიოზული მუშაობა, რათა მართლმადიდებელ და არამართლმადიდებელ მსოფლიოს მკაფიო წარმოდგენა შეპქმნოდათ, რა მოხდა საქართველოში, და არ აღმოჩენილიყვნენ რუსეთის საპატრიარქოს მიერ გავრცელებული ტენდენციური ინფორმაციების ტყვეობაში. მისი ძალისხმევა, პირველ ყველისა, მიმართული იყო რუსეთის ეკლესიასთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებისკენ, მაგრამ 1917 წლის აგვისტოში რუსეთის ახლადარჩეულმა პატრიარქმა ტიხონმა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მადალ იერარქებს მცხეთაში 1917 წლის 12 (25) მარტს მიღებული დოკუმენტის გაუქმებისა და სინაულისაკენ მოუწოდა. ამის შემდეგ 25 წლის მანძილზე საქართველოსა და რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის ევქარისტიული კავშირი არ არსებობდა.

საბოლოოდ, მრავალწლიანი დამაბული მოლაპარაკებების შემდეგ, 1943 წლის 31 ოქტომბერს, რუსეთის პატრიარქმა სერგიმ ოფიციალურად აღიარა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალია და 1917 წლის 12 (25) მარტის სვეტიცხოვლის დამოუკიდებ-



ლობის აქტის კანონიერება. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების დოკუმენტს ხელს აწერდნენ პატრიარქი სერგი და სინოდის მუდმივი წევრები, მიტროპოლიტები: ალექსი, ნიკოლოზი, მთავარეპისკოპოსები: ანდრეი, ალექსი, იოანე.

1946 წელს საქართველოში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ჩამობრანდა რუსეთის პატრიარქი უწმიდესი ალექსი I. 1958 წელს იგი მეორედ ჩამოვიდა საქართველოში. 1945-1948 წლებში უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე სტუმრობდა მოსკოვს. 1951-1970 წლებში მოსკოვში არაერთხელ ჩატარდა საბჭოთა კავშირში არსებულ რელიგიურ კონფესიათა მეთაურების შეხვედრა, სამშვიდობო კონფერენციები. ამ შეხვედრებში მონაწილეობდნენ უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი: მელქოსედეკ III, ეფრემ II, დავით V, ილია II. რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობა დამყარდა.

საბჭოთა კავშირის მმართველობის ხანაში, როდესაც კონსტანტინოპოლის საპატრიარქო „ნატოს“ ერთ-ერთი წევრი ქვეყნის - თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა ოფიციალური ხელისუფლება საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას შოთვლით საპატრიარქოსთან თავისუფალ ურთიერთობას უკრძალავდა.

1962 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემ II-ემ, თანხმობა განაცხადა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში გაწევრიანების შესახებ.

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მიერ მოწყობილ სამშვიდობო ფორუმზე საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენლებს

საშუალება მიეცათ, მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურებისათვის მკაფიოდ განემარტათ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის მნიშვნელობა და მოეთხოვათ მათგან ამ ავტოკეფალიის აღიარება.

1963 წელს ეპისკოპოსი ილია მონაწილეობდა კუნძულ როდოსზე გამართულ მართლმადიდებელ ეკლესიათა სამშვიდობო ფორუმში, რომელზეც საქართველოს ეკლესია ყველაზე ახალგაზრდა ავტონომიურ ეკლესიად გამოაცხადეს. ამას მოჰყვა მეუფე ილიას მწვავე რეაქცია, რომელმაც დამსწრეთ განუმარტა, რომ საქართველოს მარტლმადიდებელი ეკლესია არის უძველესი სამოციქულო ავტოკეფალიური ეკლესია და შესაბამის პატივისცემას მოითხოვს. როდოსიდან დაბრუნებულმა ეპისკოპოსმა ილიამ ვრცელ მოხსენებით ბარათში უწმიდესსა და უნეტარეს ეფრემ II-ს აუქსენა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ირგვლივ შექმნილი ვითარება.

უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემ II-მ მას დაავალა, ემუშავა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის საერთაშორისო აღიარებისათვის, მეცნიერებთან თანამშრომლობით მოეძია ავტოკეფალიის ისტორიული მტკიცებულებანი. დაიწყო ამ მიმართულებით დაძაბული მუშაობა.

შოთვლით საპატრიარქოსთან საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღიარების საკითხებზე ინტენსიური მოლაპარაკებები გაგრძელდა უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით.

1978 წლის 1-4 ივნისს, პატრიარქის მოწვევით, თბილისში იმყოფებოდა მსოფლიო საპატრიარქოს დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქალკედონის მიტროპოლიტი მელიტონი. 1978 წლის 16 ივნისს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კა-



თოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ საპატ-რიარქო რეზიდენციაში შეხვედრა მოუწყო ქართველ მეცნიერებს. შეხვედრას ესწრებოდნენ პროფესორები: მ. ლორთქიფანიძე, ნ. ლომოური, ო. ჯაფარიძე, პ. ზაქარაია, შ. ლომსაძე, ი. სიხარულიძე, გ. მამულია, ნ. ასათიანი, რ. სირაძე, ა. ბოგვერაძე, დ. გოგოლაძე, ო. ბერაძე, ი. ლოლაშვილი, ბ. ლომინაძე. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ქართველ მეცნიერებს სთხოვა, ინტენსიურად ემუშავათ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიაზე და განუშარტა მათ, რომ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების საკითხის მოსაგვარებლად საჭირო იყო, მყარი ისტორიული მტკიცებულებების მქონე საბუთებით დაემტკიცებინათ ბერძნული საპატრიარქობისთვის, რომ საქართველოს ეკლესიის მეთაური V საუკუნიდან კათოლიკოსის, ხოლო XI საუკუნიდან - კათოლიკოს-პატრიარქის ტიტულს ატარებდა.

მართლაც, უმოკლეს დროში შეიქმნა ნ. ლომოურის, ბ. ლომინაძის, დ. გოგოლაძის, ა. ბენდიანიშვილის ნაშრომები საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიის ცალკეულ საკითხებზე.

1979 წლის 2-8 მაისს უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სტამბულში იმყოფებოდა კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქის - უწმიდესი დიმიტრიოსის მიწვევით [34, 1979, 2, 12-13], სადაც იგი შეხვდა მსოფლიო საპატრიარქოს მმართველ მღვდელმთავრებს, გაიმართა აზრთა გაზიარება მართლმადიდებელ ეკლესიათა ურთიერთობის საკითხებზე და კიდევ ერთხელ ისაუბრა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხთან არსებული პრობლემების და მისი კუთვნილი VI ადგილის დარღვევის შესახებ, რაზეც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სახელით გამოსულმა ქალკედონის მიტროპოლიტმა მელიტონმა აღუთქვა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის დიპტიში 13 მღვდელმთავარი, ნათქვამი იყო: „თუ კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქო სადაც მიიჩნევ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ადგილს დიპტიში, იმ შემთხვევაში საქართველოს საპატრიარქოს გაუჭირდება მონაწილეობა მიიღოს მსოფლიო საპატრიარქოს მიერ მოწყობილ ღონისძიებებში“ [27, 10417].

ციქულო ეკლესიის მეთაურს, რომ ეს საკითხები დადებითად გადაიჭრებოდა დასაბუთებული ისტორიული მასალების გაცნობის საფუძველზე.

დაბაძული მოლაპარაკებები 11 წელი გაგრძელდა. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ავტოკეფალიისა და დიპტისის საკითხებში არავითარ კომპრომისზე არ მიდიოდა. 1982 წლის 3 ივნისს მსოფლიო პატრიარქ დიმიტრიოსისადმი გაგზავნილ წერილში, რომელსაც ხელს აწერდნენ უწმიდესი და უნეტარესი ილია II და საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის 13 მღვდელმთავარი, ნათქვამი იყო: „თუ კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქო სადაც მიიჩნევ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ადგილს დიპტიში, იმ შემთხვევაში საქართველოს საპატრიარქოს გაუჭირდება მონაწილეობა მიიღოს მსოფლიო საპატრიარქოს მიერ მოწყობილ ღონისძიებებში“ [27, 10417].

მრავალი წლის მანძილზე იბრძოდა უწმიდესი და უნეტარესი ილია II ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის საბოლოო აღიარებისათვის. ქართველ მეცნიერებთან კონსულტაციის შემდეგ, მსოფლიოს მარტლმადიდებელი ეკლესიების მეთაურებს უგზავნიდა დასაბუთებულ, ისტორიული დოკუმენტებით გაჯერებულ წერილები, რომელიც საქართველოს მარტლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიულ ავტოკეფალიასა და დიპტიში მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის მისი კუთვნილი მე-6 ადგილის კანონიერებას ამტკიცებდა და მომმე ეკლესიებისაგან წერილობითი მხარდაჭერას მოითხოვდა.

1988 წლის აგვისტოში ილია II-მ თბილისში მოიწვია კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქი უწმიდესი დიმიტრიოსი, რომელმაც მოილოცა ქართული ეკლესია-მონასტრები, ხელოვნების მუზეუმში დაათვალიერა ქართული საეკლესიო სიწმინდენი.



მსოფლიო პატრიარქი გააოცა ეკლესია-მონასტრებში მრევლის, ძირითადად ახალგაზრდობის, სიმრავლემ. რა თქმა უნდა, ამ ვიზიტმაც არ ჩაიარა საქართველოს ეკლესის უმთავრესი პრობლემის - ავტოკეფალიის აღიარების პრობლემებზე მსჯელობის გარეშე, რის შემდეგაც გადაწყდა, აღნიშნულ საკითხებზე გაგრძელებულიყო მოლაპარაკებები.

1988-1989 წლებში საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღიარების საკითხებზე მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ მიტროპოლიტები: ქრიზოსტომოსი და დამასკინოსი. უწმიდესი და უნეტარესი ილია II განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ყველა სიტყვას, რომელიც აღიარების ტექსტში უნდა შესულიყო. მოლაპარაკებები იყო რთული, მაგრამ კონსტრუქციული. 1990 წლის 7 იანვარს (ძვ. სტ. 25 დეკემბერს), სიონის საპატრიარქო ტაძარში წირვის დამთავრების შემდეგ, მიტროპოლიტმა ქრიზოსტომოსმა ოფიციალურად გამოაცხადა მსოფლიო საპატრიარქოს გადაწყვეტილება საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიისა და მისი მეთაურის საპატრიარქო ტიტულის აღიარების შესახებ.

1990 წლის 4 მარტს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაურმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ კონსტანტინოპოლიში მსოფლიო პატრიარქ დიმიტრიოსის ხელმოწერით მიიღო ორი სიგელი:

„1. საქართველოს უწმიდესი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და მტკიცების სიგელი“, რომლის თანახმადაც მსოფლიო საპატრიარქომ მიიღო გადაწყვეტილება „ცნოს და დამტკიცოს საქართველოს წმიდა ეკლესიის ავტოკეფალია და დამოუკიდებელი სტრუქტურა“.

2. კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსის, ახლისა რომისა და მსოფლიო პატრიარქის - დიმიტრიოსის -

განჩინებით, საქართველოს უწმიდესი ეკლესია პატივდებული იქნა საპატრიარქო ღირსებითა და ადგილით, როგორც ადრიდანვე ისესნიებოდა უძველეს ქრონიკებსა და სხვა საეკლესიო წყაროებში. პატრიარქის ტიტულია: „მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და კათოლიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოისა“. [34, 1990, 3, 5-8].

სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა მის უწმიდესობას, მარტო ეს ეყოფოდა ისტორიაში შესასვლელად, მაგრამ ის დღემდე მედგრად დგას საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისა და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის სარძველების სადარაჯობები.

XX საუკის 90-იან წლებში საბჭოთა კავშირის დაშლა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის, მათ შორის – საქართველოსათვის, საქმაოდ მტკიცნეული აღმოჩნდა. რუსეთის პოლიტიკური წრეების წაქეზებითა და მხარდაჭერით გაძლიერდა სეპარატისტული ტენდენციები საქართველოს ისტორიულ მიწაწყლზე, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. რუსეთმა, მიუხედავად იმისა, რომ დღემდე ჯოუგად უმტკიცებს საერთაშორისო საზოგადოებრიობას, რომ იგი რეგიონში იცავს მშვიდობასა და სტაბილურობას, ფაქტობრივად ამ ტერიტორიების ანექსია მოახდინა. ეს ხდება იმ ფოზე, როდესაც 300 000 ქართველი გამოძევებულია აფხაზეთის ტერიტორიიდან, 14 ათასზე მეტი ადამიანი კი დახოცეს საკუთარ მიწაწყლზე. დახვრიტების მამა ანდრია, დაარბიეს ეკლესიები და ა.შ.

რაც შეეხება რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიციას, თავის ბუნდოვან განცხადებებში იგი თითქოს გმობდა ძალადობას, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ყველაფერში ირიბად ქართველებს ადანაშაულებდა. უფრო მეტიც, რუსეთის ეკლესია, საქართველოს საპატრიარქოს გერედის ავლით დღემდე ცდილობს იქ რუსი სასულიერო პირე-



ბის დამკვიდრებას და ამას მოსახლეობის რელიგიური მოთხოვნილებით ამართდებს.

ამ პერიოდში რუსეთის მხარეშ დააყენა საკითხი ახალი ათონის მონასტრის რუსეთის ეკლესიისათვის დაბრუნების აუცილებლობის შესახებ, რაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II დაგმო ყოველივე ეს რუსეთის პატრიარქ აღექსი II-სადმი გაგზავნილ წერილში [33, II, 421-422]. ასევე მკაცრად გამოეხმაურა ილია II ვლაძიკავკაზისა და სტავროპოლის მიტროპოლიტ გედეონის მცდელობა „სამხრეთოსეთის ხალხისათვის სულიერი დახმარების აღმოჩენის შესახებ“ [33, II, 424].

უწმიდესა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს თავისი სასულიერო მოღვაწეობის ნახევარსაუკუნოვან ისტორიაში საინტერესო შეხვედრები ჰქონდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ მოღვაწეებთან, რელიგიურ ლიდერებთან.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მეგობრულ ურთიერთობას ინარჩუნებს არამართლმადიდებლური ქრისტიანული კონფესიების ლიდერებთან: რომის პაპთან, ანგლიკანური ეკლესიის მეთაურთან, აღმოსავლეთის კოპტურ-მონოფიზიტური ეკლესიების მეთაურებთან. უწმიდესი და უნეტარესი ბევრჯერ შეხვდა ყოველთა სომეხთა პატრიარქ-კათოლიკოსებს: ვაზგენ I-ს, გარეგინ I-ს, გარეგინ II-ს. გულიოთადი მეგობრობა აკავშირებს მას კავკასიის მუსლიმანთა საბჭოს თავმჯდომარებელთან შეის აღას შუქურ ფაშა ზადესთან. მის უწმიდესობას ასეთივე მეგობრული ურთიერთობა აქვს საქართველოში არსებულ არამართლმადიდებლური კონფესიების ხელმძღვანელებთან. პატრიარქი, როგორც დიდი ოქოლოგი, მეცნიერი და შემოქმედი პიროვნება, ქართველი მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეების მეგობარი და ხელისშემწყობია.